

მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

# შრომების კრებული


ИНСТИТУТ ГЕОФИЗИКИ ИМ. М. НОДИА

# СБОРНИК ТРУДОВ

MIKHEIL NODIA INSTITUTE OF GEOPHYSICS

# TRANSACTIONS

**LXXVIII**



**2025**

ISSN 1512-1135

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
Mikheil Nodia Institute of Geophysics

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
им. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
Институт геофизики им. М. З. Нодиа

**შრომების კრებული**


**ტ. LXXVIII**

**TRANSACTIONS**

**vol. LXXVIII**

**СБОРНИК ТРУДОВ**

**т. LXXVIII**



**მთავარი რედაქტორი: ამირანაშვილი ა.**

**Editor-in-Chief: Amiranashvili A.**

**Главный редактор: Амиранашвили А.Г.**

**სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო:**

ადამია შ., არზიანი ზ., აჯიევი ა. (ყაზარდო-ბალკარეთის რესპუბლიკა, რუსეთი), ბენდერევი ა. (ბულგარეთი), ბერძენიშვილი ნ., ბოლაშვილი ნ., **გამყრელიძე ე.** გვენცაძე თ., გოგიჩაიშვილი ა. (მექსიკა), დარახველიძე ლ. (მთავარი რედაქტორის მოადგილე), დემეტრაშვილი დ., დვალი ნ., ელიზბარაშვილი ე., ვარამაშვილი ნ., ზაალიშვილი ვ. (რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია, რუსეთი), თავართქილაძე კ., კერესელიძე ზ., მამმადლი ტ. (აზერბაიჯანი), მელიქაძე გ., მეტრეველი გ., მეფარიძე ე., ნიკოლაიშვილი მ. (მდივანი), პოვოლოცკაია ნ. (რუსეთი), ჟოვინსკი ე. (უკრაინა), სენიკი ი. (რუსეთი), ტატიშვილი მ., ქირია ჯ., ქირია თ., ღლონტი ნ., ჩაგელიშვილი გ., ჭელიძე თ., ხარშილაძე ო.

**THE EDITORIAL AND PUBLISHING BOARD:**

Adamia Sh., Adjiev A. (Kabardino-Balkar Republic, Russia), Arziani Z., Benderev A. (Bulgaria), Berdzenishvili N., Bolashvili N., Chagelishvili G., Chelidze T., Darakhvelidze L. (Associate Editor), Demetrashvili D., Dvali N., Elizbarashvili E., **Gamkrelidze I.**, Ghlonti N., Gogichaishvili A. (Mexico), Gventsadze T., Kereselidze Z., Kharshiladze O., Kiria J., Kiria T., Mammadli T. (Azerbaijan), Melikadze G., Mepharidze E., Metreveli G., Nikolaishvili M. (secretary), Povolotskaia N. (Russia), Senik I. (Russia), Tatishvili M., Tavartkiladze K., Varamashvili N., Zaalishvili V. (Republic of North Ossetia-Alania, Russia), Zhovinsky E. (Ukraine).

**РЕДАКЦИОННО-ИЗДАТЕЛЬСКИЙ СОВЕТ:**

Адамия Ш.А., Аджиев А.Х. (Кабардино-Балкарская Республика, Россия), Арзиани З.А., Бендерев А.Д. (Болгария), Бердзенишвили Н.М., Болашвили Н.Р., Варамашвили Н.Д., **Гамкрелидзе И.П.**, Гвенцадзе Т.Г., Глонти Н.Я., Гогичаишвили А.Т. (Мексика), Дарахвелидзе Л.К. (заместитель главного редактора), Двали Н.С., Деметрашвили Д.И., Жовинский Э.Я. (Украина), Заалишвили В.Б. (Республика Северная Осетия-Алания, Россия), Кереселидзе З.А., Кирия Дж. К., Кирия Т.В., Маммадли Т. (Азербайджан), Меликадзе Г.И., Мепаридзе Е.М., Метревели Г.С., Николайшвили М.М. (секретарь), Поволоцкая Н.П. (Россия), Сеник И.А. (Россия), Таварткиладзе К.А., Татишвили М.Р., Харшиладзе О.А., Чагелишвили Г.Д., Челидзе Т.Л., Элизбарашвили Э.Ш.

კრებული გამოდის 1936 წლიდან და მოიცავს გეოფიზიკის ყველა მიმართულებას. კრებულში იბეჭდება სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, მიმოხილვები, მოკლე ინფორმაციები, დისკუსიები, წიგნების მიმოხილვები, განცხადებები სამ – ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე. პუბლიკაციები უფასოა. კრებული არის საერთაშორისო რეფერირებადი, რეცენზირებადი და ციტირებადი გამოცემა; ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზა *DSpace*-ში. მისი ინდექსირება ხდება *Google Scholar* და *Publish or Perish*-ში. გამოდის, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ, სტატიების დაგროვების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია წელიწადში რამდენიმე კრებულის გამოცემა.

The Transactions include all branches of the Geophysics. It is published since 1936. Types of contributions are: research papers, monographs, reviews, short communications, discussions, book reviews, and announcements on any of three languages – Georgian, English, Russian. Publications are free of charge. Transactions are international referred, peer-reviewed and cited edition; they are included in the international electronic library data base *DSpace*, indexed in *Google Scholar* and *Publish or Perish*. The Transactions published in proportion to the accumulation of articles, usually once per annum. If necessary, several publications per annum are possible.

Сборник охватывает все направления геофизики. Издается с 1936 года. В сборнике публикуются научные статьи, монографии, обзоры, краткие информации, дискуссии, обзоры книг, объявления на любом из трех языков – грузинский, английский, русский. Публикации бесплатные. Сборник является международным реферируемым, рецензируемым и цитируемым изданием; включен в международную электронную библиотечную базу данных *DSpace*. Индексируется в *Google Scholar* и *Publish or Perish*. Издается по мере накопления статей, обычно раз в год. При необходимости возможно несколько изданий в год.

**სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მისამართი:**

საქართველო, 0160, თბილისი, ალექსიძის ქ. 1, მ. ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი  
Tel.: 233-28-67; Fax: (99532) 2332867; e-mail: avtandilamiranashvili@gmail.com;  
geophysics.transactions@tsu.ge

**Address of The Editorial and Publishing Board:**

M. Nodia Institute of Geophysics, 1 Alexidze Str., 0160 Tbilisi, Georgia  
Tel.: 233-28-67; Fax: (99532) 2332867; e-mail: avtandilamiranashvili@gmail.com;  
geophysics.transactions@tsu.ge

**Адрес редакционно-издательского совета:**

Грузия, 0160, Тбилиси, ул. Алексидзе, 1. Институт геофизики им. М. З. Нодиа  
Тел: 233-28-67; Fax: (99532) 2332867; e-mail: avtandilamiranashvili@gmail.com;  
geophysics.transactions@tsu.ge

**ელექტრონული ვერსიის მისამართი**

The address of electronic version

Адрес электронной версии

<https://scholar.google.com/citations?user=EdMkYoYAAAAJ&hl=en>

<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/254>

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

Published by TSU Press

Напечатано в типографии ТГУ

0178 Tbilisi, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

1 Pira Chavchavadze Avenue, Tbilisi 0178

0178 Тбилиси, просп. И.Чавчавадзе, 1

Tel 995 (32) 225 14 32

დამკაზადონებელი ლალი კურდღელაშვილი

გარეკანის დიზაინერი მარიამ ებრალიძე

Typesetter Lali Kurdghelashvili

Cover Designer Mariam Ebralidze

© ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Publish House of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, 2025

Издательство Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили, 2025

ISSN 1512-1135


## დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციები (1880-2025 წწ.)

გოგუა რ., მათიაშვილი თ.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

### შესავალი


დედამიწის შიგნით მიმდინარე ფიზიკური პროცესების ასახსნელად ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციები. როგორც კვლევებმა აჩვენა, საუკუნეობრივი ვარიაციების სარწმუნო წყაროს დადგენას სჭირდება დედამიწის ზედაპირზე თანაბრად განაწილებული ობსერვატორიების ქსელის ხანგრძლივი პერიოდის ინფორმაცია. სურ. 1-ზე წარმოდგენილია 1995 წლისათვის მსოფლიოში მოქმედი ობსერვატორიების რუკა, სადაც დაფიქსირებულია დუშეთის (თბილისის) მაგნიტური ობსერვატორია.



სურ. 1. მსოფლიოში 1994 წლამდე მოქმედი მაგნიტური  
ობსერვატორიები აღნიშნულია მწვანე ფერით.

დღეისათვის მსოფლიოში რეგულარული ობსერვატორიული დაკვირვებები 150-200 წელს ითვლის, რაც არ არის საკმარისი სარწმუნო დასკვნების გამოსატანად. თუმცა, არსებული ინფორმაციის ანალიზით დედამიწის სხვადასხვა რეგიონში გამოვლინდა საუკუნობრივი ვარიაციები, პერიოდით 58წ., ხოლო არქეოლოგიური მასალით ვარიაციები 450, 600, 1800 და 8000 [1]. გარდა ამისა, დადგენილია, რომ საუკუნობრივი ვარიაციები მუდმივად იცვლება, როგორც დროში, ისე სივრცეში, ამასთან ერთად, იგი იცვლის ნიშანს და აქვს ტენდენცია დასავლეთის დრეიფის [2].

საუკუნობრივი ვარიაციების ამჟამად არსებულ რუკებზე მკაფიოდ ფიქსირდება ვარიაციების რამდენიმე ფოკუსი (იხ. სურ. 2).



სურ. 2. დედამიწის მაგნიტური ველის  $F$  მდგენელის ვარიაციები 1995 წლის ეპოქისათვის.


გამომდინარე იქიდან, რომ მაგნიტური ობსერვატორიები დედამიწის ზედაპირზე თანაბრად არაა განაწილებული, ვერ ხერხდება მთელი დედამიწის ფართზე თანაბარი მასშტაბის ინფორმაციის მიღება. ამ ნაკლის შევსება ზოგიერთმა ქვეყანამ დაიწყო მაგნიტური ველის დაკვირვებით განმეორებით პუნქტებში, სადაც დაკვირვებები ტარდებოდა ყოველ 4-5 წელში ერთხელ.

ანალოგიური დაკვირვებები ჩაატარეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის გეომაგნეტიზმის და მაგნიტური ძიების განყოფილების და დუშეთის მაგნიტური ობსერვატორიის თანამშრომლებმა 1965, 1969 და 1974 წლებში, კავკასიის ტერიტორიაზე 14 პუნქტში: სარფი, ქობულეთი, ივანდიდი ანაკლია, ბალმარანი, პრიმერნი, ტუაფსე, ასტარა, ნახიჩევანი, ნეფთეჰალა, ნიზოვია, დერბენტი, მახაჩკალა, დუშეთი.

საექსპედიციო სამუშაოებს 1965, 1969 წლებში ხელმძღვანელობდა განყოფილების გამგე, ქალბატონი ნ. კაციაშვილი, ხოლო 1974 წელს წინამდებარე სტატიის ავტორი. მიღებული შედეგები დაედო საფუძვლად კავკასიის ტერიტორიის საუკუნობრივი ვარიაციების რუკას.

**დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციები თბილისი, კარსანი, დუშეთის მაგნიტური ობსერვატორიების მონაცემების მიხედვით (1880-2025 წწ.)**

სურ 3.-ზე წარმოდგენილია დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში ბოლო 140 წლის პერიოდში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის  $F$ ,  $Z$ ,  $D$ ,  $H$ ,  $I$  მდგენელების საუკუნეობრივი ვარიაციები (ავტორი რ. გოგუა).




სურ. 3. დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში, ბოლო 140 წლის განმავლობაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის  $F$ ,  $Z$ ,  $D$ ,  $H$ ,  $I$  მდგენელების საუკუნეობრივი ვარიაციები.

როგორც სურათიდან ჩანს, დედამიწის მაგნიტური ველი 140 წლის განმავლობაში, კავკასიის ტერიტორიაზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა. მაგალითად: მაგნიტური ველის  $F$  მდგენელი 1880 წელს იყო 45000 ნტლ 2025 წელს გახდა 50050 ნტლ.  $F$  მდგენელი გახდა 5050 ნტლ.  $Z$  – მდგენელი იგივე პერიოდში შეიცვალა 6247 ნტლ-ით,  $D$  – 6°-ით,  $I$  – მდგენელი 11°-ით,  $H$  – მდგენელი შემცირდა 1570 ნტლ-ით.

სურათზე მკაფიოდ ჩანს მაგნიტური ველის ცვლილების რამდენიმე პერიოდი, რადროსაც მაგნიტური ველის სიდიდის და აჩქარების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს პერიოდებია 1880-1910, 1910-1960 და 1960-2020 წწ.

მაგნიტური ველის ვარიაციების ზრდა-აჩქარება კარგად გამოჩნდა უფრო დეტალურ სურათზე 4. სურათზე მკაფიოდ გამოიყოფა მაგნიტური ველის  $F$  მდგენელის ცვლილების (აჩქარების) სამი პერიოდი. პირველი დასაწყისიდან 1994 წლამდე (ნორმალური ვარიაციები), მეორე 1994-2019 წელი (ანომალური ვარიაციები) და მესამე 2019-2025წ. (ანომალური ვარიაციების სწრაფი შემცირება).





სურ. 4. დედამიწის მაგნიტური ველის  $F$  მდგენელის საუკუნეობრივი ვარიაციები 1980-2025 წლის პერიოდში

### დასკვნა

დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის ყველა მდგენელმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მაგნიტური ველის მთავარი მდგენელის ( $F$ ) (სურ. 4) 1880 წლიდან 1994 წლამდე მაგნიტური ველის ცვლილება არის ნორმალური, ხოლო 1994 წლიდან 2025 წლის ჩათვლით დაიკვირვება საუკუნეობრივი ვარიაციების ანომალური ზრდა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1994-2019 წლების დროს ვარიაციები გაიზარდა სწრაფად, როგორც სიხშირით, ისე ინტენსივობით, ხოლო 2019 წლიდან ვარიაციების ინტენსივობამ მნიშვნელოვნად იკლო, თუმცა დარჩა ისევ ანომალური.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ცნობილი მეცნიერი დედამიწის მაგნიტური ველის წყაროდ მიიჩნევს დედამიწის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კავკასიის ტერიტორიაზე საუკუნეობრივი ვარიაციების ცვლილებები დაკავშირებულია დედამიწის შიგნით მიმდინარე ფიზიკური პროცესების აქტიურობის ცვლილებებთან.

### ლიტერატურა – References – Литература

1. Нечаев С.А. Руководство для стационарных геомагнитных наблюдений. Иркутск, 2006 г., 140 с.
2. Яновский Б.М. Земной магнетизм. Изд-во ЛГУ, 1978, 590 с.
3. Паркинсон У. Введение в геомагнетизм. Москва, изд-во Мир, 1986, 498 с.

### დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციები

გოგუა რ., მათიაშვილი თ.

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციები, 1880-2025 წლის პერიოდში. ვარიაციების თვისობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილია ვარიაციების ნორმალური და ანომალური პერიოდები.

საკვანძო სიტყვები: გეომაგნეტიზმი, მაგნიტური ველი, საუკუნეობრივი ვარიაციები.

**SECULAR VARIATIONS OF THE EARTH'S MAGNETIC FIELD RECORDED AT THE  
DUSHETI (TBILISI) MAGNETIC OBSERVATORY DURING 1880-2025**

**Gogua R., Matiashvili T.**

**Abstract**

The article discusses the secular variations of the Earth's magnetic field recorded at the Dusheti (Tbilisi) Magnetic Observatory over the period 1880-2025. As a result of qualitative interpretation, normal and anomalous periods of these variations have been identified.

**Key words:** geomagnetism, magnetic field, secular variations.

**ВЕКОВЫЕ ВАРИАЦИИ МАГНИТНОГО ПОЛЯ, ЗАФИКСИРОВАННЫЕ В  
МАГНИТНОЙ ОБСЕРВАТОРИИ ДУШЕТИ (ТБИЛИСИ)**

**Гогуа Р., Матиашвили Т.**

**Реферат**

В статье рассмотрены вековые вариации магнитного поля, зафиксированные в обсерватории Душети (Тбилиси) в периоде 1880-2025 гг. В результате качественного анализа выявлены нормальные и аномальные периоды.

**Ключевые слова:** геомагнетизм, магнитное поле, вековые вариации.

## $t_0$ -ის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტი

კიტოვანი დ.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიხეილი ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

დედამიწის სიღრმული აგებულების დადგენა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნავთობის, გაზის, მეტალური საბადოების ძიებისას, ჰიდროგეოლოგიური და რეგიონალური კვლევებისას. ამ დროს შეისწავლება დედამიწის სიღრმეში მდებარე ქანების ფიზიკური თვისებები, გამოვლინდება ლითოლოგიურ ფილებს შორის კონტაქტები, ტექტონიკური რღვევები, სხვადასხვა ჰორიზონტების ჩაწოლის სიღრმეები, გამოქარვის ზონის სიმძლავრე და სხვა.

ამ ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენება სხვადასხვა სეისმომეტრიული მეთოდი: არეკვლილ ტალღათა მეთოდი, საერთო სიღრმული წერტილის მეთოდი, გარდატეხილ ტალღათა კორელაციური მეთოდი, შენაცვლებითი ტალღების მეთოდი, ღრმა სეისმური ზონდირების მეთოდი.

ყველაზე უფრო დეტალური და ზუსტია არეკვლილ ტალღათა და საერთო სიღრმული წერტილის მეთოდები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მათი გამოყენებისას ვერ ხერხდება ამრეკლი საზღვრის დაზვერვა, თვითონ ამ საზღვრის სპეციფიკური მახასიათებლების გამო. ამრეკლი ჰორიზონტის ზუსტი დადგენის შემთხვევაშიც კი, შეისწავლება საზღვრის მხოლოდ გეომეტრია და არ გვაქვს ინფორმაცია ქვედა ჰორიზონტში სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეებზე

ღრმა სეისმური ზონდირებისა და შენაცვლებითი ტალღების მეთოდის დროს იკვლევენ ღრმა ჰორიზონტებს. მათი დეტალურობა და სიზუსტე შედარებით მცირეა გამოყენებული ტალღების დაბალი სიხშირის გამო.

მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო სრულად საზღვრავს გარდამტეხი ზედაპირის გეომეტრიას, ჩაწოლის სიღრმეს და სხვადასხვა ფენებში სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეებს, არის გარდატეხილ ტალღათა კორელაციური მეთოდი. მაგრამ, ამ მეთოდის გამოყენებისას ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხერხდება ზემოთდასახელებული ყველა ამოცანის გადაჭრა მაღალი სიზუსტით. ამის მიზეზია ორი რამ:

- 1) მეთოდის ფიზიკური საფუძვლების არასრული დამუშავება;
- 2) რთული რელიეფის პირობებში ყოველთვის ვერ ხერხდება მაღალი ხარისხის საველე მასალის მიღება.


არსებობს მიღებული სეისმური მასალის დამუშავების სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც განსხვავდებიან სირთულით, შრომატევადობით და სეისმური საზღვრების აგების სიზუსტით.

გარდამტეხი საზღვრების აგების ერთ-ერთი მეთოდია  $t_0$ -ის მეთოდი. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა საკმაო საიმედოობით და სიზუსტით განისაზღვროს გარდამტეხი ზედაპირი

რის ჩაწოლის სიღრმე, მისი გეომეტრია და სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეები. ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა გვექონდეს ჰოდოგრაფის ორივე შტო (პირდაპირი და შებრუნებული), დაკავშირებული ერთმანეთთან საერთო შეუღლებული T წერტილით.

ამ სტატიის ამოცანას შეადგენს ვაჩვენოთ, რომ ზემოთხსენებული სეისმური პარამეტრების განსაზღვრა შესაძლებელია სათანადო სიზუსტით და სანდოობით თუ გვაქვს ერთი სრული ჰოდოგრაფი, ხოლო საპირისპირო ჰოდოგრაფი არასრულია, მაგრამ იძლევა საშუალებას მის მიხედვით განვსაზღვროთ მოჩვენებითი სიჩქარე.

ვთქვათ გვაქვს ორფენიანი გარემო. დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარე დამფარავ ფენაში იყო  $V_1$ , ხოლო ქვედაში  $V_2$ . გარდამტეხი საზღვრის დახრის კუთხე აღვნიშნოთ  $\varphi$ -ით. პირდაპირი და შებრუნებული ჰოდოგრაფები შესაბამისად  $t^+$  და  $t^-$ -ით, ხოლო მათი საშუალებით გამოთვლილი საზღვრითი სიჩქარეები  $v^+$  და  $v^-$ ,  $h$  და  $h_x$  ექო სიღრმეები აფეთქების  $O$  და  $O_1$  პუნქტების ქვეშ.



ამ სიდიდეების მიხედვით გამოვთვალოთ  $t_{01}$ ,  $t_{02}$ , და  $t_0$

$$h_x = h + x \sin \varphi; \quad V^+ = V_1 / \sin(i + \varphi); \quad V^- = V_1 / \sin(i - \varphi);$$

$$t_{02} = 2(h + x \sin \varphi) \cos i / V_1 = 2h \cos i / V_1 + 2x \cos i \sin \varphi / V_1 = t_{01} + x / V_1 (2 \cos i \sin \varphi) =$$

$$= t_{01} + x / V_1 [\sin(i + \varphi) - \sin(i - \varphi)] = t_{01} + x / V^+ - x / V^- = t - x / V^-$$

ანალოგიურად  $t_{01} = t - x / V^+$

ახლა გამოვთვალოთ

$$t_0 = t - x / V_2 = t_{01} + x / V^+ - x / V_2 = 2h \cos i / V_1 + x \sin(1 + \varphi) / V_1 - x(V^+ + V) / (V^+ \cdot V) =$$

$$= 2h \cos i / V_1 + x \sin(1 + \varphi) / V_1 - x \sin i \cos \varphi / V_1 = 2h \cos i / V_1 + x \sin \varphi \cos i / V_1$$

გამოდის, რომ  $t_0 = 2h \cos i / V_1 + x \sin \varphi \cos i / V_1 = (t_{01} + t_{02}) / 2$

მივიღეთ ასეთი შედეგი: თუ გვაქვს ორი სრული ჰოდოგრაფი (პირდაპირი და შებრუნებული), იმისთვის, რომ ვიპოვოთ  $t_0$ , პირდაპირი ჰოდოგრაფი ( $t^+$ ) დამუშავდება მოჩვენებითი სიჩქარით, რომელიც გამოითვლება შებრუნებული ( $t^-$ ) ჰოდოგრაფის მიხედვით ( $V^-$ ) და პირიქით, შებრუნებული ჰოდოგრაფი დამუშავდება მოჩვენებითი სიჩქარით, რომელიც გამოითვლება პირდაპირი ( $t^+$ ) ჰოდოგრაფის საშუალებით ( $V^+$ ). საძიებელი  $t_0$  მიიღება ამ სიდიდეების გასაშუალებით.

თუ გვაქვს მხოლოდ ერთი სრული, ხოლო მეორე არასრული ჰოდოგრაფი, რომლის გამოყენებითაც დაითვლება მოჩვენებითი სიჩქარე, მაშინ შესაძლებელია გარემოს სეისმური პარამეტრების პოვნა.

ჩვენი აზრით ეს შედეგი მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, რომელიც ხასიათდება რთული რელიეფით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმჭიდროვით, რის გამოც ყოველთვის ვერ ხერხდება სრულყოფილი სეისმური მასალის მიღება.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Епинатьева А.М. Физические основы сейсмических методов разведки М., изд -во МГУ, 1970.
2. Гурвич И.И. Боганик Г.Н. Сейсмическая методов разведка М., изд -во Недра, 1980.
3. Гамбурцев Г.А. Основы сейсморазведки. М., Гостоптехиздат, 1959.

### $t_0$ – ის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტი

კიტოვანი დ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ცნობილი მეთოდის  $t_0$ -ს მოდიფიცირებული ვარიანტი. ნაჩვენებია, რომ თუ გვაქვს ერთი სრული ჰოდოგრაფი, ხოლო მისი შემხვედრი ჰოდოგრაფი არასრულია, მაგრამ მისი საშუალებით შესაძლებელია მოჩვენებითი სიჩქარის გამოთვლა, მაშინ გვეძლევა საშუალება სავსაო სიზუსტით დავადგინოთ გარდამტეხი ზედაპირის ჩაწოლის სიღრმე და განვსაზღვროთ მისი პარამეტრები.

საკვანძო სიტყვები: სეისმომეტრია, გოდოგრაფი,  $t_0$  მეთოდი.

## THE MODIFIED VERSION OF $T_0$ METHOD

Kitovani D.

Abstract

The article refers to the modified variant of the well known method of  $t_0$ . It is shown that if there exists one complete hodograph and an oncoming hodograph is not complete, but with its help the apparent speed can be calculated. In this case it is possible to build the refractive border with adequate accuracy and to determine its parameters.

**Key words:** seismometry, hodograph,  $t_0$  method.

## МОДИФИЦИРОВАННЫЙ МЕТОД $T_0$

Китовани Д.

Реферат

В статье рассматривается модифицированный вариант известного метода  $t_0$ . Показано, что если имеется один полный годограф, а встречный годограф неполный, но с его помощью можно вычислить кажущуюся скорость, то в этом случае возможно с достаточной точностью построить преломляющую границу и определить ее параметры.

**Ключевые слова:** сейсмометрия, годограф, метод  $t_0$ .

## ESTIMATING QUANTILE FUNCTIONS IN TEMPORAL EARTHQUAKE ANALYSIS

<sup>1,2</sup>Sborshchikovi A., <sup>1</sup>Mepharidze E., <sup>1</sup>Chelidze T.

<sup>1</sup>*Mikheil Nodia Institute of Geophysics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

<sup>2</sup>*Business and Technology University, Tbilisi, Georgia*

a.sborshchikov@gmail.com

### Introduction

In recent decades, substantial research has deepened our understanding of the temporal behavior of seismic activity, consistent with contemporary views on the fractal organization of tectonic structures, fault networks, and hypocenter distributions. These studies emphasize that seismic processes are intrinsically complex and dynamic, often exhibiting “switching” or “shifting” patterns characterized by alternating periods of heightened and diminished earthquake occurrence. Despite these advances, the statistical properties and distributional features of inter-earthquake waiting times remain only partially resolved and, in several aspects, insufficiently explored [1-3]. This gap underscores the need for further investigation aimed at modeling and quantifying the temporal structure of seismicity using more sophisticated statistical tools.

Within modern statistics, the moment problem plays a central role and has extensive applications in mathematics, quantitative finance, economics, and insurance. Although the problem has been studied for more than three centuries, it continues to stimulate significant mathematical interest [4-6]. In this work, we consider the task of approximating and estimating the quantile function under the assumption that the statistical moments are known [7].

We can say that the moment problem has the only solution when the system of equations  $\int x^j dF(x) = \int x^j dG(x); j = 0, 1, \dots$ , has one solution,  $F=G$ .

### Material and methods

A range of nonparametric strategies for quantile function estimation has been proposed, including order-statistic methods examined by Harrell and Davis [8] and Bernstein polynomial-based approaches studied by Bolancé et al. [9] and Brewer [10].

The distinct contribution of this work is its applicability to cases where the underlying distribution is poorly known and only statistical moments are available, offering greater flexibility for modeling limited or incomplete data.

Here, we combine the analysis of earthquake waiting times with modern computational methods for quantile-function approximation. Both linear and nonlinear approaches are applied to investigate the temporal distributional patterns. Using waiting-time series from multiple seismic sources, we seek to identify key features of the temporal behavior of seismicity.

To address these challenges, we employ advanced statistical and computational techniques within a custom software framework. Three moment-based models are evaluated for quantile function estimation: one based on frequency moments, another on traditional moments, and a third using transposition moments.

## Results

For the analysis of inter-event times (waiting times), we employed data from the Southern California Seismic Catalog (<http://www.data.scec.org/ftp/catalogs/>). In particular, records from the Southern California Local Earthquake Catalog were utilized, covering the period from 1932 to 2013. This catalog is considered highly dependable due to its nearly uninterrupted data acquisition throughout the entire observation window.

The dataset was processed using custom software developed at the M. Nodia Institute of Geophysics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, which enabled the extraction of waiting times between successive earthquake occurrences. Using these waiting-time sequences, we generated an approximate quantile-function estimate based on the first model and compared the obtained results with the well-known Harrell-Davis estimator.

Our current catalog looks like this (Fig. 1):

	A	B	C	D	E	F	G	H	I
1	LONG	LAT	Year	Month	Day	MAG	DEPTH	Hour	Min
2	-115.571	32.552	1975	1	9	2.98	15.7	20	13
3	-115.51	32.673	1975	1	10	2.97	6	20	9
4	-115.234	32.431	1975	1	20	2.78	6	9	25
5	-115.191	32.27	1975	1	27	2.87	6	3	29
6	-115.174	32.454	1975	1	29	2.75	6	2	54
7	-115.476	32.188	1975	2	23	4.26	6	19	7
8	-115.519	32.215	1975	2	27	2.73	6	10	43
9	-115.078	32.219	1975	3	14	2.79	6	14	36
10	-115.037	32.43	1975	3	14	2.78	6	14	58
11	-115.104	32.283	1975	3	14	2.83	6	15	17
12	-115.129	32.318	1975	3	14	2.84	6	15	56
13	-115.103	32.332	1975	3	14	2.86	6	16	5
14	-115.149	32.322	1975	3	14	2.96	6	16	9
15	-115.101	32.343	1975	3	14	2.74	6	16	14
16	-115.232	32.513	1975	3	15	2.86	6	11	46
17	-115.257	32.516	1975	3	16	2.68	6	0	55
18	-115.266	32.455	1975	3	16	2.82	6	3	44
19	-115.086	32.331	1975	3	26	2.75	6	15	56
20	-115.722	32.493	1975	4	5	2.6	3.6	12	29
21	-115.738	32.504	1975	4	6	2.74	5.5	15	48
22	-115.748	32.476	1975	4	6	2.94	1.2	16	59
23	-115.059	32.16	1975	4	28	2.77	6	2	25
24	-114.877	32.28	1975	4	28	2.88	6	2	32
25	-114.845	32.19	1975	4	28	3.07	6	2	49
26	-114.844	32.196	1975	4	28	2.98	6	9	53

Fig. 1. Example of a working catalog.

After that, using a special program created at the M. Nodia Institute of Geophysics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, we extract the waiting time between earthquakes from this catalog. The resulting file has the following appearance (Fig. 2):

```
3834
952
321
201
232
75
87
724
827
564
287
3308
3612
1790
343
218
```

Fig.2. Waiting time data.

The next step in the research is to estimate the quantile function for the first model based on these data and compare it with the well-known Harrell Davis estimate. For this, we use the following formulas:

The subsequent analysis is conducted according to the formulations presented below.

$$\widehat{Q}_{HD} = \sum_{i=1}^n X_{(i)} \int_{\frac{i-1}{n}}^{\frac{i}{n}} \beta(y, [ax] + 1, \alpha - [ax] + 1) dy$$

$$Q_{a,\hat{s}}^-(x) = \sum_{k=a-[ax]}^a \sum_{j=k}^a \binom{a}{j} \binom{j}{k} (-1)^{j-k} \sum_{i=1}^n \Delta X_{(i)} \left( \frac{n-i+1}{n} \right)^j$$

$$\widehat{Q}_{\alpha}^-(x) = \sum_{i=1}^{n+1} \Delta X_{(i)} B_{\alpha} \left( \frac{i-1}{n}, x \right) = \sum_{i=1}^n \Delta X_{(i)} [B_{\alpha} \left( \frac{i-1}{n}, x \right) - B_{\alpha} \left( \frac{i}{n}, x \right)]$$

The behavior for different parameters for the first model will be as follows (Fig.3, Fig. 4).




Fig. 3. Comparison of estimates of Harrell Davis and the first model (frequency moments) for the waiting time when a)  $\alpha = 20, n = 100$  ; b)  $\alpha = 50, n = 100$  ; c)  $\alpha = 100, n = 100$  .






Fig. 4. Harrell Davis estimate for time intervals between earthquakes. Blue curve, black dots estimate of the quantile function, both cases a)  $\alpha = 30, n = 100$ ; b)  $\alpha = 30, n = 200$ ; c)  $\alpha = 30, n = 500$ ; d)  $\alpha = 40, n = 200$ . Southern California Catalog.

Modified versions of the quantile and quantile density function approximations were also considered. The paper presents graphical representations that show that the modified version has a better approximation compared to the conventional model. The robustness theorems were proven, which give us the convergence rate. Modified versions of the approximations were also introduced, whose behavior is better than the original models.

There are several methods for nonparametric estimation of the quantile function. Let us highlight a few, for example, the estimate presented in the paper by Harrell, Davis is a weighted sum of ordinal statistics.

Let us give a graphical representation of the behavior of estimating a quantile and a quantile density function.

Below we can see graphical images of comparison of the quantile function approximation with the Harrell-Davis model (Fig. 5).

The above images show that as  $n$  increases, the error decreases. The data allows us to select optimal  $\alpha$  values.

At the same time, for comparison, we have done the approximation for various worldwide earthquake catalogues (Kyrgyzia, Caucasus and Greece). The results of our analysis is given below (Fig.6, Fig. 7):




Fig. 5. Red curve: theoretical quantile function Blue points: approximation of the quantile function by the Harrell-Davis model: a)  $n=300$ ; b)  $n=200$ .




Fig. 6. Approximation of Harrell-Davis model blue curve and our model black points for Kyrgyzia earthquake catalogue here  $\alpha = 30$ ;  $n = 300$ .




Fig.7. Approximation of Harrell-Davis model blue curve and our model black points for a) Caucasus and b) Greece earthquake catalogues in both cases  $\alpha = 30$ ;  $n = 300$ .

The results of this study deepen our understanding of seismic behavior and, importantly, provide a foundation for future investigations aimed at clarifying the mechanisms that lead to major earthquakes.

It is worth noting the application of the approach to seismological data. In the paper, based on data from earthquake catalogs of various regions, the time intervals between earthquakes were calculated, and based on the obtained waiting times, arrays were created and the approaches proposed in the paper were applied, and compared with the well-known Harrell-Davis model.

## Conclusion

This work analyzes the time intervals between earthquake occurrences using selected datasets to approximate and estimate the quantile function. The proposed methodology has broad applicability, extending to disciplines such as financial mathematics, economics, and insurance. Adopted within a global framework, the study addresses key challenges shared across numerous scientific fields. Its contributions are both theoretical and practical: improving knowledge of the temporal distribution of earthquakes is essential for assessing seismic hazard and for advancing our understanding of the fundamental processes governing earthquake generation.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Telesca L., Matcharashvili T., Chelidze T., Investigation of the temporal fluctuations of the 1960-2010 seismicity of Caucasus, *Nat. Hazards Earth Syst. Sci.*, Göttingen Germany, 12, 2012, pp. 1905-1909.
2. Talbi A., Yamazaki F., Sensitivity analysis of the parameters of earthquake recurrence time power law scaling, *J. Seismol*, Springer, Netherlands, 13, 2009, pp. 53–72.
3. Molchan G., Intervent time distribution in seismicity: a theoretical approach, *Pure Appl Geophys.*, Springer, Netherlands, 162, 2005, pp. 1135–1150.
4. Mnatsakanov R., Sborshchikovi A., Recovery of a Quantile Function from Moments, *Journal of Computational and Applied Mathematics*, Elsevier, Netherlands, 315, 2017, pp. 354-364.
5. Mnatsakanov R., Sborshchikovi A., Recovery of quantile and quantile density function using the frequency moments, *Journal of Statistics and Probability Letters*, Elsevier, Netherlands, 140, 2018, pp. 53-62.
6. Sborshchikovi A., On Nonparametric Quantile Function Estimation Using Transformed Moments, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Tbilisi, Georgia, 11(3), 2017, pp. 22-27.
7. Cheng C., Parzen E., Unified estimators of smooth quantile and quantile density functions, *J. Statist. Plann. Inference*, Elsevier, Netherlands, 59, 1997, pp. 291-307.
8. Harrell F.E., Davis C.E., A new distribution-free quantile estimator, *Biometrika*, Oxford University Press, 69, 1982, pp. 635-640.
9. Bolance C., Guillen M., Nielsen, J., Transformation kernel estimation of insurance claim cost distributions. in: M. Corazza, et al. (Eds.), *Mathematical and Statistical Methods for Actuarial Sciences and Finance*, Springer-Verlag, Italy, 2010, pp. 43-51.
10. Brewer K.R.W., *Likelihood Based Estimation of Quantiles and Density Estimation*, 1986.
- 11.

## ESTIMATING QUANTILE FUNCTIONS IN TEMPORAL EARTHQUAKE ANALYSIS

**Sborshchikovi A., Mepharidze E., Chelidze T.**

### Abstract

This work introduces a new framework for estimating and approximating quantile and quantile-density functions based exclusively on known statistical moments. These moments are computed from the waiting times between consecutive earthquakes documented in global seismic catalogs. Three moment-based approximation schemes—frequency moments, classical moments, and transposition moments—are examined to assess their performance. In contrast to traditional methodologies, the proposed approach requires only moment information, providing a streamlined yet reliable strategy for quantile function estimation.

**Key Words:** Earthquake, Waiting time, Quantile function.

## დროითი მიწისძვრის ანალიზით კვანტილის ფუნქციების შეფასება

სბორშიკოვი ა., მეფარიძე ე., ჭელიძე თ.

### რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია კვანტილის და კვანტილის სიმკვრივის ფუნქციების შეფასების და მიახლოებითი დაანგარიშების ახალი ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ ცნობილ სტატისტიკურ მომენტებზე. ეს მომენტები გამოითვლება გლობალურ სეისმურ კატალოგებში დოკუმენტირებული თანმიმდევრული მიწისძვრების მოლოდინის დროების მონაცემებიდან. მათი ეფექტურობის შესაფასებლად განხილულია სამ მომენტზე დაფუძნებული მიახლოების სქემა – სიხშირის მომენტები, კლასიკური მომენტები და ტრანსპოზიციის მომენტები. ტრადიციული მეთოდოლოგიებისგან განსხვავებით, შემოთავაზებული მიდგომა მოითხოვს მხოლოდ მომენტის ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს კვანტილის ფუნქციის შეფასების გამარტივებულ, მაგრამ საიმედო სტრატეგიას.

**საკვანძო სიტყვები:** მიწისძვრა, მოლოდინის დრო, კვანტილის ფუნქცია.

## ОЦЕНКА ФУНКЦИИ КВАНТИЛЯ С ПОМОЩЬЮ АНАЛИЗА ЗЕМЛЕТРЯСЕНИЙ ВО ВРЕМЕНИ

Сборщиков А., Мепаридзе Е., Челидзе Т.

### Реферат

В статье представлена новая методика оценки и аппроксимации функций квантилей и функций плотности распределения квантилей, основанная только на известных статистических моментах. Эти моменты рассчитываются на основе времени ожидания последовательных землетрясений, документированных в глобальных сейсмических каталогах. Для оценки их эффективности рассматриваются три схемы аппроксимации на основе моментов: частотные моменты, классические моменты и транспозиционные моменты. В отличие от традиционных методологий, предлагаемый подход требует только информации о моментах, что обеспечивает упрощенную, но надежную стратегию оценки функции квантиля.

**Ключевые слова:** Землетрясение, Время ожидания, Функция квантиля.

## ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის არქეოგეორადიოლოკაციური კვლევა

ოდია დავითი დ., ჭელიძე თ., ღლონტი ნ., ქირია ჯ., იავოლოვსკაია ო.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი  
odildavit@gmail.com*

### შესავალი

საქართველო – კახეთი, საგარეჯო, ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი.

ნინოწმინდის ტაძარი VI საუკუნის საყურადღებო ძეგლია. ამენებულია წმინდა ნინოს დროსვე ძველ საკერპო ადგილას [1, 2].

ნინოწმინდის კომპლექსური გეოფიზიკური ექსპედიციის ფარგლებში ჩატარდა არქეოგეორადიოლოკაციური სამუშაო, გეორადარ Zond -12e, 500 მმც ეკრანირებული და 150 მმც დიპოლური სამტატო ანტენების გამოყენებით. [3, 4, 5, 6]. გეორადიოლოკაციური მონაცემები მოიკრიბა, დამუშავდა და ინტერპრეტირდა სამტატო პროგრამული უზრუნველყოფით Prizm 6. გეორადიოლოკაციური პროფილები გატარდა მონასტრის შიგა ეზოსა და საკუთრივ მონასტრის ტერიტორიაზე.

### პრობლემა/ამოცანა



ფოტო 1. ნინოწმინდის ტაძრის ნარჩენი კედლები და შემოგარენი კომპლექსის ტერიტორიაზე.




ფოტო 2. ნინოწმინდის ტაძრის ნარჩენი კედლები და შიდა ტერიტორია.

დიდი გუმბათქვეშა სივრცის შესაქმნელად ცენტრალური კვადრატის კუთხეებში ოთხ აფსიდს შორის დიაგონალურ ღერძებზე თითო დამატებითი მცირე სადგომია ჩასმული. გარედან ტაძარი გეგმით ვარსკვლავისებრი ნაგებობა იყო, სიდიდის მიხედვით მონაცვლეობით განლაგებული ნახევარწრიული მოხაზულობის შვერილი აფსიდებით. მხოლოდ საკურთხევლის აფსიდს შუა ნაწილში, სადაც სარკმლებია გაჭრილი, აქვს წახნაგოვანი ფორმა. შენობა წარმოადგენდა ტეტრაკონქის განვითარებულ სახეს და ჯვრის ტიპის ძეგლ-

თა უშუალო წინამორბედს. ტაძარი მრავალჯერ შეუკეთებიათ საფუძვლიანად (XI-XII სს., XVI ს.). დაინგრა 1824 და 1848 წლების მიწისძვრების დროს.

ნინოწმინდის კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოგეორადიოლოკაციური პროფილების განთავსების სქემატური ნახაზი 1.




სქემატური ნახაზი 1.

მცირე მართკუთხედი შეესაბამება ტაძრის ტერიტორიას, ხოლო დიდი მართკუთხედი შეესაბამება ტაძრის ეზოს. ისრებით ნაჩვენებია გატარებული გეორადიოლოკაციური ჭრილების დაახლოებითი მიმართულებები.

გამოყენებულია გეორადარი Zond-12e, საშტატო პროგრამული უზრუნველყოფა Prizm-2.6.

გეორადიოლოკაციური ჭრილები გატარდა 500მჰც ეკრანირებული და დიპოლური 150მჰც ანტენებით, ტაძრის გარეთა და შიდა ტერიტორიებზე გამოიყო სამი უბანი.


მოგვყავს ნინოწმინდის ტაძრის ეზოს ტერიტორიაზე, უბანი-1, გატარებული გეორადიოლოკაციური ჭრილების რადაროგრამები 500მჰც ანტენის გამოყენებით 7-8 მეტრი დაღრმავებებისთვის. ამასთან, პროფ. 1 და პროფ. 2 ერთმანეთს კვეთენ დაახლოებით 10მ დისტანციაზე პროფ. 1 და 17მ დისტანციაზე, პროფ. 2 თვის.



ნახ. 1. პროფ-1, შესრულდა 500მჰც ეკრანირებული საშტატო გეორადარული ანტენით. პროფილის სიგრძე – 21მ.


ნახ.1 წარმოდგენილ რადაროგრამაზე თეთრი წირებით მონიშნულია სიღრუსის შემცველი ვერტიკალური, ურთიერთ პარალელური ზედაპირების შემცველი ობიექტების რადიოსახეები, [7, 8, 9, 10], სავარაუდოდ ანტროპოგენული წარმოშობის მაგ. სამაროვანი, მიწისქვეშა სათავსი, და სხვა. ობიექტების რადიოსახეები, მათ შორის კონსტრუქციულად რთუ-

ლი აგებულების, რადაროგრამაზე განლაგებულია დისტანციებზე: 2-5მ, 6-9მ, 9-16მ. დისტანციებზე 17-20მ, მონიშნა მძლავრი ამრეკლადობის მასალისგან აშენებული რთული სტრუქტურის შემცველი (17-18.75მ) სიღრუე. ამ ობიექტის რადიოსახე მარჯვენა მხარით ეყრდნობა ასევე სიღრუის შემცველი ობიექტის რადიოსახეს. სამი მეტრის ქვევით, დისტანციებზე 1.25-6.5მ ასევე მონიშნა დეფორმირებული, სავარაუდოდ ანტროპოგენული წარმოშობის ობიექტის რადიოსახე.




ნახ. 2. პროგ. 2, შესრულდა 500მჰც ეკრანირებული საშტატო გეორადარული ანტენით. პროფილის სიგრძე -42მ.

ნახ. 2 წარმოდგენილ რადაროგრამაზე თეთრი წირებით მონიშნულია სიღრუის შემცველი ვერტიკალური, ურთიერთ პარალელური ზედაპირების შემცველი ობიექტების რადიოსახეები, სავარაუდოდ ანტროპოგენული წარმოშობის, მაგ. სამაროვანი, მიწისქვეშა სათავსი და სხვა. ობიექტების რადიოსახეები, მათ შორის კონსტრუქციულად რთული აგებულების, რადაროგრამაზე განლაგებულია დისტანციებზე: 10-15მ, 21-27მ. ასევე მძლავრი ამრეკლადობის მასალისგან აშენებული რთული, თაღური სტრუქტურის შემცველი 38-40მ სიღრუე. 2მ დაღრმავებაზე, დისტანციებზე 0-5მ ასევე მონიშნა საძირკვლის ნაწილის ტიპის ობიექტის რადიოსახე.




ნახ. 3 a-b. პროგ. 1-2, 500Mhz. 3D (Voxler-ში გაუსის ოპციის) შებრუნებული რაკურსით.

ნახ.3ა-ბ, პროფ.1, 2 – 3D ორივე რაკურსში მკაფიოდ იკითხება პროფილთა გადაკვეთის დერძზე სტრუქტურირებული სიღრუის არსებობა, ასევე, იკვეთება მძლავრი ამრეკლავი ობიექტების ლოკაცია პროფ. 1 საწყისთან და სასრულ მონაკვეთებთან, რომელნიც შეიცავენ სტრუქტურირებულ სივრცეებს.



ნახ. 4. პროფ-3, შესრულდა 500მპკვ ეკრანირებული საშტატო გეორადარული ანტენით. პროფილის სიგრძე -32მ.

ნახ.4 წარმოდგენილ რადაროგრამაზე თეთრი წირებით მონიშნულია სიღრუის შემცველი ვერტიკალური და დეფორმირებული, ურთიერთ პარალელური ზედაპირების შემცველი ობიექტების რადიოსახეები, სავარაუდოდ ანტროპოგენული, წარმოშობის განლაგებული ერთმანეთზე მაგ. სამაროვანი, ობიექტების რადიოსახეები, მათ შორის კონსტრუქციულად რთული აგებულების, რადაროგრამაზე განლაგებულია დისტანციებზე: 1-5მ, 10-12მ. დისტანციებზე 17-20მ, მოინიშნა მძლავრი ამრეკლადობის მასალისგან აშენებული რთული ღრუ, გადაფარვით, სტრუქტურის შემცველი (17-18მ) სიღრუე. ამ ობიექტის რადიოსახე მარჯვენა მხარით დაძრული და დეფორმირებულია. სამი მეტრის ქვევით, დისტანციებზე 0-1მ ასევე, მოინიშნა ფუნდამენტის ნარჩენის ნაწილის რადიოსახე.



ნახ. 5. პროფ. 4, შესრულდა 500მპკვ ეკრანირებული საშტატო გეორადარული ანტენით. პროფილის სიგრძე -30მ.


ნახ. 5 წარმოდგენილ რადაროგრამაზე ობიექტების რადიოსახეები, მათ შორის კონსტრუქციულად რთული აგებულების, პროფ. 4 განლაგებულია დისტანციებზე: 0-9მ, დისტანციებზე 11-13მ, 26-27მ მოინიშნა რთული, ჩაქცეული სტრუქტურის შემცველი ირიბი განლაგების სიბრტყეები. ამ ობიექტის რადიოსახე მარჯვენა მხარით ეყრდნობა 28-39მ ჩაქცეული ოვალურის მსგავსი სიღრუის შემცველი ობიექტის რადიოსახეს.



**უზანი 1, დასკვნა:** პროფ. 1 და პროფ. 2 გადაკვეთის ადგილას ფიქსირდება საერთო რადიოსახე, რომელიც შეესაბამება სავარაუდოდ ანტროპოგენულ სიღრუეს 2x2მ გაბარიტებით, დისტანციაზე 10.5მ პროფ.1 და 17.5მ პროფ. 2-სთვის.

მოტანილ პროფ. 1, 2, 3, 4, რომლებიც შესრულდა გეორადარ Zond-12e ით თავისი 500მჰც ეკრანირებული ანტენით გამოიკვეთა მრავლობითი, სხვადასხვა ტიპის სიღრუების წარმოდგენი გეორადიოლოკაციური რადიოსახეები, რომლებიც შეესაბამებიან ანტროპოგენულ ობიექტებს. მათი მდებარეობა და დაღრმავება განისაზღვრება შესაბამისი კოორდინატებით რადაროგრამებიდან მითითებულ დისტანციებსა და დაღრმავებებზე.


**ტაძრის ტერიტორიაზე ჩატარებული გეორადიოლოკაციური პროფილები, უზანი 2.**



*ნახ. 6. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 1t გეორადარული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 17მ.*


ნახ. 6 წარმოდგენილ რადაროგრამაზე თეთრი წირებით მონიშნულია მაღალი ამრეკლადობის და სიღრუის შემცველი ვერტიკალური, ურთიერთ პარალელური ზედაპირების შემცველი ობიექტების რადიოსახეები, მაგ. ფუნდამენტის ნარჩენი, დამარხული კედელი, სამაროვანი, მიწისქვეშა სათავსი და სხვა. ობიექტების რადიოსახეები, მათ შორის კონსტრუქციულად რთული აგებულების, რადაროგრამაზე განლაგებულია პრაქტიკულად მიჯრით. გამოიყოფა პირობითად ფუნდამენტის ნარჩენები დისტანციებზე: 1-2მ, 12.5-15მ.

დისტანციებზე 2-4მ მოინიშნა ამრეკლადობის მასალისგან აშენებული რთული სტრუქტურის შემცველი სიღრუე. 15-17მ დისტანციებზე მოინიშნა რთული (ერთმანეთზე განლაგებული სამი სიღრუე), ანტროპოგენული ნიშნებით.




*ნახ. 7. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 2t გეორადარული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 9მ.*

ნახ. 7 1.8-3.5მ დისტანციებზე, 2მ-ის ქვემოთ მონიშნა დეფორმირებული სიღრუე, 3.5-5.5მ დისტანციებზე მონიშნა სამკამერიანი სიღრუე, ამათგან მარჯვენა ქვედა ნაკლებ დაზიანებული უნდა იყოს. 5.9-6.5მ დისტანციებზე მონიშნა 12.3მ დისტანციის მიმართ ღერძით 4.5მ სიმეტრიული გაბარიტული ობიექტი. 7.3-3.8მ დისტანციებზე მონიშნა სიღრუები.



ნახ. 8. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ.3t გეორადარული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 11მ.

ნახ. 8 რადაროგრამაზე წარმოდგენილი პროფილი 3t-ს ინტერპრეტაციის შედეგად გამოვლინდა 1-10მ დისტანციებზე პარალელური კედლების დამახასიათებელი რადიოსახე ე.წ. „ბოუ-თაი“, რომლის მიხედვითაც შეიძლება ითქვას რომ ეს ამრეკლავი პარალელური ვერტიკალური სიბრტყეები დაშორებულია ერთმანეთისგან 10-11მ-ზე. ამავე დროს სიმეტრიულად არის განლაგებული ობიექტთა ღრუ, ამომწებულ ობიექტთა რადიოსახეების ერთობლიობა 2.5-14მ დისტანციებზე.




ნახ. 9. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ.4t გეორადარული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 9მ.


ნახ. 9 რადაროგრამა პროფ.4t გარკვეულ წილად, დეფორმირებულად, მაგრამ იმეორებს წინა ორი პროფილის რადიოსახეებს. რაც მიუთითებს ტაძრის იატაკის ქვეშ ერთიანი არქიტექტურული სისტემის არსებობას.

ნახ. 10 (a, b, c) პრ-1t, 2t, 3t, 4t-3D. პროფ.1t კვეთს პროფ. 2t, 3t, 4t კვეთის ღერძები მკაფიოდ მონიშნავენ სინფაზურობის ღერძების გაგრძელებებს ერთ სიბრტყეში, რაც მიუთითებს ამრეკლავი ობიექტის განგრძობით ხასიათზე. ასევე პროფ. 2t 3t 4t მიუთითებენ სივრცულად ერთიანი, მაგრამ მიწურვადი ხასიათის მქონე ობიექტის არსებობაზე 2t დან 4t სკენ ზედაპირის მახლობლობაში 3მ დაღრმავებამდე დისტანციებზე 4-9მ, 7-9, 7-8მ. ეს ობიექტი მკაფიოდ და ცალსახად იკითხება.

მკაფიოდ დასტურდება და შესანიშნავად იკითხება წინა სურათზე დაფიქსირებული რადაროგრამების ინტერპრეტაციით მიღებული შედეგები. მონიშნა სტრუქტურირებული ფორმირებული განგრძობითი ობიექტების არსებობა რადიოსახეების მიხედვით.




a



b


ნახ. 10 a, b. პრ-1t, 2t, 3t, 4t-3D (Voxler-ში) შეზღუდული რაკურსით.



c


ნახ. 10c. პროგ. 1t, 2t, 3t, 4t – 3D (Voxler-ში).

Voxler პროგრამული უზრუნველყოფით დამუშავებისას და გაუსის ოპციის გამოყენებით მიღებული 3D რადაროგრამების მკვეთი ერთობლიობიდან, ასევე, დასტურდება განგრძობითი ობიექტების არსებობა ნინოწმინდის მონასტრის იატაკქვეშა სივრცეში მითითებულ უბან 2-თვის.




ნახ. 11. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 5t გეორადრული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 8.8მ.

ნახ. 11-ზე წარმოდგენილია ამბიონზე გამავალი პროფილ 5t, რადაროგრამა. გამოყოფილია სამი, მიჯრით განლაგებული სამაროვანის მსგავსი ობიექტის რადიოსახე. ობიექტების ლოკაცია მონიშნულია თეთრი წირებით.




ნახ. 12. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 6t გეორადრული ჭრილი, პროფილის სიგრძეა 6.8 მ.

ნახ. 12-ზე წარმოდგენილია ამბიონზე გამავალი პროფილ 6t, მართობული პროფ-5t რადაროგრამა. გამოყოფილია ძირითადი ოთხი, ასევე განლაგებულია მცირე, დაახლოებით 1x0.8მ სამაროვანის მსგავსი ობიექტის რადიოსახე. ობიექტების ლოკაცია მონიშნულია თეთრი წირებით.



ნახ. 13a




ნახ. 13 (a, b, c, d, e) პროფ. 5t, 6t, 3D – Voxler-ში (გაუსის ოპციის) შებრუნებული რაკურსით


ნახ. 13 (a, b, c, d, e). მოტანილი პროფილების 5t და 6t კვეთის ღერძზე აგებული სამ-განზომილებიანი რადიოსახე ოთხ 90 გრადუსით მობრუნებული რაკურსისთვის ფიქსირდება 3მ-დე დაღრმავებაზე მდებარე ღრუ, ანტროპოგენული წარმოშობის ობიექტის არსებობა. 10მ e, ობიექტის რადიოსახე მოიაზრება როგორც სიღრუის შემცველი ობიექტის რადიოსახის ნაწილი.

### ნინოწმინდის ტაძრის ეზოს ტერიტორიაზე გატარებული გეორადარული ჭრილები

ნახ.14 რადაროგრამაზე (პროფ. 1, 150მჰც) გამოიკვეთა 0-1.5მ დისტანციაზე განთავსებული სავარაუდოდ ფუნდამენტისმაგვარი ობიექტის რადიოსახე 2-4მ დისტანციებზე დეფორმირებული „ბოუ-თაი“ ფიქსირდება, სიღრუეა. 7-10მ დისტანციაზე მოინიშნა შევსებული სიღრუის მაგვარი ობიექტის რადიოსახე. 6-20მ დისტანციებზე მოინიშნა გაბარიტული „ბოუ-თაი“.




ნახ. 14. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 1 გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 21მ.




ნახ. 15. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 2 გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 42მ.

ნახ. 15 რადაროგრამაზე (პროფ. 2, 150მჰც) გამოიკვეთა რიგი ცილინდრულ-კუთხოვანი ღრუებისა, მონიშნულია თეთრი წირებით. ამათგან 1-7.5მ დისტანციებზე ფიქსირდება „ბოუ-თაი“-ს ტიპის სუსტად დეფორმირებული, ღრუ ანტროპოგენული ობიექტის რადიოსახე. 5-15მ დისტანციაზე იკითხება დეფორმირებული „ბოუ-თაი“.



ნახ. 16. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 3 გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 32მ.

ნახ.16 რადაროგრამაზე (პროფ. 3, 150მჰც) გამოიკვეთა რიგი ცილინდრულ-კუთხოვანი ღრუებისა ზოგი ნაწილობრივ შევსებულია ნაშალი მასალით, მონიშნულია თეთრი წირებით, ამათგან 1-3.5მ, 2.5-5მ და 5-25მ დისტანციებზე ფიქსირდება „ბოუ-თაი“-ს ტიპის ობიექტის რადიოსახე. 5-15მ დისტანციაზე იკითხება დეფორმირებული „ბოუ-თაი“.




ნახ. 17. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ-4 გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 30მ.

ნახ.17 12.5-28მ დისტანციაზე იკითხება დეფორმირებული „ბოუ-თაი“ (პროფ. 4, 150მჰც).


პროფ. 1, 2, 3, 4 როგორც პარალელურ, ასევე მართობულ პროფილებზე იკითხება საშუალოდ 5მ სიღრმიდან 8.5მ დაღრმავებებზე ვერტიკალური ამრეკლავი ობიექტების არსებობა, რაც დასტურდება მსგავსი „ბოუ-თაის“ ტიპის რადიოსახეების არსებობით, შესაძლოა ისინი ერთიანი არქიტექტურული ობიექტის ნაწილებს წარმოადგენდნენ პროფილების შესაბამისი გადაკვეთების შედეგად მიღებულ რადაროგრამებზე წარმოჩენით.

**ტაძარის შიდა ტერიტორია, 150 მჰც**




ნახ. 18. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 1t გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 17მ.

ნახ.18 წარმოდგენილი რადაროგრამა (პროფ.1t, 150მჰც) წარმოადგენს სიმეტრიულად განლაგებულ ობიექტების რადიოსახეს, რომელიც ეყრდნობა 5მ დაღრმავებაზე გეოელექტრულ ფენათა გამყოფ საზღვარს. 6.25 მეტრის ქვეშ გამოიკვეთა, კვეთში ცილინდრული ობიექტის კვეთის, რადიოსახე.




ნახ. 19. რადაროგრამაზე წარმოდგენილია პროფ. 3t გეორადარული ჭრილი, 150მჰც ანტენით, პროფილის სიგრძეა 11მ.

ნახ. 19 წარმოდგენილი რადაროგრამა (პროფ.3t, 150მჰც) წარმოადგენს ნაწილობრივ სიმეტრიულად განლაგებულ ობიექტების რადიოსახეს, რომელიც ეყრდნობა 5მ დაღრმავებაზე გეოელექტრულ ფენათა გამყოფ საზღვარს. 6.5 მეტრის ქვეშ გამოიკვეთა, კვეთში ცილინდრული ობიექტის კვეთის, რადიოსახე 0-7.5მ დისტანციებზე. მონიშნა, აგრეთვე, რიგი „ბოლ-თაი“-სა თეთრი წირებით.



ნახ. 20 (a, b, c, d)





ნახ. 20 (e, f). პროგ.1t-3t, 3D – Voxler-ში (გაუსის ოპციის), შებრუნებული რაკურსით, 150მპკ ანტენით.

ნახ. 20 (a, b) წარმოაჩენს ორ სხვადასხვა რაკურსში ჯვრის ტიპის ობიექტის არსებობას ზედაპირიდან 4მ დაღრმავებამდე, ობიექტის რადიოსახე მკაფიოდ იკითხება.

ნახ. 20 (c, d, e, f) წარმოდგენილია 90 გრადუსით მობრუნებული მკვეთი პროფილებით მიღებული ობიექტის რადიოსახე, რომლის ინტერპრეტაციით ცალსახად იკვეთება სიღრუის მქონე სამგანზომილებიანი ანტროპოგენული წარმოშობის ობიექტის არსებობა.

### დასკვნა

ნინოწმინდის კომპლექსის ტერიტორიაზე გეორადარული 500მპკ და 150მპკ ანტენებით ჩატარებული სადაზვერვო,წინასწარი არქეოგეორადიოლოკაციური კვლევის შედეგად გატარდა 0.5მ და 1.5მ სიგანის გეორადიოლოკაციური ჭრილები. არქეოგეორადიოლოკაციური პროფილების ინტერპრეტაციის შედეგად გამოიკვეთა მიწისქვეშა განლაგების ობიექტების რადიოსახეების ლოკაციისა და გვარობის დამახასიათებელი ნიშნები.

1. კერძოდ, მონიშნა სიღრუების მკაფიოდ, დეფორმირებულად და ნაწილობრივ ჩამოლილად განლაგების ადგილები;
2. მონიშნა მიწისქვეშა განლაგების გაბარიტული (10-15 მ) დაშორების პარალელური კედელ-ფუნდამენტები სხვადასხვა პროფილებზე;
3. სამგანზომილებიანი ბრუნვითი რაკურსით დანახული რადიოსახეები მიუთითებენ ანტროპოგენული წარმოშობის მოცულობითი ობიექტების არსებობაზე, როგორც ტაძრის შიგნით ასევე მის გარეთ;
წლიური რაოდენობის ცვალებადობა 1995-2024 წლებში და  
მათი მოსალოდნელი ცვლილება 2030 წლამდე**

**ამირანაშვილი ა., ბროკა ლ., ჭელიძე თ., სვანაძე დ.,  
წამალაშვილი თ., ვარამაშვილი ნ.**

**რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც შეისწავლის საქართველოში რეგისტრირებული მეწყერების (LS) და ღვარცოფების (MF) წლიური რაოდენობის ცვალებადობას 1995 წლიდან 2024 წლამდე და მათ მოსალოდნელ ცვლილებებს 2030 წლამდე. შესწავლილი იქნა LS და MF მნიშვნელობების დროითი სერიების სტაბილურობა მათი დროთა განმავლობაში კორელაციის განსაზღვრით (წრფივი კორელაცია, კენდალისა და სპირმანის რანგული კორელაცია). განისაზღვრა LS და MF მნიშვნელობების დროითი სერიების ავტოკორელაციის დონე. შესწავლილი იქნა ამ დროითი სერიების პერიოდულობა. ჩატარდა LS და MF მნიშვნელობების ინტერვალური პროგნოზირება 2030 წლამდე, დაკვირვების სერიების პერიოდულობის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** მეწყერი, ღვარცოფები, სტიქიური უბედურებები, ინტერვალური პროგნოზირება.

**ИЗМЕНЧИВОСТЬ ЕЖЕГОДНОГО ЧИСЛА РЕГИСТРИРОВАННЫХ  
ОПОЛЗНЕЙ И СЕЛЕЙ В ГРУЗИИ В 1995-2024 ГОДАХ И  
ИХ ОЖИДАЕМОЕ ИЗМЕНЕНИЕ ДО 2030 ГОДА**

**Амиранашвили А., Брокка Л., Челидзе Т., Сванадзе Д.,  
Цамалашвили Т., Варамашвили Н.**

**Реферат**

В работе представлены результаты исследования особенностей изменчивости ежегодного числа зарегистрированных оползней (LS) и селей (MF) в Грузии в 1995-2024 годах и их ожидаемое изменение до 2030 года. Изучена устойчивость временных рядов значений LS и MF путем определения их корреляционных связей со временем (линейная корреляция, ранговая корреляция Кендалла и Спирмена). Определен уровень автокорреляции во временных рядах значений LS и MF. Изучена периодичность указанных временных рядов. Проведено интервальное прогнозирование значений LS и MF до 2030 г. с учетом периодичности в рядах наблюдений.

**Ключевые слова:** оползни, сели, стихийные бедствия, интервальное прогнозирование.

## მსხვილმასშტაბოვანი ატმოსფერული გრიგალების ფაზურ პორტრეტებთან დაკავშირებით

კერესელიძე ზ.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

### შესავალი

არსებობს მოწესრიგებული მოძრაობის ქაოტურში გადასვლის სხვადასხვა სცენარები, რომელთა სათავეა ლანდაუს მოდელი და მისი განვითარება – რუელტაკენის მოდელი. ამ სცენარების მიხედვით ლამინარული ჰიდროდინამიკური მოძრაობის ფაზიდან ტურბულენტურ (ქაოტურ) ფაზაში გადასვლა ხდება ე.წ. ხოფის ბიფურკაციების უსასრულო კასკადის საშუალებით. მაგალითად, გიგანტური ატმოსფერული გრიგალის (ქარბორბალა, ტორნადო) შემთხვევაში ეს პროცესი ნიშნავს, რომ გრიგალის არეში გენერირებული ტურბულენტური პულსაციების ინტენსივობა, ანუ ხოფის ბიფურკაციების უსასრულო მიმდევრობით გამოწვეული დისკრეტული სიხშირული სპექტრის სიმძლავრე, კასკადური გაორმაგებების გამო, ფართოვდება, თანდათან უწყვეტი ხდება და მისიწრაფის გარკვეული ზღვარისაკენ. ამ პროცესის საწყის ეტაპზე ზვავისებურად ზრდადი სიხშირეების სპექტრის სიმძლავრე თანდათან მიიღევა, რაც, ატმოსფერული გრიგალის კონკრეტულ შემთხვევაში, მის დისიპაციას ნიშნავს. ლანდაუს მოდელისაგან განსხვავებით, რუელ-ტაკენის მოდელში ქაოსში გადასვლა საწყისი რეგულარული (ლამინარული) მოძრაობიდან გაცილებით სწრაფად ხდება ე.წ. „უცნაური ატრაქტორის“ ფაქტორის მოქმედების გამო. ამ ფაქტორის არსებობა ლამინარულად მოძრავი სითხით გლუვი ზედაპირების გარსდენის ამოცანაში დაკავშირებულია კრიტიკული წერტილის არეში ნავიე -სტოქსის განტოლების ანალიზური ამონახსნების სინგულარობასთან.

უწყვეტი გარემოს დინების სპეციფიკაზე და მისგან გამომდინარე მათემატიკურ გართულებებზე ადექვატურ წარმოდგენას იძლევა ფაზური სივრცე, რადგანაც მისი საშუალებით ხდება დინების წირების ყოფაქცევის ვიზუალიზაცია გარსდენადი ზედაპირის კრიტიკული წერტილის არეში. ქარბორბალასა და ტორნადოს თეორიული მოდელირების პრობლემა აბსტრაქტულია. ეს დასკვნა ზოგადია და შეეხება როგორც ამოცანის დასმას, ასევე მისი გადაწყვეტისათვის გამოყენებულ მეთოდიკებს. ეს შენიშვნა სამართლიანია აგრეთვე მოცემულ ნაშრომთან მიმართებაშიც, რომელიც წარმოადგენს ქარბორბალასა და ტორნადოს შორის ტოპოლოგიური მსგავსების წარმოჩინების ცდას ფაზურ სივრცეში მარტივი წრფივი სისტემების განსაკუთრებული წერტილების მეთოდის გამოყენებით. ქარბორბალა და ტორნადო ისეთი სტოქასტური ატმოსფერული მოვლენებია, რომელთათვისაც სტაბილური მახასიათებელი ელემენტების არსებობა და მათი სრულფასოვანი მოდელირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, აბსოლუტურად ქაოტური მოვლე-

ნის ფონზე, ლამინარულად მოძრავი გარემოსათვის მახასიათებელი დინების წირების მიახლოების გამოყენება არც თუ კორექტულია. თუმცა, გამამარტივებელი დაშვებების პირობებში, განსაკუთრებული სტრუქტურული ელემენტების (კრიტიკული წერტილი) არეში ქარბორბალისა და ტორნადოს ტოპოლოგიის მოდელირებისათვის, შესაძლებელია ინტერესს წარმოადგენდეს ფაზური პორტრეტების მეთოდი. ასეთი დაშვებადობის სამართლიანობის სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეს არის საკმაოდ ცნობილი მათემატიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება როგორც გადაუგვარებელი, ასევე გადაგვარებული მახასიათებელი დეტერმინანტის მქონე დიფერენციალური განტოლებების ანალიზისათვის. ასეთია, მაგალითად, ნავიე-სტოქსის განტოლება, უფრო ზუსტად, ამ განტოლების კომპონენტების (გეგმილების) სრული სისტემა, რომლის მახასიათებელი დეტერმინანტის გადაგვარება შესაძლებელია მხოლოდ გარსდენადი ზედაპირის კრიტიკული წერტილის მახლობლობაში, სასაზღვრო დენის წირებით შემოსაზღვრული „მოწყვეტის“ ზედაპირის არეში. ცნობილია, რომ აქ შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთი ტოპოლოგიური სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან დენის წირების ასიმპტოტიკური მისწრაფებების მრავალფეროვან სურათებს. მათი სიმრავლე დამოკიდებულია ნავიე-სტოქსის განტოლების მახასიათებელი დეტერმინანტის საკუთარ რიცხვებზე.

**ქარბორბალა, ტორნადო და ქაოსი.** დინამიური სისტემა წარმოადგენს ისეთ ობიექტს ან პროცესს, რომლისთვისაც ცალსახად განისაზღვრება მდგომარეობის მცნება, როგორც გარკვეული რაოდენობრივი მახასიათებლების ერთობლიობა დროის რომელიღაც მომენტში. ამასთან, მოცემული უნდა იყოს საწყისი მდგომარეობის დროში ევოლუციის განმსაზღვრელი კანონი ან მასთან მიახლოებული სქემა. მხოლოდ ასეთი პირობის დაცვის შემთხვევაში იქნება მათემატიკური თვალსაზრისით კორექტული ნებისმიერი ფიზიკური პროცესის მოდელირება. მაგალითად, მსხვილმასშტაბოვანი ატმოსფერული გრიგალების აქამდე ცნობილი თვისობრივ-რაოდენობრივი მოდელები, როგორც წესი, წარმოადგენენ მრავალრიცხოვანი მეტეოროლოგიური მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგს. მიუხედავად ამისა, მორფოლოგიური ანალიზის შედეგებისა და თეორიული წარმოდგენების სრულფასოვანი გაერთიანება ერთიანი თეორიის ფარგლებში მაინც ვერ ხერხდება. ამის მთავარი მიზეზია გიგანტური ატმოსფერული გრიგალების დროში და სივრცეში ევოლუციის პროცესის არაცალსახობა. თუმცა, ფიზიკური პროცესის ხასიათის თვალსაზრისით, არსებობს გარკვეული მსგავსება ერთნაირი თერმოდინამიკური ბუნების მქონე ორ მოვლენას, ქარბორბალასა და ტორნადოს, შორის. მაგალითად, ქარბორბალას იწვევენ დედამიწის არაერთგვაროვნად ცხელი ზედაპირიდან აღმავალი ჰაერის ნაკადები. ამ ლოკალური ატმოსფერული პროცესის განვითარების დროს ჰაერის ცირკულაციის ინტენსივობა მკვეთრად იზრდება ქარბორბალას პერიფერიიდან მისი ცენტრისაკენ, რომელშიც ბრუნვითი მოძრაობის სიჩქარე მნიშვნელოვნად იზრდება. მისი მახასიათებელი სიდიდე ჩვეულებრივ აღწევს რამდენიმე ათეულ მეტრს წამში. დედამიწის ზედაპირიდან წარტაცებული მტვრის ნაწილაკების კვალი აჩვენებს, რომ ქარბორბალას შიგნით ჰაერის მასის მოძრაობა აღმავალია და ხრახნისებური ბრუნვის ხასიათს ატარებს. გარკვეული დროის განმავლობაში ქარბორბალა რეგულარულ ფორმას ინარჩუნებს, რის გამო მისი სივრცეში გადაადგილების სურათი საკმაოდ ექვემდებარება მექანიკური მოძრაობის კანონებს. მსგავსი რამ არ ახასიათებს ტორნადოს, რომელიც წარმოადგენს გიგანტური სივრცული მასშტაბების მქონე განსაკუთრებულ ბუნებრივ ფენომენს. მისი ჩასახვა, ქარბორბალასაგან

განსხვავებით, ხდება ე.წ. „დედა“ ღრუბელში, საიდანაც ტორნადოს სხეული დედამიწისაკენ ეშვება გრძელი „ხორთუმის“ სახით. ტორნადოს შიგნით ჰაერი ბრუნავს განსაკუთრებით დიდი ხაზოვანი სიჩქარით, რომელიც შეიძლება ერთი რიგითაც კი აღემატებოდეს ჩვეულებრივი ქარბორბალასთვის დამახასიათებელ სიჩქარეს. ტორნადოს გააჩნია ე.წ. „თვალი“, ატმოსფერული მასის სტაგნაციის არე, ანუ უძრაობის (შტილის) ზონა. ქარბორბალასაგან განსხვავებით, მისი პირველწყარო, „დედა“ ღრუბელი, წარმოადგენს მცირე ზომის ქარიშხლის არეს, რომელსაც სივრცეში აქვს სპირალური სტრუქტურა, მიმართული ღრუბლიდან დედამიწისაკენ. მახასიათებელი სივრცული მასშტაბებიდან გამომდინარე, ქარბორბალა, ენერგეტიკული თვალსაზრისით, შეიძლება მივაკუთვნოთ ატმოსფერული თერმოდინამიკური სისტემის ლოკალური შემფოთების შედეგს. ამ დროს გიგანტური ზომის მქონე ტორნადო ქარბორბალაზე შეუდარებლად მძლავრია და მისი დამანგრეველი მოქმედება გაცილებით უფრო მასშტაბურია. ამიტომ, ფიზიკური თვალსაზრისით, ტორნადოს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ატმოსფეროს ლოკალურ შემფოთებასთან, არამედ ექსტრემალური მახასიათებლების მქონე ღია თერმოდინამიკური სისტემის წარმოქმნასთან დიდი ხაზოვანი მასშტაბების მქონე სივრცეში. სავარაუდოდ, შესაძლებელია, რომ სწორედ ამიტომ არ არსებობს ტორნადოს, როგორც განსაკუთრებით კატასტროფული ბუნებრივი მოვლენის, ადექვატური თეორია. მაგალითად, ასახსნელია, თუ რატომ დაიკვირვება ტორნადოს „თვალის“ მახლობლობაში მასთან შედარებით გაცილებით უფრო მცირე სივრცული მასშტაბების მქონე გრიგალების ერთობლიობა [1-5].

განსხვავებული გენერაციის მექანიზმებისა და სივრცული მასშტაბებისა მიუხედავად, თუ გლუვი ზედაპირების ჰიდროდინამიკური გარსდენის თეორიას მოვიშველიებთ, აშკარაა, რომ ტოპოლოგიური თვალსაზრისით ფაზურ სივრცეში არსებობს გარკვეული მსგავსება ქარბორბალასა და ტორნადოს მახასიათებლებს შორის. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ასეთი მსგავსება შესაძლებელია თვისობრივად ახსნილი იყოს ლამინარული უკუმშვადი გარემოს მიახლოებაში, რომელთანაც გაიგივებულია მოძრავი ატმოსფერული მასა. კერძოდ, საკითხი ეხება დინების წირების მიახლოებაში ქარბორბალასა და ტორნადოს ვირტუალური ტოპოლოგიური სურათების მსგავსებას მათი კრიტიკული წერტილების არეში.



ნახ.1. ქარბორბალა.

**ტოპოლოგიური მსგავსება ქარბორბალასა და ტორნადოს შორის.** ქარბორბალას ენერჯის წყარო არის თბილი ჰაერის არაერთგვაროვნად მბრუნავი აღმავალი ნაკადი. ქარბორბალას ცენტრალური, სტრუქტურულად ტოროიდალური სხეულის მსგავსი, ნაწილი, ე.წ. „ხორთუმი“, დედამიწის ზედაპირიდან მკვეთრად მიისწრაფის ზევით და საკმაოდ მაღლა ჰორიზონტალურად იშლება. ამასთან, მხედველობაში მისაღებია, რომ ქარბორბალა რეალურად ატმოსფეროში ისახება, და არა დედამიწის ზედაპირზე. მისი განვითარების საწყისი მიზეზი ღრუბელში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესია. დროთა განმავლობაში ქარბორბალაში შექოვილი ჰაერი, მასში შერეული ორთქლის კონდენსაციის შედეგად, ცივდება და დაბლა ეშვება, თუმცა, ჰაერის მასა, მისი სიმკვრივის ზრდის მიუხედავად, განაგრძობს ბრუნვას წარმოსახვითი ვერტიკალური ღერძის ირგვლივ. ქარბორბალა, ისევე, როგორც ტორნადო, საკმარისი მდგრადობით ხასიათდება და დედამიწის ზედაპირზე საკმაოდ დიდ მანძილებზე გადაადგილებისას გარკვეული ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ძაბრისებურ სტრუქტურას. ამ დროს შექოვილი მასის ბრუნვის ხაზოვანი სიჩქარე ქარბორბალას პერიფერიიდან მისი „ხორთუმის“ (ძაბრის ყელი) მიმართულებით 10მ/წმ მახასიათებელი სიდიდიდან ნახევარი რიგით და უფრო მეტადაც შეიძლება გაიზარდოს. ენერგეტიკული თვალსაზრისით ქარბორბალასთან შედარებით არათანაზომიად ძლიერი, გიგანტური ზომების მქონე სტოქასტიკური ბუნების ქარიშხლის, ტორნადოს, გენერაცია ჩვეულებრივ მსოფლიო ოკეანეში (იშვიათად, დიდი წყალსაცავების არეში) ხდება. ტორნადო, ქარბორბალას მსგავსად, როგორც კატასტროფული ბუნებრივი მოვლენა, მორფოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, ხოლო მისი დამანგრეველი ქმედებების შედეგები მრავალგზის დეტალურად არის გაანალიზებული. მიუხედავად ამისა, ამ ატმოსფერული მოვლენის სრულფასოვანი თეორიული მოდელირება დაკავშირებულია გადაულახავ მათემატიკური ხასიათის პრობლემებთან [4,5]. ასეთი ვითარება იმ თერმოდინამიკური ფაქტორების ვარიანტულობის შედეგია, რომელთა ერთობლივი მოქმედება აყალიბებს ტორნადოს გენერაციის ხელშემწყობ ფიზიკურ პირობებს. ზოგადად, ტორნადოს თეორიული მოდელირების ამოცანა დაკავშირებულია სამგანზომილებიანი თერმო-გაზოდინამიკური მოძრაობის განტოლებათა სისტემის ქვაკუთხედური ამოცანის ამოხსნასთან რეალური გარემოს დინამიკისათვის დამახასიათებელ საწყის და სასაზღვრო პირობებში. ჯერჯერობით, ასეთი ამოცანის ცალსახად გადაწყვეტა აღემატება თანამედროვე ანალიტიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობებს [5]. თუმცა, გარკვეული დაშვებების პირობებში, შესაძლებელია მსგავსი განსაკუთრებით პრობლემური ამოცანის გამარტივებული ვარიანტების გამოკვლევა. ასეთ შემთხვევათა შორის, თვისობრივი დასკვნების თვალაჩინოების თვალსაზრისით, საკმაოდ სასარგებლოდ წარმოგვიდგება ფაზური სივრცის მეთოდი. ცნობილია, რომ ის იძლევა მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებების გაწრფივებული სისტემების ანალიზური ამონახსნების ასიმპტოტიკური ყოფაქცევის საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენებს უწყვეტი ტანის დინების წირების ყოფაქცევის ტოპოლოგიური სურათების საშუალებით [6,7].

გაწრფივების ოპერაცია ეყრდნობა დაშვებას, რომ მოძრაობის პროცესის აღმწერ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებებში შეიძლება დავტოვოთ მხოლოდ პირველი რიგის სიმცირის წევრები კოორდინატებისა და სიჩქარის მცირე შეშფოთებების მიმართ. მაგალითად, გლუვი ზედაპირების კრიტიკული წერტილის მახლობლობაში ჰიდროდინამიკური

გარსდენის პრობლემა ჩვეულებრივ დაკავშირებულია ნავიე-სტოქსის განტოლების ამოხსნასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ განტოლების სრულფასოვანი ანალიზური ამოხსნა, მარტივი შემთხვევების გარდა, შეუძლებელია, მისი ზოგიერთი კერძო ამონახსნის მიღება შესაძლებელია საწყისი განტოლების გაწვრივების შედეგად. ასეთი ამონახსნების მდგრადობის შეფასება თვისობრივად შეუძლებელია, მაგალითად, ლიაპუნოვის ან ფაზური სივრცის მეთოდებით.

**ფაზური სივრცის მეთოდის პრინციპი.** დინამიკური სისტემების აღმწერი განტოლებები ჩვეულებრივ არაწვრივია, რის გამოც მათი ამონახსნების მდგრადობის შესაფასებლად აუცილებელია გაწვრივების (ლინეარიზაცია) ოპერაციის ჩატარება. ეს ნიშნავს, რომ განტოლებებში ტოვებენ მხოლოდ მცირე პარამეტრის მიმართ პირველი რიგის წევრებს. ასეთი გზით გაწვრივებული დიფერენციალური განტოლებები ითვლებიან პირველი მიახლოების განტოლებებად [6,8]. ფაზურ სივრცეში დიფერენციალური განტოლებების გაწვრივებული სისტემის მდგრადობის გამოკვლევა ხდება ფაზური პორტრეტების აგების გზით. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ანალიზური ამონახსნების ასიმპტოტიკური ყოფაქცევის შესწავლა მათი ცხადი სახით წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, ფაზური სივრცე წარმოადგენს საკმაოდ მოხერხებულ არეს გაწვრივებული დიფერენციალური განტოლებების სისტემის ამონახსნების თვისობრივი ანალიზისათვის.

ზოგადად, დინამიური სისტემის ფაზური პორტრეტი წარმოადგენს ფაზური ტრაექტორიებისა და ფაზური სიბრტყის ისეთი სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ვიზუალურად ასახავენ საწყისი არაწვრივი სისტემის გამარტივების შედეგად მიღებული ამონახსნის თვისებებს. კერძოდ, ფაზური პორტრეტების დახმარებით, დამატებითი განმარტებების გარეშე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნები გაწვრივებული განტოლებათა სისტემის შემდეგი თვისობრივი მახასიათებლების შესახებ: სისტემის წონასწორული მდგომარეობების რაოდენობის განსაზღვრა; სისტემის მოძრაობის ხასიათის განსაზღვრა თითოეული წონასწორული მდგომარეობის მახლობლად; წონასწორული მდგომარეობების მდგრადობის შეფასება; სისტემის პერიოდული მოძრაობის არსებობის შესაძლებლობა (შეუძლებლობა); განსხვავებული ხასიათის ფაზური ტრაექტორიების არსებობა, რაც ნიშნავს, რომ მეორე რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლების კოეფიციენტების ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიქმნას ფაზური პორტრეტების ისეთი სიმრავლე, რომელიც შეესაბამება დინამიური სისტემის სხვადასხვა ხასიათის თავისუფალ მოძრაობას. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ სწორედ ასეთი მახასიათებლების არსებობის ჩვენება წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მიზანს.

ფაზური სივრცე, ანუ მდგომარეობათა სივრცე, ზოგადად წარმოადგენს  $n$ -განზომილების მქონე წრფივ სივრცეს, რომელშიც მდგომარეობის ვექტორის კომპონენტები წარმოადგენენ კოორდინატებს. წერტილი ითვლება საწყისად, თუ ის შეესაბამება გარკვეულ საწყის პირობებს ან დროის კონკრეტულ მომენტს. ამიტომ, ასეთი ფაზური (ე.წ. წარმომქმნელი) წერტილი ფაზურ სიბრტყეზე აღნიშნავს წონასწორობის მდგომარეობას დროის მოცემულ მომენტში. დროთა განმავლობაში,  $t=0$  მომენტიდან  $t \rightarrow \infty$ -მდე, კონკრეტული წარმომქმნელი წერტილის კვალი ფაზურ სიბრტყეზე წარმოადგენს ფაზურ ტრაექტორიას. ფაზური სიჩქარე არის ვექტორი, რომელიც განსაზღვრავს წარმომქმნელი წერტილის მოძრაობის მიმართულებას ფაზურ სივრცეში. განსაკუთრებულად ითვლება ისეთი წერტილი, რომე-



ლშიც ფაზური სიჩქარე ნულის ტოლია. განასხვავებენ ფაზური ტრაექტორიის ორ ტიპს: ჩაკეტილს (შეესაბამება სისტემის პერიოდული ხასიათის მოძრაობას) და ღიას (შეესაბამება არაპერიოდულ მოძრაობას). ღია ფაზური ტრაექტორიები იწყებიან საწყის წერტილში და მიისწრაფებიან შემდეგი მიმართულებებით: უსასრულობისკენ; ან რომელიღაც განსაკუთრებული წერტილისაკენ; ან ჩაკეტილი ტრაექტორიისაკენ [7].

**განსაკუთრებული წერტილები ფაზურ სივრცეში.** სამგანზომილებიანი ლამინარული ჰიდროდინამიკური დინების ამოცანების გადაწყვეტა რიგ შემთხვევებში მოითხოვს გარსდენადი ზედაპირის მახლობლად სითხის ლამინარული დინების მახასიათებელი დინების წირების ტოპოლოგიის ანალიზს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დინების წირების ყოფაცქევა კრიტიკული წერტილების მახლობლად, ანუ იქ, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დენადი გარემოს სტაგნაციას და დინების წირების გარსდენადი ზედაპირიდან „მოწყვეტის“ ეფექტს. განმარტების თანახმად, „მოწყვეტის“ ზედაპირი წარმოადგენს სივრცის სხვადასხვა არედან მოძრავი ნაკადების განცალკევების ზედაპირს. გარსდენის პროცესში ზედაპირის მახლობლად ყალიბდება ორი განსხვავებული არე: გარე ზონა, სადაც დინება იდეალურად შეიძლება ჩაითვალოს; უშუალოდ ზედაპირის მახლობელი არე, რომელშიც მჟღავნდება სითხის სიბლანტის ეფექტი. მონოგრაფიაში [9] ნაჩვენებია იყო, რომ, რადგანაც ნავიე-სტოქსის სრული განტოლების მახასიათებელი დეტერმინანტი განიცდის გადაგვარებას  $\Omega(x,y,z)$  „მოწყვეტის“ ზედაპირის კონფიგურაციის წარმომქმნელი დინების წირების გასწვრივ, ეს ზედაპირი ემორჩილება განტოლებას

$$V_x \frac{\partial \Omega}{\partial x} + V_y \frac{\partial \Omega}{\partial y} + V_z \frac{\partial \Omega}{\partial z} = 0 \quad (1)$$

სადაც  $V_x, V_y, V_z$  – მოძრავი გარემოს სიჩქარის კომპონენტებია. სწორკუთხა კოორდინატთა სისტემის სათავე მოთავსებულია გლუვი ზედაპირის კრიტიკულ წერტილში, ხოლო  $x$ -ღერძი მიმართულია ვერტიკალურად ზევით.

(1) განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ  $\text{grad} \Omega$  მიმართულია მართობულად  $\Omega(x,y,z)=C$  ზედაპირის მიმართ, ანუ სიჩქარის ვექტორი დინების წირების „მოწყვეტის“ ზედაპირის მართობულია. (1) განტოლების ინტეგრირება იძლევა იმ ლამინარული დინების წირების ტრაექტორიების სურათს, რომლებიც გადიან რომელიღაც საწყის პროფილზე. ეს ამონახსნი იქნება ცალსახა მხოლოდ მაშინ, თუ პროფილი მახასიათებელი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირე რაოდენობრივი ცვლილების გზით, (1)-ის ინტეგრირებით კვლავ მივიღებთ ზღვრული დენის წირების ტრაექტორიების ცალსახა სურათს [6, 7,8].

ითვლება, რომ პირველი რიგის დიფერენციალური განტოლებების ორი სისტემა ტოპოლოგიურად ექვივალენტურია, თუ არსებობს ისეთი ურთიერთ ცალსახა გარდაქმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ერთი სისტემის ფაზური პორტრეტის ტრანსფორმაცია მეორის ფაზურ პორტრეტში ისე, რომ დინების წირების ტრაექტორიების საწყისი ორიენტაცია არ შეიცვალოს. არსებობს წრფივი სისტემების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა მახასიათებელი  $\det A \neq 0$ . ითვლება, რომ ასეთი სისტემები მარტივია, თუ მათი დეტერმინანტების გადაგვარებას ადგილი არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, ორგანზომილებიანი სისტემების ფაზური პორტრეტების ალგებრული ტიპები შეიძლება დაჯგუფდეს ტოპოლოგიურად (თვისობრივად) ექვივალენტურ ოთხ კლასში შემდეგი განსაკუთრებული წერ-

ტილებით: მდგრადი, არამდგრადი, ცენტრი და უნაგირა განსაკუთრებული წერტილები. სამგანზომილებიანი სისტემების შემთხვევაში, თუ განტოლებათა სისტემა არ არის მარტივი ( $\det A=0$ ), ზემოთ აღნიშნულ განსაკუთრებულ წერტილებთან ერთად, ჩნდება კიდევ ორი დამატება: სიბრტყის ყველა წერტილი უძრავია (მატრიცა  $A$  ნულოვანია), ან გვაქვს წრფე, რომელიც გადის კოორდინატთა სისტემის სათავეზე და შედგება უძრავი წერტილებისაგან [7].

გლუვი ზედაპირის გარსდენის ამოცანა სამგანზომილებიანია, ხოლო (1) განტოლების ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ სიჩქარეთა ველის განსაზღვრის შემდეგ. ზოგადად, გარემოს სიჩქარის კომპონენტები დამოკიდებულნი არიან კოორდინატებზე და კრიტიკული წერტილის არეში მათ უნდა გააჩნდეთ უწყვეტი სასრულო წარმოებულები. შესაბამისად, იდეალური გარემოს შემთხვევაში, მოსახერხებელია სიჩქარის კომპონენტების მოდული წარმოდგენა მრავალწევრების საშუალებით [8]

$$V_x = a_1 x + b_1 y + c_1 z, V_y = a_2 x + b_2 y + c_2 z, V_z = a_3 x + b_3 y + c_3 z. \quad (2)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ გარემო შეიძლება ბლანტი იყოს, (2) წარმოდგენა მოსახერხებელია ისე შეიცვალოს, რომ გათვალისწინებული იყოს ნაკადის დამუხრუჭება არა მარტო კრიტიკულ წერტილში, არამედ მთელ გარსდენად ზედაპირზე. ამ ეფექტის მოდელირებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი არაწრფივი წარმოდგენა [9]

$$V_x = a_1 x^2, V_y = x(a_2 x + b_2 y + c_2 z), V_z = x(a_3 x + b_3 y + c_3 z). \quad (3)$$

ზოგადად, (2) და (3) წარმოდგენების კოეფიციენტები:  $a_1, a_2, \dots, c_3$  ნებისმიერი სიდიდის მუდმივები შეიძლება იყოს. იდეალური უკუმშვადი გარემოს შემთხვევაში, უწყვეტობის განტოლებიდან გვექნება:  $a_1 + b_2 + c_3 = 0$ . ბლანტი სითხისათვის, ანუ (3) წარმოდგენის შემთხვევაში:  $2a_1 + b_2 + c_3 = 0$ .

სიჩქარის კომპონენტების ორივე წარმოდგენა, მრავალწევრებს შორის თვისობრივი განსხვავების მიუხედავად, ტოპოლოგიური თვალსაზრისით ერთნაირ შედეგს იძლევა. მართლაც, რადგანაც დინების წირების „მოწყვეტის“ განტოლება ერთგვაროვანია, არაწრფივი წარმოდგენის (3) ჩასმის შემდეგ შესაძლებელია მისი  $x$  კოორდინატის მიმართ ერთი რიგით დაქვეითება, ანუ განტოლება (1) კვლავ წრფივი წარმოდგენის შესაბამის ფორმას მიიღებს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში  $\Omega(x,y,z)$  „მოწყვეტის“ ზედაპირზე, ანუ კრიტიკული წერტილის არეში, დინების წირების მისწრაფება ტოპოლოგიურად იდენტური იქნება. (1) განტოლების მსგავსი პირველი რიგის კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების ამოხსნა ფაზურ სივრცეში შესაძლებელია მახასიათებლების მეთოდით, ე.წ. დინების წირის განტოლების გამოყენებით [8,9]

$$\frac{dx}{V_x} + \frac{dy}{V_y} + \frac{dz}{V_z} = dt, \quad (4)$$

სადაც  $t$  - წარმოდგენს პარამეტრულ ცვლადს.

განტოლება (4) შეიძლება წარმოდგენილი იყოს უფრო კომპაქტურად, მატრიცული ოპერატორის გამოყენებით

$$\frac{dX}{dt} = AX, \quad A = \begin{vmatrix} a_1 & 0 & 0 \\ a_2 & b_2 & c_2 \\ a_3 & b_3 & c_3 \end{vmatrix}, \quad (5)$$

სადაც  $X = (x,y,z)$ .

(5)-ის ტიპის სამგანზომილებიანი წრფივი განტოლებათა სისტემა, ორ განზომილებიანის მსგავსად, ითვლება მარტივად, თუ მისი  $\det A \neq 0$ , ხოლო  $A$  მატრიცას არ გააჩნია ნულოვანი საკუთარი რიცხვები. საწინააღმდეგო შემთხვევაში (5)-ის ამონახსნების შესაბამის ფაზურ ტრაექტორიებს შორის შეიძლება დამატებით არსებობდნენ, კრიტიკულის გარდა, სხვა განსაკუთრებული წერტილებიც. მაგალითად, კრიტიკული წერტილი გარსდენად ზედაპირზე, სტაციონარული მდგომარეობის წერტილები, აგრეთვე წონასწორობის მდგომარეობის შესაბამისი ერთ წერტილოვანი ტრაექტორიები.

განტოლებათა სისტემას (5) გააჩნია მახასიათებელი განტოლება  $|A - \lambda I| = 0$ , რომელშიც  $I$  არის ერთეულოვანი დიაგონალური მატრიცა, რომლის საკუთარი რიცხვები წარმოადგენენ კუბური განტოლების ფესვებს [8,9].

$$\lambda^3 - s_1 \lambda^2 + s_2 \lambda - s_3 = 0, \quad (6)$$

(6) განტოლების კოეფიციენტები განისაზღვრებიან  $A$  მატრიცის მინორების საშუალებით. მაგალითად, სიჩქარის კომპონენტების (3) წარმოდგენის შემთხვევაში გვექნება [10,11]

$$\begin{aligned} s_1 &= a_1 + b_2 + c_3 = \lambda_1 + \lambda_2 + \lambda_3 ; \\ s_2 &= a_1 b_2 + b_2 c_3 - b_3 c_2 + a_1 c_3 = \lambda_1 \lambda_2 + \lambda_2 \lambda_3 + \lambda_1 \lambda_3 ; \\ s_3 &= A = \lambda_1 \lambda_2 \lambda_3 . \end{aligned} \quad (7)$$

(7) გამოსახულებების საშუალებით კონკრეტულ შინაარსს იძენენ სიჩქარის კომპონენტების მრავალწევრებად წარმოდგენის რიცხვითი კოეფიციენტები. კერძოდ, მათი სხვადასხვა ნაკრებების შერჩევის საშუალებით შესაძლებელია გლუვი ზედაპირის გარსდენის როგორც სიმეტრიული, ასევე ასიმეტრიული, ჰიდროდინამიკური სურათების მოდელირება. მარტივად მისახვედრია, რომ ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია გარსდენადი ზედაპირის ოროგრაფიასთან. ცხადია, რომ მხოლოდ იდეალურად გლუვი ზედაპირის გარსდენა შეიძლება იყოს აბსოლუტურად სიმეტრიული. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ქარბორბალას ან ტორნადოს სივრცეში გადაადგილების პროცესის მოდელირებისას, საჭიროა დედამიწის ზედაპირის სიმრუდის ეფექტის გათვალისწინება, რაც საკმაოდ მარტივია ფაზური სივრცის ფორმალიზმის ჩარჩოებში. მისი მოდელირება საკმაოდ მარტივად შეიძლება, მაგალითად, (3) წარმოდგენის საშუალებით, ანუ გარსდენადი ზედაპირის სიბრტყეში  $V_y$  და  $V_z$  სიჩქარეთა კომპონენტების რიცხვითი კოეფიციენტების ნიშნისა და სიდიდის ცვლილებით. ამ გზით, აგრეთვე, შესაძლებელია კრიტიკული წერტილის მახლობლად პირდაპირი და უკუდინებების შერევის ეფექტის მოდელირებაც.

დინამიკური სისტემების ფაზური პორტრეტების ასაგებად საჭიროა (5) განტოლების ე.წ. არასაკუთრივი წრფივი გარდაქმნა ახალ სისტემაში, რაც ხორციელდება სპეციალური  $T$  ოპერატორის საშუალებით [11]

$$dW/dt = IW, \quad (8)$$

სადაც ოპერატორი  $I = TA T^{-1}$  წარმოადგენს ე.წ. ჟორდანის მატრიცას.  $A$  ოპერატორის საკუთარი რიცხვებიდან:  $\lambda_1, \lambda_2, \lambda_3$ , ე.ი. (6) განტოლების ფესვების რიცხვითი მნიშვნელობებიდან, გამოდინარე, ჟორდანის მატრიცას გააჩნია შვიდი შესაძლებელი კანონიკური ფორმიდან რომელიმე ერთი:  $I_1$ -საკუთარი რიცხვები ნამდვილია და განსხვავებული;  $I_{21}, I_{22}$ -საკუთარი რიცხვები ნამდვილია და ორი მათგანი თანხვედბა;  $I_{31}, I_{32}, I_{33}$ -საკუთარი რიცხვები ნამდვილია და თანხვედენილი;  $I_4$ - ორი საკუთარი რიცხვი კომპლექსურია. არასაკუთრივი

გარდაქმნა  $I = -TAT^{-1}$  ნიშნავს  $x, y, z$  კოორდინატთა სისტემის ცვლილებას ახალი სწორკუთხა სისტემით:  $w_1, w_2, w_3$ . ეს ოპერაცია ხორციელდება  $x$  ღერძის მიმართ მობრუნების გზით. ამრიგად, ჟორდანის კვადრატული მატრიცის კონკრეტული ფორმა დამოკიდებულია (7) გამოსახულებებში შემავალი (3) წარმოდგენის კოეფიციენტების სიდიდესა და ნიშანზე [8].

**განსაკუთრებული წერტილების კლასიფიკაცია.** (7) გამოსახულებების საშუალებით კონკრეტულ შინაარსს იძენენ სიჩქარის კომპონენტების წარმოდგენაში შემავალი რიცხვითი კოეფიციენტები, რომლებიც, სიმეტრიულის გარდა, იძლევიან, აგრეთვე, გარსდენის ჰიდროდინამიკური სურათის სხვადასხვა ასიმეტრიული ვარიანტების მოდელირების საშუალებას. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს საკითხი კავშირშია გარსდენადი ზედაპირის ოროგრაფიასთან, რომელიც მხოლოდ იდეალურ შემთხვევაში არის აბსოლუტურად გლუვი, თანაც მუდმივი სიმრუდის, რომელსაც შეესაბამება სიმეტრიული გარსდენის სურათი. რეალური ზედაპირების გარსდენის შემთხვევაში უნდა დავუშვათ მათი სიმრუდის ცვლილება, რაც, დინების წირების „მოწყვეტის“ ეფექტის გამო, ასიმეტრიული გარსდენის მიზეზი უნდა გახდეს.

საკუთარი რიცხვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა ტიპის განსაკუთრებული წერტილების ფართო კლასი. მაგალითად: თუ ყველა საკუთარი რიცხვი ნამდვილია და მათ ერთნაირი ნიშანი გააჩნიათ, გვაქვს მდგრადი ან არამდგრადი კვანძი; თუ საკუთარი მნიშვნელობები წარმოადგენენ კომპლექსურად შეუღლებულ სიდიდეთა ნაკრებს და მათ გააჩნიათ ერთნაირი ნიშნის რეალური ნაწილი, მაშინ განსაკუთრებული წერტილი წარმოადგენს მდგრად ან არამდგრად ფოკუსს; როცა საკუთარი რიცხვებს გააჩნიათ როგორც კომპლექსურად შეუღლებული, ასევე, ნამდვილი ნაწილები, გვაქვს მდგრადი ან არამდგრადი კვანძი, კვანძური ფოკუსი, ან უნაგირა-ფოკუსი.

განსაკუთრებული წერტილების ტიპი დამოკიდებულია ლინეარიზაციის მატრიცაზე, ანუ  $A$  ოპერატორის ფესვებზე. მაგალითად: 1) საკუთარი რიცხვები ნამდვილია და ერთი ნიშნის (უარყოფითი). ამ შემთხვევაში კოეფიციენტები:  $S_1 < 0, S_2 < 0, S_3 < 0$  და განსაკუთრებული წერტილი მდგრადი კვანძია, ხოლო თუ ფესვები დადებითია, გვაქვს არამდგრადი კვანძი; 2) საკუთარი მნიშვნელობები წარმოადგენენ კომპლექსური რიცხვების ნაკრებს, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი ნიშნის, მაგალითად, უარყოფითი, რეალური ნაწილი. ასეთ შემთხვევას შეესაბამება:  $S_1 < 0, S_2 > 0, S_3 > 0$ , ხოლო განსაკუთრებული წერტილი მდგრადი კვანძია. დადებითი რეალური ნაწილის შემთხვევაში გვექნება ფოკუსი; 3) საკუთარ რიცხვებს გააჩნია როგორც კომპლექსურად შეუღლებული, ასევე ნამდვილი მახასიათებლები, თანაც წარმოსახვითი ღერძთან მიმართებაში ერთ მხარეს. თუ ამ ღერძთან უახლოესი მახასიათებელი ნამდვილია, მაშინ განსაკუთრებული წერტილი მდგრადი ან არამდგრადი კვანძია, იმაზე დამოკიდებულებით, რომელ მხარეს, ღერძის მარჯვნივ თუ მარცხნივ, არის ეს მახასიათებელი. ზოგჯერ ასეთ განსაკუთრებულ წერტილს უწოდებენ კვანძ-ფოკუსს; 4) იგივე, რაც წინა შემთხვევაში, მაგრამ კომპლექსურად შეუღლებული მახასიათებლები იმყოფებიან უახლოეს მანძილზე წარმოსახვით ღერძთან. შესაბამისი განსაკუთრებული წერტილი წარმოადგენს მდგრად ან არამდგრად ფოკუსს; 5) თუ მახასიათებლები მდებარეობენ წარმოსახვითი ღერძის ორივე მხარეს, განსაკუთრებული წერტილი წარმოადგენს უნაგირის ტიპის წონასწორულ წერტილს. განასხვავებენ უნაგირს ნებისმიერი რეალური მახასიათებლისათვის და უნაგირა-ფოკუსს იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს კომპლექსურად შეუღლებული საკუთარი რიცხვები.

ჟორდანის მატრიცების სიმრავლიდან, ნახ.1-იდან გამომდინარე, ქარბორბალას ფუძის (განსაკუთრებული წერტილი) არეში დინების წირების ტოპოლოგიის ვირტუალური თვა-ლსაჩინოებისათვის განვიხილოთ ორი შემთხვევა :

1) არასაკუთრივი წრფივი გარდაქმნის შედეგად გვაქვს კანონიკური მატრიცა

$$I_1 = \begin{pmatrix} \lambda_1 & 0 & 0 \\ 0 & \lambda_2 & 0 \\ 0 & 0 & \lambda_3 \end{pmatrix}, \quad (9)$$

რომლის საკუთარი რიცხვები ნამდვილია და ურთიერთ განსხვავებული. შესაბამისად, (8) განტოლებიდან გვექნება:  $U_1 = C_1 e^{\lambda_1 t}$ ,  $U_2 = C_2 e^{\lambda_2 t}$ ,  $U_3 = C_3 e^{\lambda_3 t}$ , სადაც  $C_1, C_2, C_3$  – მუდმივებია, რომლებიც შეესაბამებიან დენის წირების გარკვეულ ოჯახებს. პარამეტრული ცვლადი  $t$  წარმოადგენს დროს. კრიტიკული წერტილის მახლობლობაში დინების წირები ქმნიან უნაგირა-კვანძის ტიპის ინტეგრალურ ზედაპირს, მდგრადი ან არამდგრადი ბრტყე-ლი კვანძით, იმის მიხედვით, თუ როგორია  $S_1, S_2, S_3$  გამოსახულებებისა და  $A$  მატრიცის საკუთარი რიცხვების ნიშნები [8]. სიმარტივისათვის ნახ.2.1,2-ზე მოცემულია შესაბამისი ტოპოლოგიის მქონე განსაკუთრებული წერტილების ორგანზომილებიანი წარმოდგენა (სივრცული ტოპოლოგიური სურათების გეგმილები სიბრტყეზე). იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი რიცხვები ნამდვილია და უარყოფითი, ხოლო დრო მიისწრაფის უსასრულო-ბისაკენ, ყველა დინების წირის ტრაექტორია მიისწრაფის კოორდინატთა სისტემის სათა-ვისაკენ (კრიტიკული წერტილი), რომელშიც ადგილი აქვს მდგრად წონასწორობას. ასეთი სტრუქტურა ტორნადოს შემთხვევაში ალბათ შეიძლება იყოს მხოლოდ მისი „თვალი“, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ მდგრადია. თუ საკუთარი რიცხვები ნამდვილია, მაგრამ სხვადასხვა ნიშნის, სიბრტყეზე შეიძლება გვქონდეს უნაგირის ტიპის განსაკუთრებული წერტილი (ნახ.2. 6).


2) კანონიკური მატრიცის ორი საკუთარი რიცხვი კომპლექსურია

$$I_4 = \begin{pmatrix} \lambda_1 & 0 & 0 \\ 0 & Re\lambda_2 & Im\lambda_2 \\ 0 & -Im\lambda_2 & Re\lambda_2 \end{pmatrix}. \quad (9)$$

შესაბამისად, (8) განტოლების ამონახსნია:  $U = C_1 e^{\lambda_1 t}$ ,  $r = C_2 e^{Re\lambda_2 t}$ ,  $\varphi = Im\lambda_2 (t + C_3)$ . ამ ამონახსნს, საკუთარი რიცხვების:  $\lambda_1$ , და  $Re\lambda_2$ , ნიშნებიდან გამომდინარე, შეესაბამება ე.წ. უნაგირა-სპირალის ტიპის ინტეგრალური ზედაპირი, მდგრადი ან არამდგრადი ფოკუსით ნახ.2.3,4; თუ კომპლექსური რიცხვები ურთიერთ შეუღლებულია, ინტეგრალური ზედა-პირი შეიძლება წარმოადგენდეს მდგრად სივრცულ კვანძს, რომლისკენაც ორივე მხარი-დან მიისწრაფიან კონუსური სპირალები.

აღსანიშნავია, რომ ყველა ფაზურ პორტრეტს სივრცეში ახასიათებს ერთი ნიშანი – მათ გააჩნიათ სპირალური სტრუქტურა, რომლის არსებობა შეიძლება დავაკავშიროთ ბრუნვის ეფექტთან, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ატმოსფერული გრიგალის უმთავრეს მახასიათებელს.

3) ზემოთ განხილული ფაზური პორტრეტების გარდა, არსებობენ კიდევ სხვებიც, მა-გალითად: მდგრადი, არამდგრადი და გადაგვარებული კვანძები; მდგრადი და არამდ-გრადი ვარსკვლავური კვანძები; ცენტრი (ნახ.2.5), რომელიც, მდგრადი და არამდგრადი ფოკუსების მსგავსად, შესაფერისია ტორნადოს „თვალის“ ფაზური პორტრეტისათვის. მას შეესაბამება  $I_4$  კანონიკური მატრიცა წმინდა წარმოსახვითი საკუთარი რიცხვებით.



ნახ. 2.

## დასკვნა

ნაშრომში განხილულია ჰაერის (სითხის) დინების წირების შესაძლო ტოპოლოგიური სტრუქტურები ლამინარულ მიახლოებაში, ე.წ. „მოწყვეტის“ ზედაპირის მახლობლად, გარსდენადი ზედაპირის კრიტიკული წერტილის ფაზური პორტრეტების მეთოდის საშუალებით. მსგავსი ხერხი, უხეშ მიახლოებაში, ესადაგება, მაგალითად, გიგანტური სპორადიული ატმოსფერული გრიგალების კრიტიკული წერტილების, ქარბორბალას „ხორთუმის“ ძირისა და ტორნადოს „თვალის“, ტოპოლოგიას. კერძოდ, ფაზური პორტრეტების შესაძლო ტოპოლოგიური მრავალფეროვნებიდან, შესაფერისად შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. უნაგირა-სპირალი ბრტყელი კვანძით და სივრცული უნაგირა-კვანძი. ეს ფიგურები, რომლებიც წარმოადგენენ ჰიდროდინამიკური კრიტიკული წერტილის გრაფიკულ ანალოგს ფაზურ სივრცეში, შეესაბამებიან ჟორდანის მატრიცის კონკრეტულ კანონიკურ ფორმებს. მათ მიერ სივრცეში შექმნილი ინტეგრალური ზედაპირების ანალიზის საშუალებით შესაძლებელია დინების წირების მისწრაფების ხასიათის თვალნათლივი მოდელირება, რაც ლამინარულ მიახლოებაში თვისობრივ წარმოდგენას იძლევა ქარბორბალისა და ტორნადოს სივრცული სტრუქტურის მსხვილმასშტაბოვან სურათზე. ამ თვალსაზრისით ჰიდროდინამიკური სიჩქარის კომპონენტების კოორდინატების მიმართ მრავალწევრებად წარმოდგენა  $xoy$  სიბრტყეში ნიშნავს, რომ კრიტიკული წერტილის არეში მრავალწევრების რიცხვითი კოეფიციენტები განსაზღვრავენ გარსდენის სურათის სიმეტრიას. ამიტომ, ასიმეტრიული გარსდენის სხვადასხვა ვარიანტების მოდელირება შესაძლებელია რიცხვითი კოეფიციენტების ნიშნისა და სიდიდის ცვლილებით. ეს თავისთავად ნიშნავს ოროგრაფიის ფაქტორისა და კრიტიკული წერტილის მახლობლად პირდაპირი და უკუდინებების შერევის ეფექტის გათვალისწინებას. ზოგადად, აბსტრუქტული ფაზური პორტრეტების ფიზიკური ინტერპრეტაცია ხორციელდება ნავიე-სტოქსის განტოლების შესაბამისი კანონიკური მატრიცის არასაკუთრივი გარდაქმნის შედეგად მიღებული შვიდი განსხვავებული

ქორდანის მატრიცის საშუალებით. რიცხვითი კოეფიციენტების შერჩევის გზით, პრინციპულად შესაძლებელია, მაგალითად, ქარბორბალას ჩასახვისა და მოძრაობის პროცესზე დედამიწის ზედაპირის ოროგრაფიის გავლენის ეფექტის მოდელირება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შესაფერისი იყოს კრიტიკული წერტილის აბსტრაქცია ისეთი მდგრადი უნაგირა-კვანძით ან უნაგირა-სპირალით, რომელიც იწყება ბრტყელ კვანძში და შემდგომში იშლება სივრცეში. უნდა აღინიშნოს, რომ, ქარბორბალასაგან განსხვავებით, ტორნადოს მსგავსი განსაკუთრებით რთული სპორადიული ატმოსფერული მოვლენის ტოპოლოგიური აბსტრაქცია, როგორც სჩანს, მოითხოვს ფაზური პორტრეტების უფრო ფართო სიმრავლის განხილვას.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Гилл А. Динамика атмосферы и океана. М., Мир, 1986. 415 с.
2. Houze Jr. R.A. Clouds in tropical cyclones. Monthly Weather Review, Vol. 138, No. 2, 2010, pp. 293-344.
3. Руткевич П.Б., Руткевич Б.П., Комарова Н.Ю. Об атмосферных вихрях типа торнадо в модели аксиальной конвекции с влажным воздухом. Современные проблемы дистанционного зондирования Земли из космоса, 14, № 2, 2017, с. 221-229.
4. Мельников В. П., Смутьский И. И. Механизмы атмосферных вихрей. Криосфера Земли, № 1, 1997, с. 87-96.
5. Алиев И. Н., Ляtifов Р. Э. Простая модель механизма зарождения воздушных вихрей в атмосфере. Вестник Московского государственного областного университета, №2, 2023, с.6-19, DOI: 10.18384/2310-7251-2023-2-6-19.
6. Wang K.C. On the determination of the zones of influence and dependence for three-dimensional boundary layer equation. JFM, v.48, 1971, p. 540-556.
7. Молевич Н.Е. Нелинейная динамика. Из-во Самарского государственного аэрокосмического университета, 2007, 159 с.
8. Rein J.W. Classification and description of the singular points of a system of three linear differential equations. ZAMP, v.15, 1964, pp.14-59.
9. Шевелев Ю.Д. Трехмерные задачи теории ламинарного пограничного слоя. М., Наука, 1977, 224 с.
10. Кереселидзе З.А. МГД эффекты конечной электрической проводимости солнечного ветра вблизи магнитосферы Земли. изд-во ТГУ, Тбилиси, 1986, 122 с.
11. Метьюз Дж, Уокер Р. Математические методы физики. М., Атомиздат, 1972, 399 с.

### მსხვილმასშტაბოვანი ატმოსფერული გრიგალების ფაზურ პორტრეტებთან დაკავშირებით

კერესელიძე ზ.

რეზიუმე

მსხვილმასშტაბოვანი ატმოსფერული გრიგალების თვისობრივ-რაოდენობრივი მოდელები წარმოადგენენ მრავალრიცხოვანი მეტეოროლოგიური მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგს. ამასთან, მოცემული უნდა იყოს გრიგალის საწყისი მდგომარეობის დროში ევოლუციის რაღაც კანონი. მხოლოდ ასეთი შემთხვევაში იქნება მათემატიკური თვალსაზრისით კორექტული ქარბორბალას ან ტორნადოს მსგავსი გრიგალური ატმოსფერული მოვლენების მოდელირება. ამ მიზნით სასარგებლო შეიძლება იყოს გრიგალების ფაზური პორტრეტების ფიზიკური ინტერპრეტაცია. მაგალითად, გარსდენადი ზედაპირის კრიტიკული წერტილის მახლობლად ფაზური პორტრეტების წარმომქმნელი ე.წ. კანონიკური მატრიცის შესაძლო ტიპები შეიძლება განისაზღვროს მრავალწევრებად წარმოდგენილი ჰიდროდინამიკური სიჩქარის კომპონენტების საშუალებით. ამ მრავალწევრების რიცხვითი კოეფიციენტები განსაზღვრავენ გარსდენის სურათის სიმეტრიის ხასიათს. ამი-

ტომ, მათი კოეფიციენტების სიდიდისა და ნიშნის შერჩევის გზით პრინციპულად შესაძლებელია თვისობრივ დონეზე მსჯელობა ქარბორბალას ჩასახვისა და მისი მოძრაობის პროცესში დედამიწის ზედაპირის ოროგრაფიის გავლენის შესახებ. კერძოდ, კრიტიკული წერტილის მოდელირებისათვის შეიძლება შესაფერისი იყოს ტოპოლოგიური აბსტრაქცია მდგრადი უნაგირა-კვანძით ან უნაგირა-სპირალით. მათი წრმომქმნელი დინების წირები იწყება ბრტყელ კვანძში ან უნაგირზე და იშლება სივრცეში. ქარბორბალასაგან განსხვავებით, ტორნადოს ტოპოლოგიური აბსტრაქცია მოითხოვს გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ტიპების ფაზური პორტრეტების ცოდნას.

**საკვანძო სიტყვები:** ატმოსფერული გრიგალები, ტორნადო, ფაზური პორტრეტები.

## ABOUT THE PHASE PORTRAITS OF LARGE-SCALE ATMOSPHERIC VORTICES

**Kereselidze Z.**

### Abstract

Qualitative and quantitative models of large-scale atmospheric vortices are the result of the interpretation of numerous meteorological data. Also, a certain law governing the time evolution of the initial state of the vortex should be provided. Only in this case will the modeling of vortical atmospheric phenomena, such as a whirlwind or tornado, be mathematically correct. For this purpose, the physical interpretation of the phase portraits of the vortices can be useful. For example, the possible types of the so-called canonical matrix generating the phase portraits near the critical point of a body-enclosing surface can be determined by means of the hydrodynamic velocity components represented as polynomials. The numerical coefficients of these polynomials determine the nature of the symmetry of the flow pattern. Therefore, by selecting the magnitude and sign of their coefficients, it is in principle possible to qualitatively discuss the influence of the Earth's surface orography on the process of a whirlwind's inception and motion. Particularly, a topological abstraction with a stable saddle-node or saddle-focus may be suitable for modeling the critical point. Their generating streamlines start at a flat node or saddle and dissipate into space. Unlike a whirlwind, the topological abstraction of a tornado requires the knowledge of a much wider variety of phase portrait types.

**Key words:** atmospheric vortices, tornado, phase portraits.

## К ВОПРОСУ ФАЗОВЫХ ПОРТРЕТОВ КРУПНОМАСШТАБНЫХ АТМОСФЕРНЫХ ВИХРЕЙ

**Кереселидзе З.**

### Реферат

Качественно-количественные модели крупномасштабных атмосферных вихрей являются результатом интерпретации многочисленных метеорологических данных. При этом необходимо задать какой-либо закон эволюции во времени начального состояния вихря. Только в таком случае будет корректным моделирование атмосферных вихрей, подобных смерчу или торнадо. С данной целью возможно является полезным физическая интерпретация фазовых портретов вихрей. Например, возможные типы канонической матрицы, производящей фазовые портреты вблизи критической точки обтекаемой поверхности, можно определить при помощи компонент гидродинамической скорости, представленных в виде многочленов. Численные коэффициенты этих многочленов симметрию картины обтекания. Поэтому, путем выбора величины и знака коэффициентов принципиально возможно на качественном уровне судить о влиянии орографии земной поверхности на процесс зачатия и распространения смерча. В частности, для моделирования критической точки может оказаться уместной топологическая абстракция устойчивым седловым узлом или седловой спиралью. Линий тока, создающие эти фигуры, начинаются в плоском узле или седле и распространяются в виде спиралей. В отличие от смерча, для топологической абстракции торнадо необходимо знание более разнообразного набора типов фазовых портретов.

**Ключевые слова:** атмосферные вихри, торнадо, фазовые портреты.



**ქ. ქუთაისის ჰაერის PM<sub>2.5</sub>-ით დაბინძურების სიმულაცია  
მიწისპირა შტილისა და თავისუფალ ატმოსფეროში  
ბაროკლინური დასავლეთის ქარის შემთხვევაში**

<sup>1,2</sup>სურმავა ა., <sup>1</sup>გიგაური ნ., <sup>2</sup>კუხალაშვილი ვ., <sup>1</sup>ინჭკირველი ლ., <sup>3</sup>სესამე ვ.

<sup>1</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო

<sup>2</sup>ივ.ჯავახიშვილის თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის მ.ნოდია სახ. გეოფიზიკის  
ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

<sup>3</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
e-mail: [L.inwkirveli@gtu.ge](mailto:L.inwkirveli@gtu.ge)

**შესავალი**

ეკოლოგიური პრობლემებიდან განსაკუთრებით აქტუალურია ატმოსფეროს მიკრო-აეროზოლებით დაბინძურება. ამ პრობლემის გადასაჭრელად ეფექტურად გამოიყენება ინდუსტრიული ცენტრების, მეგაპოლისების და ცალკეულ მცირე ქალაქების ატმოსფეროში მათი გავრცელების რიცხვითი მოდელირება, სადაც მათი კონცენტრაციები ჰაერში ხშირად აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეს [1-5]. პრობლემის აქტუალობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჰაერში მიკროაეროზოლის ჭარბი შემცველობა ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, იწვევს სხვადასხვა რთულ დაავადებებსა და, ხშირ შემთხვევებში, სიკვდილსაც კი [6-8].

ბოლო წლებში, გატარებული ჰაერდამცავი ღონისძიებების შედეგად, შემცირდა მიკროაეროზოლების ემისიები და გაუმჯობესდა ატმოსფეროს სისუფთავის ხარისხი. თუმცა, მთელ რიგ ქალაქებში, ჰაერის დაბინძურების დონე კვლავ აღემატება ევროკავშირის სტანდარტებს [9-12].


ქ. ქუთაისი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქია. მას გააჩნია მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, საერთაშორისო, სამედიცინო – გამაჯანსაღებელი და ტურისტული დაწესებულება, ყოველწლიურად მას სტუმრობს ასეულ ათასობით ადამიანი. ქალაქის ფუნქციიდან გამომდინარე, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას, შეფასებას, დაბინძურების დონის დიაგნოსტიკურ პროგნოზს და ჰაერის სისუფთავის მაღალი დონის შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვების ორ პუნქტში ჩატარებული მონიტორინგს არ ძალუძს სრულად ასახოს ქალაქის ჰაერის სისუფთავის სრული მდგომარეობა ისეთი რთული რელიეფის ქალაქში, როგორც ქუთაისია. ქ. ქუთაისში მიკროაეროზოლების მონიტორინგი იწყება 2018 წლიდან და ხორციელდება დაკვირვების ორ სტაციონალურ პუნქტში. დაკვირვების პუნქტის მონაცემების მიხედვით ქუთაისი არ მიეკუთვნება მსოფლიოს ძლიერ დაბინძურებული

ქალაქების რიცხვს [11, 12], თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ჰაერში მათი კონცენტრაცია აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას [11, 13, 14]. ამიტომ, წარმოდგენილ სტატიაში, ზემოთ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, ატმოსფეროში მინარევის გავრცელების კომპიუტერული მოდელირების საშუალებით სიმულირებული და გაანალიზებულია ქ. ქუთაისსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ატმოსფეროში ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი და ჰაერში ემისირებული PM<sub>2.5</sub>-ის გავრცელებისა და დროში ცვლილების ხასიათი.

**კვლევის მეთოდი.** კავკასიაში მეზომასშტაბის ატმოსფერული პროცესების განვითარების 3D მოდელისა და ატმოსფეროში პასიური დამაბინძურებელი მინარევების გავრცელების განტოლების ერთობლივი ინტეგრირებით [15-17] რიცხობრივად სიმულირებულია ავტოტრანსპორტის მიერ გაფრქვეული PM<sub>2.5</sub>-ის გავრცელება ქ. ქუთაისის ჰაერში.

**რიცხვითი მოდელირების შედეგები.** PM<sub>2.5</sub> აეროზოლების გავრცელება მოდელირდება 13.4×13.4×9 კმ<sup>3</sup> სივრცულ არეში (ნახ. 1), რომლის ცენტრში მოთავსებულია ქ. ქუთაისი. მოდელირების არეში ოროგრაფიის სიმაღლე იცვლება 80 მ-დან 400 მ-მდე. მათემატიკური მოდელის [17, 18] განტოლებების რიცხვითი ინტეგრირება განხორციელებულია შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობების გამოყენებით. რიცხვითი ბადის ბიჯები ჰორიზონტალური მიმართულებით 200 მ-ია, ვერტიკალური მიმართულებით თავისუფალ ატმოსფეროში-300 მ. ატმოსფეროს მიწისპირა 100 მ სისქის ფენაში ვერტიკალური ბიჯები იცვლება 0.3-დან 15 მ-მდე. დროითი ბიჯი 1 წმ-ია. გამოთვლები ჩატარებულია 3 დღე-ღამის პერიოდისათვის.


მოდელირებულია დეკემბრის თვეში ქ. ქუთაისის ატმოსფეროს PM – ით დაბინძურების შემთხვევა. ატმოსფეროს მიწისპირა ფენის სიმაღლეზე (100 მ) ადგილი აქვს შტილურ სიტუაციას – ფონური ქარის სიჩქარე 0 მ/წმ-ია. მიწისპირა ფენის ზევით ქარი დასავლეთისაა, მისი სიჩქარე წრფივად იზრდება სიმაღლის ზრდასთან ერთდ



ნახ. 1. ქ. ქუთაისის რელიეფი, ადმინისტრაციული ერთეულები და ურბანული განაშენიანება.


დაშვებულია, რომ ატმოსფეროს PM2.5 დაბინძურება ხდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად ქალაქისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აეროზოლი გაიფრქვევა მიწის ზედაპირიდან 0.3 მ სიმაღლეზე 5 ტიპის არეში: ავტომაგისტრალების, ქალაქის ცენტრალური ქუჩების, საცხოვრებელი, სამრეწველო ზონებისა და მიმდებარე სოფლების დაუსახლებელ ტერიტორიებზე. გაფრქვევის სიჩქარე სხვადასხვა უბანში, პერიოდულია 24 სთ-ით და პროპორციულია ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის. ის მინიმალურია 0-4 სთ დროის ინტერვალში, შემდეგ წრფივად იზრდება 4-დან 10 სთ-მდე და მუდმივია 10-დან 18 სთ-მდე დროის ინტერვალში. 18-24 სთ-მდე გაფრქვევის სიჩქარე წრფივად მცირდება და ხდება 0 სთ-ზე არსებული გაფრქვევის სიჩქარის ტოლი.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია PM2.5-ის გამოთვლებით მიღებული კონცენტრაციების დროში ცვლილების გრაფიკები დაბინძურების 5 ძირითადი ტიპის პუნქტისათვის. ნახ. 2-დან ჩანს, რომ კონცენტრაციის დროში ცვლილება თვისობრივად ერთნაირია დაბინძურების ყველა ტიპის პუნქტისათვის და ხასიათდება ორი დიდი და ორი მცირე მნიშვნელობების ინტერვალებით. კონცენტრაციის დიდი მნიშვნელობები მიღებულია დაახლოებით 11-13 სთ და 17-19 სთ დროის ინტერვალში, ხოლო მცირე - 0-4 სთ და 13-16 სთ ინტერვალში. უნდა აღინიშნოს, რომ კონცენტრაციათა დროში ცვლილება, ერთნაირი მეტეოროლოგიური და დაბინძურების პირობების დროს, ზაფხულისა [17] და ზამთრის სეზონში თვისობრივად ერთნაირი და რაოდენობრივად განსხვავებულნი არიან. განსხვავება მდგომარეობს მაღალი დაბინძურების დადგომის პერიოდში. მაქსიმალური დაბინძურება ზაფხულის სეზონში [17], ზამთრის სეზონთან შედარებით, მიიღება დაახლოებით 2-3 სთ-ით ადრე დღის პირველ ნახევარში, და 2-3 სთ-ით გვიან - დღის მეორე ნახევარში. აღნიშნული ეფექტი დაკავშირებულია ატმოსფეროს თერმული მდგრადობის დროში ცვლილებასთან. ზაფხულის სეზონში, დილით ადრე სწრაფად ცივდება ნიადაგის ზედაპირი და მასთან არსებული ატმოსფეროს მიწისპირა ფენა, შესაბამისად მცირდება ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი  $\gamma = \partial T / \partial z$  (T არის ტემპერატურა, z - ვერტიკალური კოორდინატა), იზრდება თერმული მდგრადობის კოეფიციენტი  $S = \gamma_a - \gamma$  ( $\gamma_a$  მშრალი ადიაბატური გრადიენტი).




ნახ. 2. გამოთვლებით მიღებული PM2.5-ის კონცენტრაციების დროში ცვლილება ავტომაგისტრალის (1), ქალაქის ცენტრალური ქუჩის (2), სამრეწველო (3), სასოფლო (4) ზონები და დაუსახლებელ (5) პუნქტში მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე.


შედეგად, ჰაერის მიწისპირა ფენა ხდება დინამიკურად უფრო მდგრადი და ნაკლებად ტურბულიზებული. ტურბულენტობის შემცირებას თან სდევს გამონაბოლქვი აეროზოლის ინტენსიური დაგროვება მიწისპირა ფენის ქვედა ნაწილში და დაბინძურების დონის გაზრდა. ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი ზაფხულის სეზონში დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით 19-დან -20 სთ-მდე ინტერვალში. კონცენტრაციათა დროში ცვლილების ხასიათი სხვადასხვაა გაფრქვევათა სხვადასხვა ტიპის უბნისათვის. ავტომაგისტრალზე, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე და სამრეწველო უბანში მდებარე პუნქტებში 2 მ სიმაღლეზე კონცენტრაციის წრფივი და სწრაფი ზრდა დილით გრძელდება 11 სთ-მდე, ე.ი. გაფრქვევის სიჩქარის ზრდასთან შედარებით 1 სთ-ით მეტ ხანს. შემდეგ, ავტომაგისტრალზე და ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე 11-დან 12 სთ-მდე, მიღებულია კონცენტრაციის სუსტი ზრდა, სამრეწველო უბანში მდებარე პუნქტში – კონცენტრაციის ინტენსიური შემცირება. სასოფლო-სამეურნეო ზონებსა და დაუსახლებელ პუნქტებში კონცენტრაციის წრფივი ზრდა გრძელდება 12 სთ-მდე. 12-დან 17 სთ-მდე აეროზოლის გაფრქვევის სიჩქარე მუდმივია. მიუხედავად ამისა, ყველა ტიპის პუნქტში, ადგილი აქვს კონცენტრაციის დროში პარაბოლის მაგვარ ცვლილებას, რომლის მინიმალური მნიშვნელობა მიიღება დღის 14-დან 15 სთ-მდე. ფიზიკურად, კონცენტრაციის დროში აღნიშნული ცვლილება დაკავშირებულია ქვეფენილი ზედაპირისა და მასთან მდებარე ჰაერის მასის თერმული ურთიერთქმედებასთან, რომლის დროსაც იცვლება ატმოსფეროს სტრატეფიკაცია და ჰაერის ტურბულიზაციის ხასიათი. 17-19 სთ-ის შემდგომ 24 სთ-მდე კონცენტრაციის დროში ცვლილება, დღის 12 სთ-მდე მიღებული ცვლილების საპირისპიროა და განპირობებულია ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობისა და ატმოსფეროში გაფრქვევების დროში ცვლილებით.



ნახ. 3. PM2.5 კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება ავტომაგისტრალზე მდებარე პუნქტში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში 3, 6, ..., 24 სთ. (N ვერტიკალური რიცხვითი ბადის ნომერი).



ნახ. 4. PM2.5 კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება სასოფლო დანიშნულების ტერიტორიაზე მდებარე პუნქტში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში 3, 6, ..., 24 სთ. (N ვერტიკალური რიცხვითი ბადის ნომერი).




ნახ. 5. PM2.5 კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება სამრეწველო დანიშნულების ტერიტორიაზე მდებარე პუნქტში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში 3, 6, ..., 24 სთ. (N ვერტიკალური რიცხვითი ბადის ნომერი).

ნახ. 3-5-ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული კონცენტრაციის მნიშვნელობები ვერტიკალური ბადის წერილებში ავტომაგისტრალის, სამრეწველო და სასოფლო ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებში. ნახ. 3-5-დან ჩანს, რომ აღნიშნულ პუნქტებში კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება მნიშვნელოვნად განსხვავდება, როგორც თვისობრივად ისე რაოდენობრივად. ავტომაგისტრალზე მდებარე პუნქტში, დროის ნებისმიერ მომენტში, კონცენტრაციის მნიშვნელობები მაქსიმალურია (9-34 მკგ/მ<sup>3</sup>) ქვეფენილი ზედაპირის უშუალო სიახლოვეს მდებარე N =1 წერტილში (0.3 მ) და მცირდება სიმაღლის ზრდასთან ერთად. შემცირება ინტენსიურია ქვედა 10 მ სისქის ფენაში (N = 5). 10 მ ზევით კონცენტრაციის შემცირება მიმდინარეობს უფრო გლუვად და 100 მ სიმაღლეზე (N=16) მისი მნიშვნელობები იცვლება 4-10 მკგ/მ<sup>3</sup> ფარგლებში.


საპირისპიროა კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება სასოფლო დანიშნულების პუნქტში (ნახ 4). ის მინიმალურია ქვეფენილი ზედაპირის უშუალო სიახლოვეს (0-1.2 მკგ/მ<sup>3</sup>), იზრდება სიმაღლის ზრდასთან ერთად და 12, 18 და 21 სთ-ზე 100 მ სიმაღლეზე ხდება 9, 8 და 7.5 მკგ/მ<sup>3</sup>-ის ტოლი, შესაბამისად. კონცენტრაციის აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ძლიერი დაბინძურების წყაროდან ვერტიკალურად გადატანილი აეროზოლის შემდგომი ჰორიზონტალური დიფუზიით.

მეტად საინტერესოა სამრეწველო რაიონში მდებარე პუნქტის თავზე კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილების სურათი (ნახ. 5). მისთვის დამახასიათებელია კონცენტრაციის ზრდა მთელს მიწისპირა ფენაში დღის 0 დან 4 სთ-მდე ინტერვალში და 12 სთ-ისთვის. ამასთან, კონცენტრაცია შედარებით სწრაფად იზრდება ქვედა 10 მეტრიან ფენაში და შედარებით სუსტად – მის ზევით. დროის დანარჩენი მომენტისათვის კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილების გრაფიკს აქვს მკაფიოდ გამოხატული „ბურცობის“ ფორმა მიწის ზედაპირიდან 3-10 მ-ის ფარგლებში. ამ ფენაში კონცენტრაციის მნიშვნელობები ვარიირებს 10-დან 17.5 მკგ/მ<sup>3</sup>-მდე.

ნახ. 6 და 7-ზე ნაჩვენებია მოდელირებით მიღებული ქარის სიჩქარისა და PM2.5-ის ველები დროის ორ ინტერვალში – კონცენტრაციის ზრდისა და შემცირების დროს მიწის ზედაპირიდან 2, 10 და 600 მ სიმაღლეებზე. ამ ნახაზებიდან ჩანს რომ ქ. ქუთაისის რელიეფის ზემოქმედება ფონური ქარის შტილის დროს წარმოშობს ქარის სიჩქარის ლოკალურ ციკლონურ გრიგალს. გრიგალი კვაზისტაციონალურია. მისი ცენტრი მდებარეობს ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ რთული რელიეფის მქონე ქალაქი-მუზეუმის, უქიმერიონისა და ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიებზე.



ნახ. 6. PM<sub>2.5</sub>-ის კონცენტრაციის (მკგ/მ<sup>3</sup>) და ქარის სიჩქარის (მ/წმ) ველის განაწილება მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600მ სიმაღლეებზე t = 9, 12 და 15 სთ.



ნახ. 7. PM<sub>2.5</sub>-ის კონცენტრაციის (მკგ/მ<sup>3</sup>) და ქარის სიჩქარის (მ/წმ) ველის განაწილება მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600მ სიმაღლეებზე t = 18, 21 და 24 სთ.


ქარის სიჩქარის ციკლონური გრივალი ქმნის PM<sub>2.5</sub>-ის შესაბამის სივრცულ განაწილებას. ციკლონური ცირკულაციის დამახასიათებელი კონვერგენციის პროცესი ქვეფენილი ზედაპირის თავზე ახდენს აეროზოლის დაგროვებას ციკლონის ცენტრში ქალაქიმუზეუმის, ძელქვიანისა და უქიმირეონის ადმინისტრაციული ერთეულების მიდამოებში. ამ ტერიტორიებზე მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე დილის 9 სთ-ზე კონცენტრაციის მნიშვნელობა აჭარბებენ 25 მკგ/მ<sup>3</sup> და აღწევს 50 მკგ/მ<sup>3</sup>-ს (ნახ. 6). სიმაღლის ზრდასთან ერ-

თად იზრდება აეროზოლის ჰორიზონტალური გავრცელების არე და მცირდება კონცენტრაცია. მიწის ზედაპირიდან 100 მ სიმაღლეზე კონცენტრაციის იზოზოლებს გააჩნია წრიული ფორმა ციკლონის ცენტრის თავზე, სადაც მისი მნიშვნელობა 15-25 მკგ/მ<sup>3</sup>-ია. ცენტრიდან დაშორებისას კონცენტრაციის მნიშვნელობა მცირდება 5 მკგ/მ<sup>3</sup>-მდე და თვითონ იზოარეები თანდათანობით ღებულობს ოთხკუთხედის ფორმა. უფრო მაღლა, მიწის ზედაპირიდან 600 მ სიმაღლეზე, კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა არ აღემატება 5მკგ/მ<sup>3</sup> – ს. ციკლონის „თვალის“ მიდამოებში კონცენტრაცია 1-2.5 მკგ/მ<sup>3</sup>-ია.

12 სთ და 15 სთ-ზე მიწისპირა კონცენტრაციების ჰორიზონტალური განაწილება ძირითადად ერთმანეთის მსგავსია. კონცენტრაციის შედარებით მაღალი მნიშვნელობები 15-25 მკგ/მ<sup>3</sup> მიღებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გამარჯვებისა და სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულების მცირე ზომის არეებში. მიწის ზედაპირიდან 100 მ სიმაღლეზე ვერტიკალური გადატანის შედეგად ადგილი აქვს კონცენტრაციის ზრდას, რომელიც მიმდინარეობს დაახლოებით 3-4 სთ ფაზური ჩამორჩენით და 12 სთ-ზე ქმნის მნიშვნელოვან არეს სადაც კონცენტრაციის მნიშვნელობები იცვლებიან 20-25 მკგ/მ<sup>3</sup> -ის ფარგლებშია. მიწის ზედაპირიდან 600 მ სიმაღლეზე კონცენტრაცია იცვლება 1-10 მკგ/მ<sup>3</sup>-ის მიდამოებში, თანაც ისე რომ მაღალი მნიშვნელობები მიღებულია მოდელირების არის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. აღნიშნული ეფექტი მიუთითებს ამ დონეზე დივერგენციული გადატანის ეფექტის წვლილის ზრდას.

ნახ. 7-ზე ნაჩვენებია მოდელირებით მიღებული კონცენტრაციის იზოზოლები 18, 21 და 24 სთ. ნახ. 7-დან ჩანს, რომ კონცენტრაციის განაწილების სურათი მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე მსგავსია 9-15 სთ-თვის მიღებული განაწილების სურათის (ნახ. 6), უფრო მაღალ დონეებზე ადგილი აქვს გარკვეულ თვისობრივ და რაოდენობრივ განსხვავებას. თუკი 100 მ სიმაღლეზე 9-დან 12 სთ-მდე აეროზოლის კონცენტრაცია იზრდება 5-10 მკგ/მ<sup>3</sup>-ით, 15-დან 18 სთ-მდე დროის ინტერვალში კონცენტრაციის ზრდა არ აღემატება 5 მკგ/მ<sup>3</sup>.

ნახ. 8 ზე ნაჩვენებია ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში მოდელირებით მიღებული PM2.5-ის კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამავალ ზონალურ კვეთაში.



ნახ. 8. PM2.5 -ის კონცენტრაციების (მკგ/მ<sup>3</sup>) განაწილება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ქალაქის ცენტრში გამავალ პარალელის გასწვრივ არსებულ ვერტიკალურ კვეთაში.

ნახ. 8-დან ჩანს, რომ ატმოსფერულ ჰაერში PM2.5 გავრცელება მიმდინარეობს როგორც ტურბულენტური დიფუზიის ასევე ადვექციური და კონვექციური პროცესების შედეგად. ამ პროცესების როლის მნიშვნელობა სხვადასხვაა დროის სხვადასხვა მომენტებში. დილის

9 სთ-თვის მნიშვნელოვანია კონვექციური პროცესის გავლენა აეროზოლის გავრცელებაზე ვერტიკალური კვეთის ცენტრალურ ნაწილში. 12 სთ და 18 სთ-ზე ატმოსფეროს მიწისპირა ფენის ქვედა 40-50 მ სისქის ფენაში აეროზოლის გავრცელებაში აქტიური როლს თამაშობენ ტურბულენტური და ადვექციური პროცესები.

## დასკვნა

რიცხვითი მოდელირებით გამოკვლეულია ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი PM<sub>2.5</sub>-ის სივრცული განაწილებისა და დროში ცვლილების თავისებურება ზამთრის სეზონში მიწისპირა შტილის და თავისუფალ ატმოსფეროში დასავლეთის ფონური ქარის დროს. გამოთვლებით მიღებულია, რომ ზამთრის სეზონში მეზომასშტაბის რეგიონის რელიეფის ურთიერთქმედება ფონურ დასავლეთის ქართან წარმოშობს მეზომასშტაბის ქარის სიჩქარის ციკლონურ ცირკულაციას. ფორმირებული დინამიკური და თერმობარული ველები ახდენენ გავლენას ატმოსფეროში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად გაფრქვეული აეროზოლის სივრცულ განაწილებაზე. მოდელირების შედეგად მიღებულია PM<sub>2.5</sub>-ის კონცენტრაციის სივრცული განაწილების სურათები, განსაზღვრულია კონცენტრაციის დროში ცვლილების ხასიათი, როგორც ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ასევე სასაზღვრო ფენაში. ნაჩვენებია, რომ კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება და დროში ცვლილება დამოკიდებულია როგორც აეროზოლის გაფრქვევის სიჩქარეზე და ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობაზე, ასევე ატმოსფეროს მიწისპირა ფენის კინემატიკაზე და ქვეფენილ ზედაპირზე თერმული რეჟიმის დღეღამური ცვლილებით ფორმირებულ ლოკალურ ცირკულაციურ სისტემაზე. განსაზღვრულია ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიებზე მაღალი და საშუალო დაბინძურების დონეები და მათი მდებარეობის ცვლილება დღე-ღამის განმავლობაში.

**მადლიერების გამოხატვა.** სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-22 – 4765 გრანტის ფარგლებში.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Hong H., Choi H., Jeon H., Kim Y., Jae-Bum Lee, Park C. H., Kim H. S. An air pollutants prediction method integrating numerical models and artificial intelligence models targeting the area around Busan port in Korea. *Atmosphere*, 13(9), 2022, 1462; <https://doi.org/10.3390/atmos13091462>.
2. Udristoiu M., Mghouchi Y., Yildizhan H. Prediction, modelling, and forecasting of PM and AQI using hybrid machine learning. *Journal of Cleaner Production*, Volume 421, 2023. <https://doi.org/10.1016/j.jclepro.2023.138496> Get rights and content.
3. Draper E., Whyatt J., Taylor R., Metcalfe S. Estimating background concentrations of PM<sub>2.5</sub> for urban air quality modelling in a data poor environment. *Atmospheric Environment*, Volume 314, 2023, 120107. <https://doi.org/10.1016/j.atmosenv.2023.120107> Get rights and content. <https://www.nature.com/articles/s41598-021-91253-9>.
4. Chae S., Shin J., Kwon S., Lee S., Kang S., Lee D. PM<sub>10</sub> and PM<sub>2.5</sub> real-time prediction models using an interpolated convolutional neural network. *Scientific Reports*, volume 11, 11952, 2021. <https://www.nature.com/articles/s41598-021-91253-9>.
5. Deters J., Zalakeviciute R., Gonzalez M., Rybarczyk Y. Modeling PM<sub>2.5</sub> urban pollution using machine learning and selected meteorological parameters. *machine intelligence in signal sensing, processing, and recognition*. 2017. <https://doi.org/10.1155/2017/5106045>.



6. World Health Organization. Regional Office for Europe. Review of evidence on health aspects of air-REVIHAAP Project. 2022. First result. <https://media.xpair.com › pdf › REVIHAAP>
7. Mortality and burden of disease from ambient air pollution-WHO. 2020. [https://www.who.int/gho/phe/outdoor\\_air\\_pollution/burden/en/](https://www.who.int/gho/phe/outdoor_air_pollution/burden/en/).
8. Integrated Science for Particulate Matter. EPA. United States Environmental Protector Agency, 2019, p. 1967. EPA/600/R-19/188. [www.epa.gov](http://www.epa.gov).
9. Agrawal G., Mohan D., Rahman H. Ambient air pollution in selected small cities in India: observed trends and future challenges. IATSS Research. 45, Issue 1, 2021, pp. 19-30. <https://doi.org/10.1016/j.iatssr.2021.03.004>.
10. Kobza J., Geremek M., Dul L. Characteristics of air quality and sources affecting high levels of PM10 and PM2.5 in Poland, Upper Silesia urban area. Environmental Monitoring and Assessment. 190, Article number: 515, 2018.
11. Environmental pollution, 2021. [https://air.gov.ge/reports\\_page](https://air.gov.ge/reports_page)
12. World's most polluted cities (historical data 2017-2022). <https://www.iqair.com/world-most-polluted-cities>.
13. Amiranashvili, A. G., Kirkitadze, D. D., Kekenadze, E. N. Pandemic of Coronavirus COVID-19 and Air Pollution in Tbilisi in Spring 2020. Journals of Georgian Geophysical Society, 23(1), 2020. <https://doi.org/10.48614/ggs2320202654>.
14. ნ. გიგაური, ა. სურმავა, ვ. კუხალაშვილი, ლ. ინჭკირველი, ნ. ბეგლარაშვილი. ქ. ქუთაისის ატმოსფეროში PM2.5 და PM10-ის გავრცელების გამოკვლევა ექსპერიმენტული დაკვირვებებით. სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, ტ.135, 2024, გვ. 82-87. [Doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-82-87](https://doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-82-87).
15. Surmava A., Intskirveli L., Kordzakhia G. Numerical modeling of dust propagation in the atmosphere of a city with complex terrain. The case of background eastern light air. Journal of Applied Mathematics and Physics, 08(07), 2020, pp. 1222-1228. <https://doi.org/10.4236/jamp.2020.87092>.
16. Surmava A., Intskirveli L., Kukhalashvili V. numerical modeling of the transborder, regional and local diffusion of the dust in Georgian atmosphere. Publishing House, Technical University, Tbilisi, Georgia. ISBN 978-9941-28-810-4, 2021, p.139. <http://www.gtu.ge> (in Georgian).
17. სურმავა ა., ინჭკირველი ლ., გიგაური ნ. PM2.5 და PM 10 მიკროაეროზოლი ქ. თბილისის ატმოსფეროში. თბილისი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2021, 94 გვ.
18. Gigauri N., Intskirveli L., Surmava A., Kukhalashvili V. The results of Kutaisi city atmospheric air pollution with PM particles. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 18, no. 3, 2024, pp. 90-96.

**ქ. ქუთაისის ჰაერის PM2.5-ით დაბინძურების სიმულაცია მიწისპირა შტილისა და თავისუფალ ატმოსფეროში ბაროკლინური დასავლეთის ქარის შემთხვევაში**

**სურმავა ა., გიგაური ნ., კუხალაშვილი ვ., ინჭკირველი ლ., სესაძე ვ.**

**რეზიუმე**

შეფასებულია ავტოტრანსპორტის მიერ გაფრქვეული მიკროაეროზოლის (PM2.5) გავრცელება ქ. ქუთაისის ჰაერში ზამთარში ფონური შტილური მეტეოროლოგიური პირობების დროს. გამოთვლები ჩატარებულია კავკასიაში მეზო მასშტაბის ატმოსფერული პროცესების სამგანზომილებიანი (3D) მოდელისა და ატმოსფეროში პასიური დამაბინძურებელი მინარევების გავრცელების განტოლების ერთობლივი ინტეგრირებით. მიღებული მონაცემების ბაზაზე აგებულია ქალაქის სხვადასხვა პუნქტში PM2.5-ის კონცენტრაციის მნიშვნელობების დროში ცვლილების გრაფიკები. აღმოჩნდა, რომ ქალაქის ატმოსფეროში PM2.5-ის მიწის დონეზე კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მაღალია დილის 7-დან 9 საათამდე და საღამოს 8-დან 9 საათამდე. აგებულია PM2.5-ის სივრცითი განაწილების იზოხაზები ატმოსფეროს ზედაპირულ და სასაზღვრო ფენებში. ნაჩვენებია, რომ ქუთაისისა და მიმდებარე ტერიტორიის რელიეფი განსაზღვრავს ქარის სიჩქარის ციკლონური მორევების

წარმოქმნას ხმელეთზე მიღებულია, რომ აეროზოლის გავრცელების პროცესი დამოკიდებულია დინამიურ ველებზე, ტერიტორიის ოროგრაფიასა და ზედაპირული ფენის თერმულ რეჟიმზე. განისაზღვრა ქალაქსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ჰაერის დაბინძურების მაღალი და საშუალო დონეები, ასევე მათი მდებარეობის ცვლილებები დღის განმავლობაში.

**საკვანძო სიტყვები.** PM2.5, ატმოსფერო, დაბინძურება, რიცხვითი მოდელირება.

## **MODELING OF AIR POLLUTION IN C. KUTAISI PM2.5 UNDER CALM CONDITIONS ON LAND AND BAROCLINIC WESTERLY WINDS IN THE FREE ATMOSPHERE**

**Surmava A., Gigauri N., Kukhalashvili V., Intskirveli L., Sesadze V.**

### **Abstract**

An assessment was made of the spread of microaerosol (PM2.5) emitted by motor vehicles in the air of Kutaisi in the winter period under background calm meteorological conditions. The calculations were performed by jointly integrating a three-dimensional (3D) model of mesoscale atmospheric processes in the Caucasus and the equation for the distribution of passive pollutants. Based on the data obtained, graphs of changes in PM2.5 concentration values over time at various points in the city were constructed. It was found that in the city's atmosphere, ground-level concentrations of PM2.5 are significantly higher between 7 and 9 a.m. and between 8 and 9 p.m. Isolines of spatial distribution of PM2.5 in the surface and boundary layers of the atmosphere are constructed. It is shown that the relief of Kutaisi and the adjacent territory determines the formation of a cyclonic vortex of wind speed on land. It is accepted that the process of aerosol propagation depends on dynamic fields, the orography of the territory and the thermal regime of the surface layer. High and medium levels of air pollution in the city and surrounding areas, as well as changes in their location during the day, were determined.

**Key words:** PM2.5, atmosphere, pollution, numerical modelling.

## **МОДЕЛИРОВАНИЕ ЗАГРЯЗНЕНИЯ ВОЗДУХА Г. КУТАИСИ PM2.5 В УСЛОВИЯХ ШТИЛЯ НА СУШЕ И БАРОКЛИННЫХ ЗАПАДНЫХ ВЕТРОВ В СВОБОДНОЙ АТМОСФЕРЕ**

**Сурмава А., Гигаури Н., Кухалашвили В., Инцкирвели Л., Сесадзе В.**

### **Реферат**

Проведена оценка распространения микроаэрозоля (PM2.5), выбрасываемых автотранспортом, в воздухе г. Кутаиси в зимний период при фоновых спокойных метеорологических условиях. Расчеты выполнены путем совместной интеграции трехмерной (3D) модели мезомасштабных атмосферных процессов на Кавказе и уравнения распределения пассивных загрязняющих веществ. На основании полученных данных построены графики изменения значений концентрации PM2.5 во времени в различных точках города. Получено, что в атмосфере города приземные концентрации PM2.5 значительно выше в период с 7 до 9 часов утра и с 20 до 21 часа вечера. Построены изолинии пространственного распределения PM2.5 в приземных и пограничных слоях атмосферы. Показано, что рельеф Кутаиси и прилегающей территории определяет формирование циклонического вихря скорости ветра на суше. Принято, что процесс распространения аэрозоля зависит от динамических полей, орографии территории и термического режима приземного слоя. Определены высокие и средние уровни загрязнения атмосферы в городе и прилегающих территориях, а также изменение их расположения в течение суток.

**Ключевые слова:** PM2.5, атмосфера, загрязнение, численное моделирование.

**თსუ-ს მ. ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს  
ფიზიკის სექტორის მონაწილეობით 2024 წელს გამოქვეყნებული  
სამეცნიერო ნაშრომების მოკლე მიმოხილვა**

**ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., კერესელიძე ზ., ჩიხლაძე ვ.**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდია  
სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი  
avtandilamiranashvili@gmail.com*

თსუ, მ. ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში ტრადიციულ კვლევებთან ერთად, როგორცაა ღრუბლების ფიზიკა და ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედება (სეტყვა, ელჭექი, ნისლი და სხვა), ატმოსფერული აეროზოლების და ოზონის ფიზიკა, ატმოსფერული პროცესების და მათზე აქტიური ზემოქმედების ექსპერიმენტული ლაბორატორული მოდელირება, რადიოლოკაციური მეტეოროლოგია, ატმოსფეროს დაბინძურება, აგრეთვე ტარდებოდა და ტარდება სამუშაოები საქართველოს კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შეფასების, საქართველოს საკურორტო და ტურისტული ადგილების კლიმატური და ბიოკლიმატური პასპორტიზაციის, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ზოგადად ბიოსფეროზე სხვადასხვა მეტეო-გეოფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების, სხვადასხვა გეოფიზიკური ველების კომპლექსური კვლევების დარგში.

2024 წ. სექტორში და სექტორის მონაწილეობით გამოქვეყნებული იყო 43 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 31 საქართველოში [1-31] და 12 საზღვარგარეთ [32-43].

თანამშრომლობითი ნამუშევრები გამოქვეყნებულია შემდეგ ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან: ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, სტუ [1-7, 12, 13, 15, 18-20, 22, 28, 29, 32-38, 41-43]; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი [30,32,40]; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი [18]; ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ [3,15,26]; გარემოს ეროვნული სააგენტო [7,12,22,35,36]; სამედიცინო უნივერსიტეტი [10,11]; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო [10,11]; ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი, თსუ [4,16,17]; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი [10,11]; სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი “დელტა” [30,40]; ფრაიბურგის უნივერსიტეტი, გერმანია [7,12]; გეო-ჰიდროლოგიური დაცვის კვლევითი ინსტიტუტი, პერუჯა, იტალია [16]; პლაზმის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ბარი, იტალია [27]; კოსმოსური და პლაზმის ფიზიკა, სტოკჰოლმი, შვედეთი [27]; ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი, მთის რისკების ინჟინერიის ინსტიტუტი, ვენა, ავსტრია

[35,36]. ქვემოთ მოყვანილი ნაშრომები თემატურად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს, კერძოდ: სეტყვის პრობლემებთან დაკავშირებული (1, 5, 30, 33, 37, 40, 41, 42); ატმოსფერული ნაკადები (6, 19, 26, 35, 43); ნალექები და მეწყერები (4,15, 16, 17, 18, 21, 36); ამინდი, კლიმატი, გლობალური დათბობა, დემოგრაფია (2, 3, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 22, 27, 32); გეოფიზიკის ინსტიტუტის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საერთო და ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის სამეცნიერო აქტივობები (13, 20, 28, 29, 31); თოვლის ზვავები, მიწისძვრები, რადონის მონიტორინგი, მყინვარები (23, 24, 25, 34, 38 ).

ქვემოთ მოყვანილია აღნიშნული ნაშრომების მოკლე ანოტაციები.

[1]. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს 30 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი შედეგი 1941-2021 წლებში წლის თბილ ნახევარში სეტყვიან დღეთა რიცხვის შესახებ. კერძოდ, მიღებულია შემდეგი შედეგები: მოყვანილია მონაცემები სეტყვიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობების შესახებ 1941-2021წლებში, 1941-1980 (პირველი პერიოდი) და 1981-2021 (მეორე პერიოდი); შესწავლილ იქნა კორელაციები საკვლევ პარამეტრებს შორის დროის აღნიშნულ პერიოდებში; დადგინდა, რომ მეორე პერიოდში, პირველთან შედარებით, 21 სადგურზე შეინიშნება სეტყვიან დღეთა საშუალო რიცხვის შემცირება, 8 სადგურზე ეს რიცხვი არ იცვლება და მხოლოდ ერთ სადგურზე შეინიშნება სეტყვიან დღეთა საშუალო რიცხვის მატება; შესწავლილი იქნა სეტყვიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რიცხვის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესთან მიმართებაში 1500 მ-ზე ნაკლებ სიმაღლეზე მდებარე 24 მეტეოსადგურისთვის საკვლევ პერიოდის განმავლობაში; დადგინდა, რომ მეორე პერიოდში, პირველთან შედარებით, სუსტდება.

[2]. განხილულია შემოდგომის პირველი წაყინვების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოიცავს 2007- 2022 წლებს. დამუშავებულია საქართველოს ტერიტორიაზე განაწილებული 25 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები წაყინვების შესახებ. საკვლევ 16 წლიანი პერიოდისთვის დადგენილია ყველაზე ადრე და ყველაზე გვიან დაფიქსირებული შემოდგომის პირველი წაყინვები.

[3]. ამინდი და კლიმატი არის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის ბიოკლიმატურ რესურსებს და, შესაბამისად, მის ვარგისიანობის ხარისხს საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზებისა და განვითარებისთვის. ადრეული კვლევები ტურიზმისთვის იყენებდნენ სხვადასხვა კლიმატის ინდექსებს. ბოლო წლებში პოპულარობას იძენს ეგრეთ წოდებული Holiday Climate Index (დასვენების კლიმატის ინდექსი – HCI), რომელიც წარმოადგენს ხუთი კლიმატური ელემენტის კომბინაციას (ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ღრუბლის საფარი, ნალექი და ქარი). HCI-ს მნიშვნელობების განსაზღვრა საქართველოს სხვადასხვა ლოკაციებზე 2020 წელს დაიწყო (თბილისი, კახეთის რეგიონი, 13 მაღალმთიანი წერტილი და სხვ.). ამ ნაშრომში საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონის 8 დასახლებულ პუნქტში (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა, მანგლისი, რუსთავი) დასვენების კლიმატის ინდექსის (HCI) გრძელვადიანი საშუალო მნიშვნელობების მონაცემების ანალიზია წარმოდგენილი. შესწავლილი იყო HCI-ს მნიშვნელობების წლიური განაწილება; კორელაციები ცალკეულ სადგურებს შორის განისაზღვრა საშუალო თვიური და სეზონური HCI-ს მნიშვნელობების საფუძველზე; აღმოჩნდა, რომ ქვემო ქართლის ყველა წერტილისთვის HCI-ს საშუალო თვიური მნიშვნელობების წლიური ცვალებადობის რეგ-

რესიის განტოლებებს აქვს მეცხრე რიგის პოლინომის ფორმა; განისაზღვრა საშუალო თვიური და სეზონური HCl-ს მნიშვნელობების კატეგორიები ქვემო ქართლის მითითებულ დასახლებებში; შედარება განხორციელდა ქვემო ქართლის 8 პუნქტში HCl-ს საშუალო თვიური მნიშვნელობების სტატისტიკური მახასიათებლების მითითებულ მახასიათებლებთან ბოლნისში, გარდაბანში, მარნეულში, რუსთავში (სადგურების სიმაღლე ზღვის დონიდან  $H < 1$  კმ) და დმანისში, თეთრი წყაროში, წალკა, მანგლისი ( $H \parallel 1$  კმ) და ჩატარდა HCl კატეგორიების განმეორებადობის შესაბამისი ანალიზი. ნაჩვენებია, რომ ქვემო ქართლში ბიოკლიმატური პირობები ხელსაყრელია საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის წლის ყველა თვეში. მომზადდა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე საშუალო თვიური HCl-ს კატეგორიების განაწილების ვიზუალური რუკა.

[4]. წარმოდგენილია საქართველოს 39 მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების რეპრეზენტულობა ამ სადგურების ირგვლივ ნალექების თვიური რაოდენობის მიხედვით კვლევის შედეგების გათვალისწინებით. დაკვირვების პერიოდი 1936 – 2015 წწ. კერძოდ, დადგინდა რომ ამ სადგურების რეპრეზენტულობა თვიური ნალექების მიხედვით მერყეობს 14 კმ-დან (ახალქალაქი, იანვარი) 90 კმ-მდე (ახალციხე, ოქტომბერი).

[5]. ნაშრომში წარმოდგენილია ბოლნისსა და წალკაში სეტყვიან დღეთა რაოდენობის წლის თბილ ნახევარში (HD) 1941-2021 წლებში ცვალებადობის მახასიათებლების შესწავლის შედეგები და მათი მოსალოდნელი ცვლილება 2045 წლამდე. აღნიშნულ პუნქტებში შესწავლილი იქნა სეტყვიან დღეთა რაოდენობის დროის სერიების სტაბილურობა HD-ს დროსთან კორელაციების განსაზღვრით (წრფივი კორელაცია, კენდალის და სპირმანის რანგის კორელაცია). განისაზღვრა ავტოკორელაციის დონე HD-ს დროის რიგებში ბოლნისსა და წალკაში. შესწავლილია ამ დროის რიგების პერიოდულობა. განხორციელდა ბოლნისსა და წალკაში სეტყვიან დღეთა რაოდენობის ინტერვალური პროგნოზირება 2045 წლამდე HD-ს დროის რიგებში პერიოდულობის გათვალისწინებით.

[6]. წარმოდგენილია 2024 წლის 25 ივნისს კახეთში ტორნადოს გავრცელების არეალის ექსპედიციური კვლევის ზოგიერთი შედეგი. ალავერდის საკათედრო ტაძარში მეცნიერთა ჯგუფს შეხვედრა ჰქონდა მის მაღალყოვლადუსამღვდელესობასთან აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ – დავითთან. დაწვრილებით იქნა განხილული ალავერდის ტაძრის დაზიანებები. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. შემდგომი კვლევა გაგრძელდა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე და სოფლების ქვემო და ზემო ალვანის მიმართულებით. დადგენილი იქნა ქარბორბალას წარმოშობის სავარაუდო ადგილი, გავრცელების ტრაექტორია და არეალი. შესწავლილი იქნა გავრცელების ტრაექტორიაზე ქარბორბალათი გამოწვეული დაზიანებები. უახლოეს მომავალში იგეგმება ამ ბუნებრივი ფენომენის უფრო დეტალური შესწავლა.

[7]. წარმოდგენილია წალკისთვის (საქართველო) დასვენების კლიმატის ინდექსის (HCI) მრავალწლიანი საშუალო თვიური მნიშვნელობების მონაცემები. ჩატარდა ყოველთვიური, სეზონური და წლიური HCl-ის მნიშვნელობების დეტალური ანალიზი 60 წლის განმავლობაში (1956-2015). შესწავლილია HCl-ის ცვალებადობა 1986-2015 წლებში 1956-1985 წლებთან შედარებით და შესწავლილი იქნა HCl-ის ტენდენციები 1956-2015 წლებში.

[8]. წარმოდგენილია 2012-2023 წლებში საქართველოში და მის რეგიონებში სახანძრო განგაშის რაოდენობის (FAC) ყოველკვირეული სტატისტიკური ანალიზის შედეგები. კერძოდ, მიღებული იქნა შემდეგი შედეგები. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური FAC-ის

მნიშვნელობა ფიქსირდება კახეთში (858), ყველაზე დაბალი – თბილისში (14). მთლიანობაში საქართველოში საშუალო წლიური FAC-ის სიდიდე არის 2739. შესწავლილია ყოველკვირეული FAC-ის მნიშვნელობების შიდაწლიური განაწილება საქართველოსა და მისი რეგიონებისთვის. განისაზღვრა წრფივი კორელაციური ურთიერთობის ხარისხი საქართველოს რეგიონებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის ყოველკვირეულ რაოდენობაზე.

[9]. წარმოდგენილია PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub> ნაწილაკების საშუალო თვიური და წლიური კონცენტრაციების სტატისტიკური ანალიზის შედეგები თბილისში სამ ლოკაციაზე (ყაზბეგის გამზ., წერეთლის გამზ. და ვარკეთილი) 2017-2023 წლებში. ჩატარდა ჰაერის დაბინძურების მითითებულ მახასიათებლებს შორის კორელაციის ანალიზი. შესწავლილი იქნა PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub> საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობა დაკვირვების საკვლევი პერიოდში. კერძოდ, დადგინდა, რომ 2020-2021 წლებში აეროზოლების საშუალო წლიური კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მანქანების გადაადგილების შეზღუდვების გამო, ბოლო წლებში დაფიქსირდა ატმოსფეროს აეროზოლებით დაბინძურების ზრდა. ამრიგად, 2023 წელს წერეთლის გამზირზე მდებარე მონიტორინგის სადგურმა ჰაერში PM<sub>10</sub> შემცველობის რეკორდული ზრდა დააფიქსირა. ზოგადად, დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub> საშუალო წლიური კონცენტრაცია იყო დასაშვებ ზღვარზე მეტი.

[10]. ნაშრომში წარმოდგენილია შობადობის, სიკვდილიანობის და მოსახლეობის ზრდის ცვალებადობის სტატისტიკური ანალიზის შედეგები 1994-2023 წლებში. ნაჩვენებია COVID-19 პანდემიის როლი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებაში მისი არსებობის პერიოდში (2020-2021) და პოსტCOVID პერიოდში (2022-2023).

[11]. ნაშრომში წარმოდგენილია 2018-2023 წლებში ბათუმში Missenard-ის მიხედვით ჰაერის ეფექტური ტემპერატურის დღიური საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობების სტატისტიკური ანალიზის შედეგები.

[12]. 1956-2015 წლებში წალკაში (საქართველო) დასვენების კლიმატის ინდექსის (HCI) ყოველთვიური მნიშვნელობების ცვალებადობის შესახებ ადრე მოპოვებულ ბუნებრივ მონაცემებზე დაყრდნობით, განხორციელდა HCI-ის ინტერვალური პროგნოზი 2026-2035 წლებში ექსპონენციალური დაგლუვების AAA ვერსიის გამოყენებით (ETS) ალგორითმი.

[13]. წარმოდგენილია თსუ, მ. ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტისა და სტუ, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი სამუშაოს მოკლე მიმოხილვა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

[14]. სტატიაში წარმოდგენილია თბილისში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის (T<sub>თ</sub>) ცვალებადობის ანალიზის შედეგები 1844-2023 წლებში კლიმატის ცვლილების ფონზე. ასევე, გაკეთებულია ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ანომალიების შედარება თბილისში (ΔT<sub>თ</sub>) და 24°-64° ჩრდილოეთ გრძედის (ΔT<sub>Z</sub>) ზონაში 1884-2023 წლებში. მიღებულია შესწავლილი პარამეტრების ტენდენციები (T<sub>თ</sub> და ΔT<sub>თ</sub> მეოთხე ხარისხის მრავალწევრია, ΔT<sub>Z</sub> არის მეშვიდე ხარისხის მრავალწევრი). აღნიშნულია, რომ შესწავლილ ლოკაციებზე ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაფიქსირდა ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება.

[15]. განხორციელდა თბილისში ნალექების რაოდენობით ყოველთვიური და სეზონური (წელი, ცივი და თბილი სეზონები) დაკვირვებების დროის სერიების სტატისტი-

კური ანალიზი 1844 წლიდან 2023 წლამდე. ნალექის თვიური და სეზონური საშუალო მნიშვნელობების შედარება განხორციელდა ორ ოთხმოცდაათწლიან და ოცდაათწლიან პერიოდზე (1844-1933 და 1934-2023, ასევე 1844-1873 და 1994-2023 წლებში). ამ დაკვირვების დროის სერიების თავსებადობის შესაფასებლად ჩატარდა მათ შორის წრფივი კორელაციის ანალიზი განსაზღვრული დროის პერიოდებისთვის.

[16]. სტატიაში, განხილულია 2024 წლის 7 თებერვალს ნერგეთში (იმერეთი, საქართველო) მეწყერის გამომწვევი ნალექის რეჟიმის ანალიზის შედეგები, (დღე მეწყერით და 3, 5, 7, 10, 20 და 30 დღით ადრე, მეტეოროლოგიური სადგურების ქუთაისისა და ზესტაფონის მონაცემებზე დაყრდნობით). აღნიშნული მონაცემები იმერეთში მეწყერული 75 მეწყერული შემთხვევის მსგავს კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ძლიერი ნალექის რეჟიმი, რომელმაც ნერგეთში მეწყერი გამოიწვია, საკმაოდ იშვიათად დაფიქსირდა იმერეთის რეგიონში – 75-დან 12%-ში მეწყერის ნალექის რაოდენობის გამო და 30 დღის განმავლობაში ნალექების დაგროვებული რაოდენობის შემთხვევების მხოლოდ 8%-ში. ძირითადი სიტყვები: მეწყერი, ატმოსფერული ნალექი, ნალექი, იმერეთი, საქართველო.

[17]. სტატიაში, შედარებულია სატელიტურ (PS) და მიწისპირა (PM) მონაცემები ნახევარ წლიური და წლიური ნალექების შესახებ 26 მეტეოროლოგიურ სადგურზე საქართველოში, 2001-2020 წლებში. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ PS-სა და PM-ს შორის ურთიერთობა დამაკმაყოფილებლად არის აღწერილი წრფივი განტოლებით. ძირითადი სიტყვები: ატმოსფერული ნალექიანობა, ადგილზე დაფუძნებული და სატელიტური გაზომვები.

[18]. *ნაშრომში წარმოდგენილია 2024 წლის 7 ივლისს თბილისში უხვი ნალექის ანალიზის ზოგიერთი შედეგი მიწის დონეზე და სატელიტური გაზომვების საფუძველზე.*

[19]. სტატიაში წარმოდგენილია ატმოსფერული სტაბილურობის დონის და ჭექა-ქუხილის პროცესის მახასიათებლების შესწავლის შედეგები, რამაც ხელი შეუწყო ტორნადოს წარმოქმნას კახეთში 2024 წლის 25 ივნისს.

[20]. *ნაშრომში წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დიდ საღრუბლო კამერაში ატმოსფეროს ფიზიკის მიმართულებით ჩატარებული ექსპერიმენტალური კვლევების მოკლე მიმოხილვა. წარმოდგენილია ამ კვლევების შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმები.*

[21]. მოცემულია ინფორმაცია ე.წ. ირიბი წვიმების შესახებ, განმარტებულია მისი მნიშვნელობა მშენებლობასა და არქიტექტურაში და აგრეთვე წარმოდგენილია თსუ-ს გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერაზე ჩატარებული ირიბი წვიმების მარეგისტრირებელი დანადგარის მაკეტის გამოცდებისთვის შექმნილი სტენდი.

[22]. გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებულმა კლიმატის გლობალურმა დათბობამ კაცობრიობას ძალიან ბევრი სიძნელე და საფრთხე შეუქმნა. როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერების მთელი რიგი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სტიქიური კატასტროფები დაკავშირებულია უშუალოდ ამინდისა და კლიმატის ცვლილებასთან. დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების ჩამოყალიბებაში, როგორცაა მცენარეთა საფარის და ცხოველთა სამყაროს გეოგრაფიული განაწილება, ბიოლოგიური პროცესების ინტენსივობა და ხასიათი უშუალოდ მონაწილეობს ამინდი და კლიმატი. თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და საკურორტო ინდუსტრია, სამშენებ-

ლო საქმე და ენერგეტიკული რესურსების მართვა უშუალოდაა დაკავშირებული მოცემული ადგილის კლიმატურ პირობებთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლიმატი ხასიათდება დუალიზმით, ორბუნებოვანია და როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორსაც წარმოადგენს. ამდენად კლიმატის კვლევა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით კი აქტუალური გახდა მისი შესწავლა გასული საუკუნის II ნახევრიდან. ეს განპირობებულია იმით, რომ კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე თავი იჩინა რეგიონულმა კლიმატურმა ვარიაციებმა, რამაც კაცობრიობას უამრავი პრობლემა შეუქმნა.

[23]. მიწისძვრის წინამორბედების მონიტორინგის დროს, დამატებითი ინფორმაციის სახით ელექტრომაგნიტური ველების ანალიზის ვარიაციებით, შესაძლებელია მიწისძვრის წინამორბედების განსაზღვრა, რაც ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა. გეომაგნიტური ველის ცვალებადობასა და სეისმურ აქტივობას შორის კავშირი მიწისძვრის პროგნოზირების ფუნდამენტური პრობლემის არსებითი ელემენტია. გეოდინამიკური პროცესების არაცალსახობის თვალსაზრისით საქართველო მიეკუთვნება ერთ-ერთ განსაკუთრებულად რთულ რეგიონს. მაკრო სტრუქტურული ფაქტორი აქ არის არაბეთისა და ევრაზიის ტექტონიკური ფილების კონტაქტი, რასაც ემატება ლოკალურ გეოლოგიური სტრუქტურული მრავალფეროვნება, თუმცა ყველა ეს ადგილი გამოირჩევა მაღალი სეისმურობით. სტატიაში წარმოდგენილია სეისმური პროცესების მომდინარეობის ისეთ ინდიკატორებზე დაკვირვება როგორცაა: გეომაგნიტური ველი.

[24]. SRNSFG FN-19-22022 პროექტის „რადონის აგეგმვა და რადონის რისკის შეფასება საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს რიგ გეოგრაფიულ ზონებში ჩატარდა სავსე სამუშაოები როგორც წყალსა და ნიადაგში რადონის ( $^{222}\text{Rn}$ ) განაწილების რაოდენობრივად განსაზღვრის მიზნით, ასევე, რადონის კონცენტრაციების განმსაზღვრელი გეოლოგიური ფაქტორების შესაფასებლად. ადგილზე რადონის კონცენტრაცია გაზომილი იქნა ნიადაგის აირში (68 სინჯის აღების წერტილი) და სხვადასხვა წყალპუნქტებში (ქები და წყაროები, სულ 75 წყალპუნქტი, 66- წყარო, 9 ჭაბურღილი) AlphaGUARD PQ2000 PRO (Saphymo GmbH) რადონის მონიტორის გამოყენებით. რადონის კონცენტრაცია მერყეობდა 0,12-დან 73 Bq/L წყალში და  $36,9 \text{ Bq}\cdot\text{m}^{-3}$ -მდე ნიადაგის აირში. ყველა სადამკვირვებლო ადგილი მონიშნული იყო GPS პოზიციით. მონაცემები დამუშავდა საბაზისო სტატისტიკური ანალიზით და წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა გრაფიკების მეშვეობით. შემდგომში, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წყალსა და ნიადაგის გაზომილი რადონის განაწილების ვიზუალიზაციისათვის მოხდა სავსე მონაცემების აციფვრა და ინტეგრირება GIS სისტემაში.

[25]. *მყინვარები ყოველთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ კავკასიის რეგიონში, სადაც მთის კანიონები საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული. გლობალურ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა პროცესებმა, რომლებიც ყველგან ხდება, უკიდურესად გაამწვავა მყინვარული კატასტროფებისგან მოსახლეობის პრევენციის პრობლემა. მაგალითად, არსებობს სამწუხარო გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია კოლკას მყინვარის ნგრევასთან, რამაც გამოიწვია გიგანტური გლაციალური ღვარცოფი 2002 წელს. ასეთი კატასტროფის კატეგორიაში უნდა შედიოდეს გლაციალური ღვარცოფის გენერირება ბუბას მყინვარიდან 9/3/2023, რამაც გამოიწვია ტრაგედია უამრავი მსხვერპლით კურორტ შოვში. ასეთი კატასტროფული მოვლენების განვითარების შესაძლო ადგილისა და დროის განსაზღვრას (მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, ფართომასშტაბიანი წყალ-*



დიდობები) აქვს საიმედოობის ძალიან დაბალი ხარისხი და პრობლემატურია, მიუხედავად სახმელეთო და კოსმოსური მონიტორინგის სამეცნიერო მეთოდების თანამედროვე დონისა. კერძოდ, აშკარაა საჭიროება კავკასიის მყინვარების ამჟამინდელი მდგომარეობის გრძელვადიანი მონიტორინგისა და ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკის, ყოველი ახალი გამოცდილების გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს ინფორმაციის სიმცირე, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს ვიმსჯელოთ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბუბას მყინვარზე მიმდინარე პროცესებზე. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმეს წარმოედგინა მდინარეების ბუბისწყლისა და ჯაანჯახის ხეობებზე მყინვარული ღვარცოფის გავრცელების ფართომასშტაბიანი ვირტუალური სურათი, ადექვატური იმისა, რაც სინამდვილეში აღმოჩნდა. ამავდროულად, თუ არსებობს დაკვირვების შედეგების საკმარისად სრული მონაცემთა ბაზა და მისი სწორი ანალიზი, ჰიდროდინამიკური მსგავსების პრინციპზე დაფუძნებული, შესაძლებელია, მაგალითად, მთის ნებისმიერ ხეობაში წყალდიდობის ან მყინვარული ნაკადის სავარაუდო პარამეტრების მოდელირება. კავკასიის რეგიონის შემთხვევაში, შეგიძლიათ გამოიყენოთ ზოგიერთი შედეგი, მიღებული ჯანკუათის და კოლკას მყინვარების რიცხვითი მოდელირების გამოყენებით. კერძოდ, ეს მოდელები საკმაოდ გამოსადეგია არა მხოლოდ სავარაუდო მიზეზების დასადგენად, არამედ ბუბას მყინვარზე ნგრევის შედეგების რეტროსპექტული ანალიზისათვის. პირველ რიგში ეს ეხება ჰეტეროგენულ ღვარცოფში ჰიდროდინამიკური ტალღების გავრცელების პროცესს. ამ მიზნით ასევე მნიშვნელოვანია სეისმური ხელსაწყოების ჩანაწერები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ბუბას მყინვარზე ნგრევის პროცესის შედეგად წარმოქმნილი აკუსტიკური ტალღების სიხშირის სპექტრის შესახებ. ბუბისწყლისა და ჭანჭახის ხეობებში შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ტიპის ჰიდროდინამიკური ტალღები. ფრუდის მსგავსების რიცხვის მნიშვნელობების დამახასიათებელ დიაპაზონში ყველაზე სავარაუდოა უნდა ჩაითვალოს მორბენალი მგორავი ტალღების წარმოქმნა, რომელთა სიმაღლემ შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე მეტრს. მარტოხელა ტალღების (სოლიტონების) გამოჩენა, ასევე ე.წ. გრავიტაციული ტალღები ნაკლებად სავარაუდოა იყო, თუმცა მათი წარმოშობის შესაძლებლობა იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი პირობები იყო შესაფერისი, არ არის გამორიცხებული. შოვის ხეობის ქვედა, ყველაზე ფართო მონაკვეთში, ე.წ. კოტეჯების ზონაში, ღვარცოფის მასის მოძრაობა მსგავსი იყო 2002 წელს მდინარე გენალდონის ხეობაში კოლკას მყინვარზე ჩამონგრევის შედეგად აღძრული მყინვარული ღვარცოფის მოძრაობისა. მიუხედავად დიდი განსხვავებისა ბუბას და კოლკას მყინვარებიდან ჩამოსული ღვარცოფების საწყის მოცულობებში, ბლანტპლასტიკური მასის გამონატანი, ტალღების სივრცითი მასშტაბისა და ამპლიტუდის გათვალისწინებით, მისი განაწილების ბოლო უბნებში შედარებითი აღმოჩნდა და ორივე შემთხვევაში 1-3 მეტრის სიმაღლემდე შემცირდა.

[26]. გლობალური ატმოსფერო შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღია თერმოდინამიკური სისტემა, რომლის შიგნით მოქმედებენ სხვადასხვა შემამფოთებელი ფაქტორები. მაგალითად, წყნარ ატმოსფერულ პირობებშიც კი ოროგრაფია შეიძლება გახდეს დედამიწასა და ატმოსფეროს შორის სტაციონარული სითბური ბალანსის დარღვევის მიზეზი. საზოგადოდ, გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნა ნებისმიერ გაზობრივ თუ თხევად გარემოში სტოქასტიკურად დეტერმინირებულია. ეს ნიშნავს, რომ გრიგალის წარმოქმნის პროცესი, მნიშვნელოვან წილად, ალბათურია. ამიტომ, ატმოსფერული გრიგალური ველის მათემატიკური მოდელირების დროს რაციონალურია შემთხვევითი ფაქტორების გამო-

რიცხვა კონკრეტული ხელისშემწყობი პირობების გამოკვეთის გზით. მაგალითად, დედამიწის რელიეფის ძლიერი დანაწევრება ხელს უწყობს რეგიონალურ და ლოკალურ მასშტაბებში ჰაერის დინების ტურბულიზაციას. კერძოდ, სუსტი ინტენსივობის ატმოსფერული გრიგალების წარმოქმნის პროცესი მთიან ხეობებში ყოველთვის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლოკალური სტაბილურობის დარღვევა, რომლის მიზეზია განსხვავებული ოროგრაფიისა და ლანდშაფტების საზღვარზე შექმნილი ტემპერატურული ველის არაერთგვაროვნება. ასევე, გრიგალების გენერაცია და მათი დისიპაციის პროცესი ატმოსფეროში ყოველთვის შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარკვეულ სივრცულ მასშტაბებში გარემოს სტაბილურობის დარღვევა, რაც გამოიხატება მისი თერმოდინამიკური პარამეტრების შემფოთებაში.

[27]. გეომაგნიტურ ქარიშხლებს შეუძლიათ წყობიდან გამოიყვანონ ტექნოლოგიური სისტემები და გავლენა მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ კვლევაში განვიხილეთ მზე-დედამიწის ურთიერთქმედების დინამიკა დუშეთის ობსერვატორიის და გლობალური გეომაგნიტური ინდექსების გამოყენებით. ჩვენ გამოვიკვლიეთ ურთიერთობა პლანეტათაშორის მაგნიტურ ველს (IMF), მზის ლაქების რიცხვებსა და გეომაგნიტური ველის H – კომპონენტს შორის 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის ივლისამდე პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 2024 წლის 11 მაისის გეომაგნიტურ ქარიშხალზე. ვეივლეტ კოჰერენტული ანალიზით, ჩვენ გამოვავლინეთ მნიშვნელოვანი ურთიერთქმედებები მზის და გეომაგნიტურ მონაცემებს შორის, თანმიმდევრული პატერნებით რომლებიც ჩნდება ქარიშხლის დაწყებამდე. მზის ციკლების მიხედვით კორელაციურმა ანალიზმა (1964-2024) გამოავლინა 15 პროცენტის კორელაცია 5 დღის ჩამორჩენაზე, რაც ხაზს უსვამს მზის ლაქების რიცხვების პოტენციალს მაგნიტური ქარიშხლების წინასწარმეტყველებაში. ამ კვლევამ, ასევე, დაადასტურა ადგილობრივი გეომაგნიტური მონაცემების სანდოობა, ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას საქართველოში გლობალური გეომაგნიტური მოვლენების რეგიონული გამოვლინებების გასაანალიზებლად. შედეგები ხელს უწყობს გეომაგნიტური ქარიშხლების გაუმჯობესებული პროგნოზირების მოდელის შემუშავებას და ხაზს უსვამს ლოკალიზებული კვლევების საჭიროებას კოსმოსურ ამინდთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასაანალიზებლად.

[28]. წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია თსუ, მ. ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტისა და სტუ, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი კვლევების შესახებ ჩატარებული 2019-2023 წწ. და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

[29]. წარმოდგენილია ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კომპლექსური გეოფიზიკური მონიტორინგი საქართველოში: ისტორია, თანამედროვე პრობლემები, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა“ მიძღვნილი საქართველოში რეგულარული მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზების 180 წლის იუბილისადმი, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 17-19 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

[30]. სტატიაში, კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონში, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენის, სეტყვის წარმოშობის და გავრცელების თანამედროვე მდგომარეობა და ევოლუციის ხასიათის დადგენა. აღნიშნული საკითხების კვლევა განხორციელებულია წინა წლების სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. სტიქიური მოვლენის (სეტყვის) დროში

ცვლილების ტენდენციების დასადგენად; ჩატარებულია საქართველოში სექცის საწინა-აღმდეგო სამუშაოების ანალიზი 2016-2024 წლებში; გაკეთებულია გარკვეული დასკვნები და დასახულია სამუშაოების ეფექტურობის გასაუმჯობესებელი რიგი ღონისძიებები.

[31]. სტატიაში წარმოდგენილია თსუ, მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის სექტორში 2014-2023 წწ. ჩატარებული კვლევების ზოგიერთი შედეგები. კვლევები ჩატარდა პროექტ „საქართველოში ბუნებრივი და ანთროპოგენური ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების კვლევა უსაფრთხო ეკოსისტემების შექმნის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ ფარგლებში.

[32]. გლობალური კლიმატის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი პროცესებითა და ადამიანთა მზარდი აქტივობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. რეგიონი განიცდის ტემპერატურის მატებას, გაუდაბნობას, ნალექების გადანაწილებას და ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშირისა და სიმძიმის მატებას. საქართველოს რთული ტოპოგრაფია და მისი სიახლოვე შავ და კასპიის ზღვებთან აუცილებელს ხდის მაღალი რეზოლუციის რეგიონალური კლიმატის მოდელების გამოყენებას კლიმატის ცვლილების სამომავლო რისკების შესაფასებლად. ამ კვლევაში ჩვენ განვიხილავთ საშუალო და ექსტრემალური ნალექების და ტემპერატურის მაღალი გარჩევადობის სიმულაციის შედეგებს აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის რეგიონალური კლიმატის მოდელის ვერსიის 4.7.1 ვერსიის გამოყენებით 1985-2008 წლებში, რაც უზრუნველყოფს პირველად შეფასებას მოდელის გამოყენებისას საქართველოს ტერიტორიაზე. მოდელის დომენი (1524 კმ; 2388 კმ) მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას და მიმდებარე რეგიონებს. სიმულაცია, რომელიც ჩატარდა 12 კმ ჰორიზონტალურ დაშორებაზე, ERA5 მონაცემების სასაზღვრო პირობების გამოყენებით, მიუთითებს, რომ მინიმალური შეუსაბამობა დაკვირვებულ და მოდელირებულ საშუალო წლიურ ტემპერატურასა და ნალექს შორის, რომელიც ხვდება -1-დან 1°C და -200-დან 200 მმ-მდე დიაპაზონში, შესაბამისად, დაფიქსირდა აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს სადგურებზე. ყველაზე დიდი განსხვავება მოდელსა და ნალექის საშუალო წლიურ ჯამებს შორის დაფიქსირდა შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობზე და ზოგიერთ მაღალმთიან სადგურზე დასავლეთ საქართველოში. საშუალო წლიურ ტემპერატურაში ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მოდელსა და დაკვირვებებს შორის დაფიქსირდა ამბროლაურში, მთა საბუეთსა და დედოფლისწყაროში. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი გრძელვადიანი ასეთი მაღალი გარჩევადობით მოდელირება ERA5-ის სასაზღვრო პირობების გამოყენებით პირველად ჩატარდა. მთლიანობაში, მოდელირების შედეგები საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, რაც მყარ საფუძველს იძლევა RegCM4.7.1 რეგიონული კლიმატის მოდელის წარმატებული გამოყენებისთვის შერჩეული პარამეტრიზაციით საქართველოში საშუალო და ექსტრემალური ტემპერატურისა და ნალექების მოდელირებისთვის.

[33]. წარმოდგენილია კახეთის (საქართველო) ტერიტორიაზე ვენახების თვითური საშუალო მაქსიმალური სექცის ზარალის განაწილების მოდელირების შედეგები (HDV) და მათი ქვედა და ზედა დონის 99%-იანი მნიშვნელობები (HDV\_Low, HDV\_Upp). გამოთვლები განხორციელდა ატმოსფეროში გაყინვის დონის მონაცემებისა და ღრუბლებში სექცის მაქსიმალური ზომების რადარული გაზომვების გამოყენებით, აგრეთვე ცნობილი ინფორმაცია ვენახების დაზიანების ხარისხის შესახებ, ჩამოვარდნილი სექცის ზომის მიხედვით. კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია (7050 კმ<sup>2</sup>) დაყოფილი იყო 290 კვა-

დრატად, სიმაღლეების დიაპაზონი –  $0.21 \div 1.19$  კმ. გამოკვლევების პერიოდი – აპრილიდან სექტემბრამდე. მაგალითად, აიგო მაისისთვის კახეთის ტერიტორიაზე HDV-ის გავრცელების რუკა. წარმოდგენილია მონაცემები სტატისტიკური მახასიათებლების შესახებ HDV, HDV\_Low და HDV\_Upp აპრილიდან სექტემბრამდე. შესწავლილი იქნა HDV და HDV\_Upp-ის ვერტიკალური განაწილება მითითებულ ტერიტორიაზე. ნაჩვენებია, რომ HDV-ის გამოთვლილი მნიშვნელობები დამაკმაყოფილებლად შეესაბამება მათ რეალურ მნიშვნელობებს, რომლებიც მიღებულ იქნა სეტყვით დაზიანებული ტერიტორიების სპეციალური კომისიების შემოწმების დროს.

[34]. თოვლის ზვავები ერთ-ერთი ყველაზე საშიში მეტეოროლოგიური მოვლენაა. საქართველოს ტერიტორიის 56% დაფარულია ზვავსაშიში ფერდობებით. საქართველოში ზვავსაშიშროების პირველი შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს მთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის გამოცდილებას, მათ თავი აარიდეს ზვავსაშიშ ზონაში დასახლებას და აირჩიეს საცხოვრებელი ზონა, რომელიც ყველაზე მეტად დაცული იქნებოდა ზვავისაგან. საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია და დიდწილად დამოკიდებულია რიგი მეტეოროლოგიური ფენომენის ბუნებაზე. თოვლის ზვავები ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბუნებრივი მოვლენაა მაგისტრალებისთვის. ჩვენი კვლევის ობიექტია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. ჩატარებული კვლევითი და საექსპედიციო სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემთა დამუშავების საფუძველზე შესწავლილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ზვავსაშიში მაგისტრალები და მათი კლიმატურ-გეოგრაფიული მახასიათებლები. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიქმნა რეგიონის გეოინფორმაციული სქემატური რუკები ზვავსაშიშ მაგისტრალებზე. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის საავტომობილო გზებზე დაგეგმილი ზვავსაწინააღმდეგო სამუშაოების მომზადებასა და განხორციელებას.

გარდა დახრისმზომთა სადგურებისა ქვედა ბიეფში მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროს რღვევაზე გვ.№ 3413-ში 1974 წლიდან დამონტაჟებული იყო და მუშაობდა 22,5 მ სიგრძის კვარცის ექსტენზომეტრი (დეფორმოგრაფი), რომელიც რღვევის ბლოკების ფარდობით ჰორიზონტალურ გადაადგილებებს უწყვეტ რეჟიმში აფიქსირებდა ფოტოოპტიკური რეგისტრაციის მეთოდით. აქვე აღსანიშნავია, რომ ენგურჰესის დირექციის ფინანსური დახმარებით 2014 წ. შექმნილ იქნა ერთკორდინატიანი ლაზერული ხელსაწყო .

გვ. №3413-ში დეფორმოგრაფზე დაყენებული ლაზერიდან დანაკვირვები მასალა გადმოიცემა 1 საათიანი დროის ბიჯით, ხოლო ფუძეში N 160 გვირაბში დაყენებული დახრისმზომიდან 6 საათიანი ბიჯით.

განვიხილოთ მარჯვენა სანაპიროზე დამონტაჟებული ექსტენზომეტრის მონაცემები. როგორც ნახ. 1-დან ჩანს, A და B ბლოკების ფარდობითი გადაადგილების საერთო სვლა წყალსაცავში წყლის დონის ცვლილებასთან კორელირდება. ასევე კარგად ჩანს ნალექის გავლენით გამოწვეული გადაადგილებების ლოკალური ცვლილებები. მასალის ანალიზი-

დან ირკვევა, რომ ლაზერის ხელსაწყოს ჩანაწერზე დიდი ნალექის მოსვლის შემდეგ მიმდინარეობს ბლოკების დაახლოება, ხოლო ნალექის შეწყვეტის შემდეგ – მათი დაცილება.

პირველი იანვრიდან აპრილის თვის დასაწყისამდე A და B ბლოკების ფარდობითი გადაადგილება თითქმის არ დაიკვირვება. აპრილის თვის პირველი რიცხვებიდან იწყება კაშხალში წყლის დონის აწევა, რასაც მოყვება A და B ბლოკების დაახლოება რომლის მაქსიმალური მნიშვნელობა არის 90 მიკრონი. გასული წლის იმავე პერიოდში იყო დაახლოებით 100 მიკრონი.




ნახ. 1 მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროს რღვევის ბლოკების ფარდობითი ჰორიზონტალური გადაადგილების გრაფიკები, რომლებიც მიღებულია ლაზერის ექსტენზომეტრით (1), წვიმისა(2) და წყალსაცავში წყლის დონის ცვლილების (3) გრაფიკებთან ერთად 2025 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ წყლის დონის ცვლილება იწვევს ბლოკების ფარდობით ჰორიზონტალურ მოძრაობას.


ნაპრალის ბორტების მოძრაობის უფრო დეტალურად შესწავლისათვის საჭირო გახდა ორკორდინატიანი ლაზერული ექსტენზომეტრის შემენა. ის შემენილ იქნა ენგურჰესის დირექციის მიერ 2015 წელს,

ხელსაწყო დაყენებულია ორ პოსტამენტზე და ამ პოსტამენტებს შორის გრძივ ფარდობით და ვერტიკალურ მოძრაობებს აფიქსირებს. ერთერთი პოსტამენტი დგას ნაპრალიდან დაახლოებით 11-12 მეტრის დაშორებით, მეორე პოსტამენტი მდებარეობს ნაპრალისა და მეორე ბლოკის შესაყარზე ნახ. 2.



ნახ.2 გვ. № 183 მარჯვენა სანაპიროს რღვევაზე, ბეტონის პოსტამენტზე დამონტაჟებული ლაზერული ექსტენზომეტრის განლაგების სქემა

ნახ. 3-ზე ასახულია ამ ხელსაწყოს მიერ დაკვირვებული 2016 – 2017 წლების მასალა. როგორც ნახაზიდან ჩანს, ადგილი აქვს ნაპრალის ბლოკების როგორც ჰორიზონტალურ ასევე ვერტიკალურ მოძრაობებს. ამ ხელსაწყოს საშუალებით დაკვირვებები წარმოებდა 2020 წლამდე. ხელსაწყოს ექსპლუატაციის ვადის ამოიწურვის გამო საჭირო გახდა მისი შეცვლა.



ნახ. 3. წყალსაცავის ავსების გრაფიკი (1), ატმოსფერული ნალექები (2), ლაზერული ხელსაწყოს ჰორიზონტალური (3) და ვერტიკალური (4) კომპონენტები.

რადგან ნაპრაღზე დაიკვირვება ბორტების მოძრაობები, საჭირო გახდა შემდეგშიც გაგრძელებულიყო ეს დაკვირვებები. ამისთვის საჭირო იყო მწყობრიდან გამოსული ხელსაწყო შეგვეცალა მისი ანალოგიურით.

გეოფიზიკის ინსტიტუტის ფარგლებში შეიქმნა ანალოგიური ლაზერული ორ-კორდი-ანატიანი ხელსაწყო.

ამ ხელსაწყომ გაიარა ინსტიტუტში ლაბორატორიული გამოცდა და აჩვენა კარგი შედეგები. ხელსაწყოზე მონაცემების აღება შეიძლება როგორც ვიზუალურად (ტესტერით) ასევე ავტომატური გადაცემის საშუალებით.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. აბაშიძე ვ., ცაგურია თ., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ. ენგურის თაღოვანი კაშხლისა და ფუძის გეოფიზიკური კვლევები – სტაციონარული დაკვირვებები კაშხლის ტანში და ფუძეში გადაადგილებებსა და დეფორმაციებზე დახრისმზომითი და დეფორმოგრაფიულ-ექსტენზომეტრიული მეთოდების გამოყენებით. 2017 წლის სამეცნიერო-ტექნიკურიანგარიში. თბილისი, 2017, 25 გვ. (გეოფიზიკის ინსტიტუტის ფონდები).
2. აბაშიძე ვ., ჭელიძე თ., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ. ენგურის თაღოვანი კაშხლის ტანის და მის ფუძეში გამავალი რღვევის ბლოკების დინამიკა სტაციონალური გეოფიზიკური დაკვირვებების მონაცემების მიხედვით. მ.ნოდისას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები ტ. LXIX, 2018.
3. ჭელიძე თ., ქირია ჯ., ცაგურია თ., ქირია თ., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ. ენგურის კაშხლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნაპრაღში მიმდინარე პროცესების შესწავლა ორკორდინატიანი ლაზერული ექსტენზომეტრის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. მ.ნოდისას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. LXX, 2019.

## **ორკორდინატიანი ფარდობითი მოძრაობის ლაზერული ხელსაწყოს შემუშავება და გამოცდა ლაბორატორულ პირობებში**

**ქირია ჯ., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ., ცაგურია თ., საყვარელიძე ე.**

### **რეზიუმე**

ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე დამონტაჟებული ლაზერული ინსტრუმენტის ექსპლუატაციის ვადის ამოწურვისა და ნაპრაღზე ბორტების მოძრაობის დაკვირვების გამო, საჭირო გახდა მონიტორინგის გაგრძელება. ამან მოითხოვა გაუმართავი ინსტრუმენტის მსგავსით შეცვლა. მსგავსი ორკორდინატული ლაზერული ინსტრუმენტი შემუშავდა გეოფიზიკის ინსტიტუტში. ამ ინსტრუმენტმა გაიარა ლაბორატორიული ტესტირება ინსტიტუტში და აჩვენა კარგი შედეგები. ინსტრუმენტიდან მონაცემების შეგროვება შესაძლებელია როგორც ვიზუალურად (ტესტერის გამოყენებით), ასევე ავტომატური ტრანსმისიის საშუალებით.

**საკვანძო სიტყვები:** ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ფარდობითი ფარდობითი მოძრაობა, ორკორდინატიანი ხელსაწყო.

## **DEVELOPMENT AND TESTING OF A TWO-COORDINATE RELATIVE MOTION LASER DEVICE UNDER LABORATORY CONDITIONS**

**Kiria J., Dovgal N., Davitashvili L., Tsaguria T., Sakvarelidze E.**

### **Abstract**

Since the laser device installed at the Inguri HPP has expired and since the movements of the boards are observed on the crack, it became necessary to continue these observations in the future. For this, it was necessary to replace the malfunctioning device with an analogue. A similar laser two-coordinate device was created within the framework of the Institute of Geophysics. This device passed laboratory tests at the Institute and showed good results. Data can be collected on the device both visually (with a tester) and by automatic transmission.

**Keywords:** Inguri Hydroelectric Power Station, relative motion, two-coordinate laser device.

## **РАЗРАБОТКА И ИСПЫТАНИЯ ДВУХКООРДИНАТНОГО ЛАЗЕРНОГО УСТРОЙСТВА ОТНОСИТЕЛЬНОГО ПЕРЕМЕЩЕНИЯ В ЛАБОРАТОРНЫХ УСЛОВИЯХ**

**Кирия Дж., Довгаль Н., Давиташвили Л., Цагурия Т., Сакварелидзе Е.**

### **Реферат**

В связи с тем, что у лазерного прибора, установленный на Ингури ГЭС, истёк срок службы, и наблюдаются подвижки досок на трещине, возникла необходимость в дальнейшем продолжении наблюдений. Для этого потребовалось заменить неисправный прибор на аналог. Аналогичный лазерный двухкоординатный прибор был создан в рамках Института геофизики. Данный прибор прошёл лабораторные испытания в институте и показал хорошие результаты. Данные с прибора можно собирать как визуально (с помощью тестера), так и с помощью автоматической передачи.

**Ключевые слова:** Ингури ГЭС, относительное перемещение, двухкоординатный лазерный прибор.

## მდინარე კაბალზე დაგეგმილი კაბალი ჰესის ნაგებობათა განსათავსებელ ადგილებზე ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები

ჯახუტაშვილი მ., თარხან-მოურავი ა.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

სტატია ეხება მდ. კაბალზე „კაბალი 1“ ჰესის საპროექტო უბანზე, 30 მ სიღრმემდე, გრუნტის ამგები ქანების სახეებისა და მათი სიმძლავრეების დადგენის მიზნით განხორციელებულ ელექტროსადიებო კვლევის შედეგებს.

ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი უბანი დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდის ფარგლებშია და ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონას ეკუთვნის.

გეოლოგიური აგებულების თვალსაზრისით ხეობის ეს ნაწილი ქვედა, შუა და ზედა იურული ასაკის დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი წარმოშობის ქანების (ფიქლების სერიით) მორიგეობით არის წარმოდგენილი, რომელშიც ხშირია დიაბაზური და პორფირიტული შედგენილობის გამკვეთი სხეულები და სილები.

მდინარე კაბალის ხეობის გასწვრივ, ორივე მხარის ფერდობებზე, ზოგიერთ ადგილას განვითარებულია მცირე აკუმულაციური ტერასები და მეწყრული უბნებიც, რომლებიც წარმოდგენილია დიდი, უხეშად დამუშავებული ლოდნართა და დელუვიურ-ალუვიური ნალექების ერთობლიობით. ლითოლოგიურად დელუვიური ნალექები წარმოდგენილია ღია ნაცრისფერი თიხა-თიხოვან-ნიადაგიანი მასალის შემცველი ნარევით. ალუვიური ნალექები წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის და რაოდენობის ქვიშა-ლამიან-ხრეშოვანი, თიხოვანი და კაჭარ-კენჭნარი მასალის ნარევით. ალუვიურ ნალექებში ხშირად გამოერევა ქვედა იურული ასაკის კვარცის ძარღვებით გაჯერებული, ასევე დიაბაზების და პორფირიტული შედგენილობის დიდი, საშუალო და მცირე ზომის ლოდნარი მასალა.

ამოცანის გადასაწყვეტად ჩატარდა ელექტროსადიებო კვლევები მუდმივი დენის ელექტრული ზონდირების (ვეზ) მეთოდით. მეთოდი დაფუძნებულია დღიურზედაპირზე ხელოვნურად შექმნილი ელექტრომაგნიტური ველების გამოყენებაზე, რაც საშუალებას იძლევა ქანების ლითოლოგიური დეფერენციაცია განხორციელდეს კუთრი ელექტრული წინააღობის სიღრმეში ცვლილების მიხედვით. კვლევა ჩატარდა შლუმბერგეს სიმეტრიული ოთხელექტროდიანი დანადგარით, მკვებავი ელექტროდების მაქსიმალური გამართობით  $AB/2=40$ მ, რაც საშუალებას იძლეოდა ზონდირება განხორციელებულიყო 30 მეტრ სიღრმემდე.


შერჩეულ წერტილებში ჩატარებულ იქნა ვერტიკალური ელექტრული ზონდირება (ვეზ). (ნახ. 1).

მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინააღობის  $\rho_a$ (ომმ) რიცხვითი მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე თითოეული ელექტრული ზონდირების წერტილისთვის აგებულია ამ წინააღობის  $\rho_a$ (ომმ) სიღრმის მიხედვით ცვლილების მრუდი.



მიღებული კუთრი ელექტრული წინაღობის მრუდიების გეოლოგიური გაშიფრვა განხორციელდა მ. პილაევის თეორიული პალეტებით, აგრეთვე მიღებული მონაცემების ხარისხობრივი ინტერპრეტაციის შედეგების გათვალისწინებით. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (IPI2WIN) გამოყენებით განხორციელებულია ვერტიკალური ელექტრული ზონდირების მონაცემთა რაოდენობრივი ინტერპრეტაცია, რომლის შედეგების გამოყენებით საკვლევი წერტილებისთვის აგებულ იქნა წინაღობათა განაწილებისა და მათი შესაბამისი გეოელექტრული ჭრილები.

ვერტიკალური ელექტრული ზონდირება (ვეზ) ჩატარდა 10 წერტილში, რომელთა მდებარეობა ნაჩვენებია ნახ.1-ზე, ხოლო კოორდინატები მოცემულია ცხრილში.



ნახ.1. კაბალი 1 ჰესის უბანი, დაკვირვების წერტილების (ვეზ) მდებარეობა აეროფოტოზე


#	Y	X	H, მ
ვეზ 1	599116	4643767	829
ვეზ 2	599104	4643756	828
ვეზ 3	598671	4643158	754
ვეზ 4	598338	4642973	721
ვეზ 5	598048	4642638	664
ვეზ 6	597797	4642254	640
ვეზ 7	597625	4642146	614
ვეზ 8	597625	4642129	616
ვეზ 9	597610	4642126	615
ვეზ 10	597606	4642138	613

მიღებული საველე მასალის – მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობის რიცხვითი მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე ზონდირების შედეგად ძირითადად გამოიყო ორფენიანი გარემო.

ფენი – სხვადასხვა რაოდენობისა და ზომის კაჟარ-კენჭნარისა და ლამიანი მასალის ნარევი და სხვადასხვა სიდიდის ძირითადი ქანების ნამსხვრევების ჩანართები,

- ① გაწყლიანებული ( $\rho_a = 1200 - 3150$  ომმ),
- ② ფენი – ძირითადი ქანი ( $\rho_a = 390 - 700$  ომმ).


ნახ. 2-ზე მოცემულია ვეზის წერტილების გეოელექტრული სვეტები




ნახ. 2. ვეზის წერტილების გეოელექტრული სვეტები

ყველა დაკვირვების წერტილში (ვეზ1 – ვეზ10) დღიური ზედაპირის სიახლოეს (0,3-0,5) მეტრიდან ფიქსირდება ტენზომეტრული გარემოს არსებობა.

ნახ. 3 და 4-ზე მოცემულია ვეზის წერტილების გასწვრივ წინაღობათა განაწილება და შესაბამისი გეოელექტრული ჭრილები.



ნახ. 3. (ა) მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობების განაწილება და (ბ) გეოელექტრული ჭრილი – ვეზ8-ვეზ9-ის გასწვრივ.



ნახ. 4. (ა) მოჩვენებითი კუთრი ელექტრული წინაღობების განაწილება და (ბ) გეოელექტრული ჭრილი – ვეზ10-ვეზ7-ის გასწვრივ.

## დასკვნა

კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითადად გამოვლენილია ფიზიკური თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ფენი:

**ფენი 1** – ალუვიური მასალა სხვადასხვა რაოდენობისა და ზომის კაჟარ-კენჭნარისა და ლამიანი მასალის ნარევით და სხვადასხვა სიდიდის ძირითადი ქანების ნამსხვრევების ჩანართებით, გაწყლიანებული ( $\rho_a = 1200 - 3150$  ომმ),

**ფენი 2** – ძირითადი ქანი ( $\rho_a = 390 - 700$  ომმ).

ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს ელექტროდიება, როგორც დამხმარე მეთოდი წარმატებით გამოვიყენოთ დასმული საინჟინრო-გეოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად.

მიღებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კარგად ხდება გაწყლიანებული – ალუვიური ნალექებისა და ძირითადი ქანების, გამყოფი ზედაპირების და მათი ჩაწოლის სიღრმეების დადგენა.

**მდინარე კაბალზე დაგეგმილი კაბალი ჰესის ნაგებობათა განსათავსებელ ადგილებზე  
ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები**

**ჯახუტაშვილი მ., თარხან-მოურავი ა.**

**რეზიუმე**

ნაშრომში გახილულია მდ. კაბალზე „კაბალი1“ ჰესის საპროექტო უბანზე, 30 მ სიღრმემდე, გრუნტის ამგები ქანების სახეებისა და მათი სიმძლავრეების დადგენის მიზნით განხორციელებული 3 ელექტროსადიებო კვლევის შედეგები. კვლევის შედეგად გამოვლენილია ფიზიკური თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ფენი. დადგენილია ძირითადი ქანების ჩაწოლის სიღრმეები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრომიება, მთის ქანები, კაბალის ჰიდროელექტროსადგური.

**RESULTS OF GEOPHYSICAL SURVEYS CONDUCTED AT THE LOCATIONS  
OF THE PLANNED KABALI HPP STRUCTURES ON THE KABALI RIVER**

Jakhutashvili M., Tarkhan-Mouravi A.

**Abstract**

The paper presents the results of an electrical exploration study conducted to determine the types of ground-forming rocks and their thicknesses at a depth of up to 30 m at the project site of the Kabali 1 HPP on the Kabali River. The research revealed two layers with different physical properties. The depths of the bedrock have been determined.

**Keywords:** electrical prospecting, rocks, Kabali hydroelectric power station.

**РЕЗУЛЬТАТЫ ГЕОФИЗИЧЕСКОЙ СЪЕМКИ ПЛАНИРУЕМЫХ  
СООРУЖЕНИЙ КАБАЛЬСКОЙ ГЭС НА РЕКЕ КАБАЛИ**

Джахуташвили М., Тархан-Моурави А.

**Аннотация**

В статье представлены результаты электроразведочных работ, проведенных для определения типов горных пород и их толщины на глубине до 30 м на площадке строительства ГЭС «Кабали-1» на реке Кабали. Исследование выявило два слоя с различными физическими свойствами. Была определена глубина залегания коренных пород.

**Ключевые слова:** электроразведка, горные породы, Кабали ГЭС.

## ინფორმაცია ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შესახებ

ინსტიტუტს გააჩნია საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი შეადგენს სამამულო და უცხოური წიგნებისა და ჟურნალების 56000-ზე მეტ დასახელებას. ბიბლიოთეკას აქვს სპეციალიზებული კატალოგები და კარტოტეკები. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად გასცემდა 30000 წიგნსა და ჟურნალს, აწარმოებდა ინსტიტუტის გამოცემათა გაცვლას საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მონათესავე დაწესებულებათა ბიბლიოთეკებთან, 1917 წლიდან გამოსცემდა ინსტიტუტის თანამშრომელთა ბიობიბლიოგრაფიებს გეოფიზიკის დარგში (იხილეთ „გეოფიზიკის ინსტიტუტი – 50“. „მეცნიერება“. 1983. გვ. 135).

1992 წლისთვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა დაახლოებით 67500-მდე ბეჭდვითი ერთეული, მათ შორის 27200 წიგნი და 40300 პერიოდული გამოცემა. გარდა გეოფიზიკური დარგის გამოცემებისა, ბიბლიოთეკას შეეძლო გამოეწერა საკავშირო და რესპუბლიკური პოპულარული ჟურნალ-გაზეთები. ათეული წლების მანძილზე ბიბლიოთეკას ერთგულად და სანიმუშოდ ემსახურებოდნენ შესანიშნავი ქალბატონები: ბიბლიოთეკის გამგე ლეილა კალანდაძე (მანამდე იყო ბელა სვანიძე) და ბიბლიოთეკარები ლორა გოგლიჩიანი და ლია ანდლულაძე.

1989 წლიდან, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, მკვეთრად შეიცვალა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა, ეს მოვლენა ინსტიტუტსაც დაეტყო. შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა თითქმის სანახევროდ, უსახსრობის გამო შეწყდა საგამომცემლო საქმიანობა, მათ შორის ვედარ დაფინანსდა ინსტიტუტისთვის ტრადიციული შრომათა კრებულის გამოქვეყნება, 1989 წელს გამოვიდა ბოლო 56-ე ტომი, გაუარესდა სამუშაო პირობები, აღარ თბებოდა ბიბლიოთეკა და სხვადასხვა მიზეზებით ბიბლიოთეკა დატოვეს ლ. კალანდაძემ და ლ. გოგლიჩიანმა.

ბიბლიოთეკისთვის ასეთ გაუსაძლის პერიოდში ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ თამაზ ჭელიძეს ყოველი მივლინებიდან ჩამოჰქონდა გეოფიზიკური დარგის უამრავი უცხოური ჟურნალები, რომლებსაც მას, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე მეცნიერს, უსახსოვრებდნენ უცხოელი კოლეგები. ამავე პერიოდში ბატონმა თამაზმა გაითვალისწინა რა თანამშრომელთა ფინანსური მდგომარეობა, თავისი ინიციატივით, როგორც საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების თავმჯდომარემ, 1995 წელს დააარსა ინსტიტუტში გეოფიზიკური საზოგადოების ინგლისურენოვანი ჟურნალი, რითაც საშუალება მისცა თანამშრომლებს უფასოდ გამოექვეყნებინათ სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები. აღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა ყოველწლიურად ორი სერიის სახით, ერთი – დედამიწის ფიზიკის დარგში, მეორე – ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკის დარგში. სულ გამოვიდა 34 ტომი. ამჟამად გამოდის ჟურნალის ელექტრონული ვერსია. 2002 წლიდან განახლდა ინსტიტუტის შრომათა კრებულის გამოცემა. 2002 წელს დაიბეჭდა LVII ტომი. კრებული უკვე გამოდის ყოველწლიურად, შეფერხების გარეშე, 2025 წელს გამოვიდა LXXVIII ტომი.

2015 წელს, ბიბლიოთეკარ ლ. ანდლულაძის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილას დაინიშნა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი დალი გრძელიშვილი. ის დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო მუშაობის გაგრძელება. ამის შემდეგ ბიბლიოთეკამ ორჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა, რამაც გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება: დაიკარგა წიგნები, აღრიცხვის ჟურნალები, ავტორეფერატები და სხვა ნივთები... ამჟამად ის განთავსებულია ერთ დარბაზში. საბიბლიოთეკო საქმიანობის აღდგენა-მოწესრიგება დაევალა ინსტიტუტის ლაბორანტს ეთერ ბაღათურას, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა დავალების შესრულებას. მან შესძლო ინსტიტუტის საექსპედიციო და გეოფიზიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგის ანგარიშებისა და ინსტიტუტის გამოცემების წესრიგში მოყვანა. 2018 წლიდან ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა ბიბლიოთეკარ-სპეციალისტი ირმა ლლონტი, რომელსაც საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სათანადო ტრენინგის გავლის შემდეგ გეოფიზიკის ინსტიტუტში ეკავა საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტის პოზიცია. მან შეადგინა სამეცნიერო შრომებისა და დისერტაციების ელექტრონული კატალოგი. ამჟამად წარმატებით გრძელდება ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფუნქციონირება.

## ი უ ბ ი ლ ე ე ბ ი

## Ю Б И Л Е И

### ოთარ ვარაზანაშვილი



მიმდინარე წელს 75 წელი შეუსრულდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ინსტიტუტის სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ოთარ ვარაზანაშვილს. ის დაიბადა 1950 წლის 3 მარტს ქ. თბილისში. 1971 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკოსის სპეციალობით. იმავე წლიდან ის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. ო. ვარაზანაშვილი სხვადასხვა დროს იყო ინსტიტუტის მთაწმინდის სეისმური სადგურის გამგე, სეისმური საშიშროების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 1973-1977 წწ. იყო რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების ასპირანტი, 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძლიერი მიწისძვრების ჰიპოცენტრული ზონების გამოყენება კავკასიის სეისმური დარაიონების ამოცანაში“. 2012 წლიდან დღემდე მთავარი მეცნიერ თანამშრომელია.

1981-2024 წლებში ო. ვარაზანაშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე შესრულდა 60-მდე უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის ტერიტორიების დეტალური სეისმური საშიშროების და რისკის შეფასება (თბილისის, ბათუმისა და საქართველოს სხვა ქალაქების განაშენიანების ტერიტორიები; მტკვრის, ბახვის და სხვა ჰესების მშენებლობის მოედნები; ყარსი-ახალქალაქი – თბილისის რკინიგზის მაგისტრალი, გარდაბნის ჰესის ახალი ენერგობლოკების მოედანი და სხვა უნიკალური ობიექტები). ო. ვარაზანაშვილი 1991 წლიდან უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს სეისმური დარაიონების რუკების შექმნაში, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ისტორიული მიწისძვრების შესწავლაში, სეისმური კერების ზონების მოდელის შექმნაში, სეისმური საშიშროებისა და რისკის საკითხების კვლევაში. მან პირველმა დაამუშავა საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი კატასტროფების მსგავსებისა და პარამეტრული უნიფიცირების თეორიული საკითხები, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული ბუნებრივი კატასტროფების მრავლობითი რისკების გათვლა ნაციონალურ დონეზე. 2022-25 წლებში ო. ვარაზანაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა და გამოქვეყნდა საქართველოს ბუნებრივი საშიშროების მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა, გრიგალური ქარი, სეტყვა) მონაცემთა ბაზა (GeNHs), რომელიც მოიცავს მოვლენების პარამეტრულ კატალოგებს. ახალ მონაცემთა ბაზის საფუძველზე შესწავლი-

ლია ამ მოვლენების გავრცელებისა და განმეორებადობების კანონზომიერებები, აგებულია მათი საშიშროების რუკები. ეს შედეგები ინოვაციურია, რადგან ფარავს მთელ ქვეყანას და შეიძლება გამოყენებულ იქნას დაინტერესებული მხარეების მიერ ამ მოვლენების ეფექტური და ქმედითი შემარბილებელი ღონისძიებების გასატარებლად.

2015 წელს ოთარ ვარაზანაშვილს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროფესორ მიხეილ ნოდის სახელობითი პრემია.

ო. ვარაზანაშვილი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის ოთხი მონოგრაფიის) ავტორია, რომელთა უმეტესობა გამოქვეყნებულია სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, მონაწილეა თხუთმეტამდე საერთაშორისო და ეროვნული პროექტებისა. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების მედლით და უნივერსიტეტის საპატიო მედლით. ბატონ ოთარს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე.

## ლიტერატურა

1. ო. ვარაზანაშვილის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

**Отар Шалвович Варазанашвили** – академический доктор физико-математических наук, с 2012 года главный научный сотрудник сектора Сейсмологии, сейсмической опасности и риска катастроф Института геофизики им. М.З. Нодиа, родился 3 марта 1950 года в г. Тбилиси. В 1971 году закончил физический факультет Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили (ТГУ). С того же года – сотрудник Института геофизики АН Грузии. В разные годы занимал должности заведующего Мтацминдской сейсмической станцией, руководителя лаборатории Сейсмической опасности. В 1979 году защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата физ.-мат. наук по теме «Очаговые зоны сильных землетрясений в задаче сейсмического районирования Кавказа» (Руководитель доктор физ.-мат. наук Н.В. Шебалин).

Основная научная деятельность О. Ш. Варазанашвили: детальная оценка сейсмической опасности территорий строительства в Грузии важнейших (уникальных) объектов (городов, ГЭС-ов, железнодорожных магистралей и т.д.), составление карт сейсмического районирования Грузии, изучение сильных исторических землетрясений, происшедших на территории Грузии, создание моделей зон сейсмических очагов, исследование проблем сейсмической опасности и риска. В 2022-2025 годах под руководством О.Ш. Варазанашвили создана и опубликована первая база данных (GeNHs) природных катастроф Грузии (параметрические каталоги пяти явлений: оползней, селей, наводнений, ураганных ветров и града). На основе этой базы изучена закономерность распространения и повторяемости этих явлений и составлены соответствующие карты опасностей, которые могут быть применены при предупреждающих эти явления мероприятиях.

О.Ш. Варазанашвили автор около ста научных работ, в том числе четырех монографий, награжден медалью Чести Грузии и Почетной медалью ТГУ. В 2025 году Отару Варазанашвили присуждена премия им. профессора Михаила Нодиа. Отару Шалвововичу желаем всех благ, здоровья, долгих лет жизни, больших творческих успехов.



## ალექსანდრე სურმავა



ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სურმავა დაიბადა 1945 წლის 15 ოქტომბერს.

1963 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, ფიზიკოს-თეორეტიკოსის სპეციალობით. 1969-1972 წწ მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1975 წელს ა. სურმავამ დაამთავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურა და 1978 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

2005 წ. ა. სურმავამ დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1972-1978 წწ იგი მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ლაბორატორიის გამგედ.

1986-1989 წლებში ა. სურმავა გარემოს დაბინძურების კონტროლის რესპუბლიკური ცენტრის უფროსია და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქართველოში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებასა და სრულყოფის პროცესში.

1989-2005 წლებში იგი მუშაობდა მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ და უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

2006 წლიდან ა. სურმავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზირების განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელია.

გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია და 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მისი კვლევების ძირითად ინტერესს წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე ატმოსფეროში, ნიადაგში, ზედაპირულ წყლებსა და შავ ზღვაში მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პროცესების კვლევა და პროგნოზირება რიცხვითი მოდელირებით.

ა. სურმავა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში, რისთვისაც დაჯილდოებულია სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიის და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელით. იგი არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებრივი ექსპერტი.

ბატონო ალექო, მიიღეთ ჩვენი გულთბილი მილოცვა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საუკეთესო სურვილებით.

## დარეჯან კირკიტაძე



დარეჯან კირკიტაძე დაიბადა 1945 წლის 29 ოქტომბერს. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ბირთვული ფიზიკის სპეციალობით. 1968 წლიდან მუშაობს გეოფიზიკის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე ატმოსფეროს ფიზიკის სექტორში. 2005 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ატმოსფეროს აეროზოლური გაჭუჭყიანების მახასიათებლების გამოკვლევა ქ. თბილისში“. იმავე წლიდან ქალბატონი დარეჯანი არჩეულ იქნა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 2005 წლიდან იგი გეოფიზიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანია, ხოლო 2007 წლიდან – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივანი.

დ. კირკიტაძე 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია.

ქალბატონო დარეჯან, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდი ხნის სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს მეცნიერებაში.

## ვ ი ხ ს ე ნ ე ბ თ კ ო ლ ე გ ე ბ ს

### ПАМЯТИ КОЛЛЕГ

აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე

(1930 – 1993)



2025 წლის 8 დეკემბერს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს პროფესორ მერაბ ალექსიძეს.

აკადემიკოსმა მერაბ ალექსიძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერების განვითარებაში. ის თავს გეოფიზიკოსად თვლიდა, მაგრამ შესანიშნავი მათემატიკოსიც გახლდათ, ფრიად ერუდირებული ისეთ დარგებში, როგორც არის გამოყენებითი მათემატიკა, გამოთვლითი მათემატიკა, გამოთვლითი ტექნიკა, პროგრამირება. მ. ალექსიძემ შეიმუშავა გეოფიზიკაში და მათემატიკურ ფიზიკაში სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ახალი მეთოდები. მ. ალექსიძის ძირითადი მეცნიერული მიღწევები დაკავშირებულია გრავიმეტრიის, სეისმოლოგიისა და გეოთერმიის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების ამოხსნის ალგორითმიზაციასთან, შებრუნებული ამოცანების მდგრადობის საზღვრების დადგენასთან. ამ გამოკვლევებმა მას მსოფლიოს სპეციალისტთა ფართო აღიარება მოუტანა. 34 წლის ასაკში ის უკვე მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ, 37 წლისას პროფესორის წოდება მიენიჭა.

1958-1973 წლებში მ. ალექსიძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, 1973 წლიდან იგი გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, ხოლო 1987 წლიდან – დირექტორი. მ. ალექსიძემ გეოფიზიკის ინსტიტუტში, გამოთვლითი ცენტრიდან თავისი განყოფილებით გადმოსვლის შემდეგ, დააარსა გამოთვლითი ცენტრი, ფართოდ დაწერა გამოყენებითი მათემატიკის მეთოდები გეოფიზიკაში, შექმნა საძიებო სისტემები და გეოფიზიკური ველების მონაცემთა ბაზები, წარმატებით შეიმუშავა და დაწერა გამოთვლითი მათემატიკის თანამედროვე მეთოდები. ყოველივე ამან განაპირობა ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის მაღალ, თანამედროვე დონეზე აყვანა, რის შედეგაც გეოფიზიკის ზოგიერთ დარგში კვლევის ცენტრებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან საქართველოში – გეოფიზიკის ინსტიტუტში გადმოინაცვლა.

1982 წელს მ. ალექსიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1988 წელს კი – აკადემიის ნამდვილ წევრად. მ. ალექსიძის გამოკვლევების შედეგები, როგორც მათემატიკური ფიზიკის ფუნდამენტურ საკითხებში, ასევე გეოფი-

ზიკის სხვადასხვა დარგში, გამოქვეყნებულია მის 18 მონოგრაფიასა და უამრავ სამეცნიერო სტატიაში. გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწაფეებმა გამოაქვეყნეს მისი მე-19 მონოგრაფია „მათემატიკური ფიზიკის განტოლებების ფუნდამენტური ფუნქციები სასაზღვრო ამოცანების მიახლოებულ ამოხსნაში“, რომელიც საინტერესოა მათთვის, ვინც მუშაობს გეოფიზიკის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების, გამოყენებითი მათემატიკის, მათემატიკური ფიზიკისა და მათემატიკური მოდელების საკითხებში. 1994 წელს ქართველ მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში ამ სამუშაოების ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსები მ. ალექსიძე და ბ. ბალავაძე. მ. ალექსიძე თანამშრომლობდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან, ხელმძღვანელობდა ქვეკომისიას „გეოფიზიკური ამოცანების ამოხსნის მათემატიკური უზრუნველყოფის განვითარება“, რომლის ხაზითაც სისტემატურად აწყო რესპუბლიკაში საერთაშორისო სიმპოზიუმებს. მ. ალექსიძე იყო ყოფილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოთვლითი გეოფიზიკის სექციის სამეცნიერო საბჭოს წევრი ძიების გეოფიზიკური მეთოდების დარგში, იყო ევროპის გეოფიზიკური საბჭოსა და საერთაშორისო გეოფიზიკური საზოგადოების წევრი. მერაბ ალექსიძის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი მეცნიერები. აკადემიკოსები ვ. მაგნიცი და ვ. სტრახოვ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მ. ალექსიძე უდავოდ ქართული გეოფიზიკის ლიდერია, რომელმაც შექმნა ორიგინალური მიმართულებები და დააარსა ახალი მეცნიერული სკოლა, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩეკუნოვი აღნიშნავდა, რომ „ქართველები ბედნიერები ხართ, მერაბ ალექსიძისთანა მსოფლიო მასშტაბის გეოფიზიკოსი რომ გყავთ“, აკადემიკოსი ვ. სტაროსტენკო: – „მისი შედეგები გრავიმეტრიის, გეოთერმიის, სეისმოლოგიის დარგებში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კვლევებში და დიდხანია გახდნენ კლასიკურები“. ცნობილია, რომ მ. ალექსიძემ სასპირანტურო კურსი გაიარა ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტში. ჟურნალისტ თამაზ ებანოიძის მოგონებიდან: „...მსოფლიო სახელის მქონე რუსი მათემატიკოსის სერგეი სობოლევის სემინარზე მ. ალექსიძემ (ასპირანტმა) რამდენიმე მოხსენება წაიკითხა და მისივე (ს. სობოლევის) წარდგენით ზედიზედ გამოაქვეყნა სამი სტატია მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმთავრეს სამეცნიერო ჟურნალში „მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებები“. თუ არ მეშლება, ასეთი შემთხვევა პირველი იყო, საერთოდ, ქართველი მკვლევარისთვის“. (აღნიშნული შრომები გამოქვეყნდა 1958 წელს, იხ. ДАН СССР Т.119 №5; Т.120 № 1, № 2). ერთხელ ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილებას ეწვია საქვეყნოდ ცნობილი სეისმოლოგი, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ევგ. სავარენსკი. განყოფილების თემატიკასთან დაკავშირებით მას მოუწია შეხვედრა გამოთვლით ცენტრში ბატონ მერაბთან, რომელიც იმ დროს იქ მუშაობდა. მათ დიდხანს ისაუბრეს. ჩვენ ვნახეთ იქედან დაბრუნებული, ამ შეხვედრით აღფრთოვანებული პროფესორი ევგ. სავარენსკი, „როგორი ნიჭი, როგორი ტალანტი“ იმეორებდა პროფესორი და უზიარებდა ყველას თავის შთაბეჭდილებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მ. ალექსიძის აქტიური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. საქართველოში ეროვნულ მოძრაობას მ. ალექსიძე ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა. დაუვიწყარია მისი გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საგანგებო გაფართოებულ სხდომაზე 1989 წლის აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით. იგი იღწვოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საქართ-

ველოს მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის, 1990 წელს მ. ალექსიძე იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე. 1991-1992 წლებში – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი და საქართველოს საზოგადოება „თბილისის“ თავმჯდომარის მოადგილე, 1992-1993 წლებში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მან დიდი შრომა გასწია რთულ ვითარებაში საპარლამენტო არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის. 1992 წლის 13-14 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „დემოკრატია და არჩევნები“. 13 ოქტომბრის სხდომაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ამხ. ედუარდ შევარდნაძე, მის შემდეგ კი, პირველი გამოვიდა მერაბ ალექსიძე მოხსენებით „დემოკრატიული საარჩევნო სისტემის შეფასებისა და შერჩევის პრობლემები“ (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1992 წლის 14 ოქტომბრის არჩევნების მაგალითზე). 1992 წელს მ. ალექსიძემ პირადი ინიციატივით უარი თქვა ინსტიტუტის დირექტორობაზე და დაიკავა მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობა, იმისთვის, რომ სამეცნიერო მოღვაწეობისთვის მეტი დრო დაეთმო.

1993 წლის 10 ივლისს ბრმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა სამშობლოს -ბედიღბლით გულანთებული მეცნიერის სიცოცხლე.

როგორი იყო ბატონი მერაბი? 1992 წლის 14 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ აკადემიკოს მერაბ ალექსიძესთან. შეკითხვაზე: როგორია თქვენი პოზიციები? ბატონი მერაბი პასუხობს „... მე იგი არასოდეს დამიმალავს და ახლაც ვაცხადებ, რომ წინააღმდეგი ვიყავი, ვარ და ალბათ ყოველთვის ვიქნები ყოველ დონეზე და ყველა სიტუაციაში უზუნოვობისა, არაპროფესიონალიზმისა და დიქტატისა, ... კარგად უნდა გავიაზროდ ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. ადამიანი ჯერ ფიქრისთვის არის გაჩენილი და შემდეგ – მოქმედებისთვის“. ასევე, საინტერესოა ჟურნალისტ თამაზ ებანოძის მოსაზრება ამ დიდ პიროვნებაზე: „ჩემთვის და ბევრისთვისაც ის გახლდათ მამაკაცური მეგობრობის, ოჯახისა და პროფესიის ერთგულების, მოქალაქეობის, საქმეში პირიანობისა და არაერთი სხვა ღონისძიების ეტალონი. ტყუილად კი არ იყო, რომ „დათა თუთაშხიას“ გამოჩენისთანავე აიტაცა ჭაბუა ამირეჯიბის ერთ-ერთი საყვარელი მიგნება – „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე“.

ბატონმა მერაბმა ინსტიტუტში მუშაობის დროს თავი გამოიჩინა, როგორც მკაცრმა, მაგრამ პრინციპულმა და სამართლიანმა ხელმძღვანელმა. იგი დღეს გასაკეთებელ საქმეს არავითარ შემთხვევაში არ გადადებდა ხვალისთვის. იყო პირდაპირი, თავისი პოზიციების შეუპოვარი დამცველი.

ბატონი მერაბი აქტიურად იყო ჩაბმული ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, საჭადრაკო ტურნირებში, საფეხბურთო შეჯიბრებებში და სხვ.

1994 წელს მერაბ ალექსიძეს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; დაწესდა საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების აკადემიკოს მერაბ ალექსიძის სახელობის პრემია, რომელიც ენიჭება ორ წელიწადში ერთხელ გეოფიზიკის დარგში საუკეთესო ნაშრომს; ზოია რუხაძის ქუჩას შეეცვალა სახელი, ეხლა ინსტიტუტის მისამართია: მ. ალექსიძის ქუჩა №1; 1996 წლის 30-31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარდა აკადემიკოს მერაბ ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღ-

ნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია და საიუბილეო სხდომა; 1997 წელს დედამიწის ფიზიკისა და საძიებო გეოფიზიკის აკად. მერაბ ალექსიძის სახელობის საქალაქო სემინარზე ჩატარდა „მერაბ ალექსიძისეული საუბრები“, 2000 და 2010 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა საიუბილეო სხდომები, მიძღვნილი აკადემიკოს მერაბ ალექსიძის დაბადებიდან 70 და 80 წლის აღსანიშნავად. გეოფიზიკის ინსტიტუტმა კი 80 წლისთავს მიუძღვნა “ინსტიტუტის შრომათა კრებული“ ( 2010, ტომი 62), ტომის 3-5 გვერდზე გამოაქვეყნდა სტატია რუსულ ენაზე „აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე“. 2020 წელს, დაბადებიდან 90 წლისთავზე, ინსტიტუტის შრომათა კრებულში (ტომი 72), 150-152 გვ. გამოქვეყნდა მოგონება ბატონ მერაბზე. 1990 წელს ინსტიტუტში აღინიშნა ბატონი მერაბის 60 წლისთავი, მაშინ მან გაგვაფრთხილა „საიუბილეო ადრესი არ გამიკეთოთ“. აი ასეთი იყო ბატონი მერაბი.

ბატონი მერაბის სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ კაშკაშა ვარსკვლავის გაელვებას ცის კაზადონზე და მის უეცარ ჩაქრობას. რა დასანანია, რომ ეს მოხდა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ზენიტში, მაშინ, როდესაც მას ახალ-ახალი წარმატებები და სამეცნიერო მიღწევები ელოდა. მერაბ ალექსიძე იყო პიროვნება, რომლის სახელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

## ლიტერატურა

1. საგაზეთო წერილები მ. ალექსიძის შესახებ.

### **Академик Мераб Александрович Алексидзе**

**(К 95-летию со дня рождения)**

**( 1930 – 1993 )**

Видный ученый и общественный деятель, академик Национальной академии наук Грузии, доктор физико-математических наук, лауреат Государственной премии, профессор Мераб Александрович Алексидзе внес значительный вклад в развитие естественных наук и оставил неизгладимый след в истории грузинской науки. С присущей ему энергией и неукротимым стремлением ко всему новому, неизведанному, он в течение почти 40 лет самоотверженно служил своему любимому делу – науке. М.А. Алексидзе – специалист в области решений граничных задач геофизики и математической физики, особо следует выделить исследования в области теоретической и прикладной гравиметрии, а также ряд исследований по сейсмологии, сейсмометрии и геотермии. Многогранен круг интересов М.А. Алексидзе. Он был новатором не только в науке. В последние годы активно включился в политическую жизнь Республики, серьезно занялся исследованиями вопросов приватизации и выборов. М. А. Алексидзе был личностью с уникальными способностями: блестящий ученый, спортсмен, интеллигент с высоким авторитетом как в кругу специалистов, так и среди друзей.

М. А Алексидзе работал: в 1958-1973 гг. в Вычислительном центре АН Грузии, в 1973-1975 и 1977-1986 гг. он заместитель директора Института геофизики АН Грузии, в 1987 г. был избран директором Института геофизики, в 1982 г. избран членом-корреспондентом, а в 1988 г. действительным членом АН Грузии, в 1992-1993 гг. был председателем Центральной избирательной комиссии по выборам Грузии.

Мераб Александрович Алексидзе 10 июля 1993 года трагически погиб. Были получены соболезнования от директора Института физики Земли им. О.Ю. Шмидта РАН академика

А.О. Глико: « Трагическая гибель академика М.А. Алексидзе стала огромным уроном не только для грузинской и российской, но и для всей мировой науки. Он ушел от нас во цвете лет и эта утрата невозполнима»; от директора Института геофизики АН Украины академика В.И. Старостенко: «Его результаты в области гравиметрии, сейсмологии широко используются в современных исследованиях и давно стали классическими. Мераб Александрович – образец высочайшей интеллигентности, культуры. Он всегда был в будет таким в нашей памяти.»

В 1994 году М.А. Алексидзе, посмертно, была присвоена Государственная премия Грузии в области науки и техники, Грузинское геофизическое общество учредило премию имени академика М.А. Алексидзе за лучшую работу в области геофизической науки, улица Зои Рухадзе была переименована, новый адрес Института геофизики: ул. М.А. Алексидзе №1.

## **ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი გიორგი ბერიშვილი**

**(1920 – 1974)**



საქართველოში ცნობილ სპეციალისტს დედამიწის მაგნეტიზმის დარგში, 1963 წლიდან გარდაცვალებამდე გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ბერიშვილს მიმდინარე წელს 105 წელი შეუსრულდებოდა. ის დაიბადა 1920 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1941-1943 წწ. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მძიმე ჭრილობის გამო 1943 წ. დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ ასპირანტურაში დედამიწის მაგნეტიზმის სპეციალობით. 1950 წლიდან გ. ბერიშვილი გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის მაგნეტიზმის განყოფილების თანამშრომელია.

გ. ბერიშვილმა 1957 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. მ. ნოდის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ თბილისის მონაცემებით მზის აქტივობის 1933-1945წწ. მთლიანი პერიოდის გეომაგნიტური აღრევების გამოკვლევები“. გ. ბერიშვილი 37 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის ავტორია. მის შრომებში ძირითადად განხილულია გეომაგნიტური ქარიშხლების ბუნება და მათი გავლენა დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე, შესწავლილია 27-დღიანი განმეორებადი ქარიშხლები და უეცარსაწყისიანი ქარიშხლები, გამოკვლეულია განმეორებადი ქარიშხლების დამოკიდებულება მზის აქტივობაზე.

1960-1963 წლებში გ. ბერიშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად. გიორგი ბერიშვილი გარდაიცვალა 1974 წელს. შესანიშნავი ადამიანი, კეთილშობილი, სამართლიანი, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება მუდამ ემახსოვრებათ გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს.

## **ლიტერატურა**

1. გეოფიზიკის ინსტიტუტის საარხივო მასალები: გ. ბერიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა.

## გიორგი პავლივი ბერიშვილი

(1920-1974)

Окончил физико-математический факультет Тбилисского государственного университета, затем аспирантуру по специальности «земной магнетизм». С 1950 года – сотрудник отдела земного магнетизма Института геофизики. В 1957 году защитил кандидатскую диссертацию на тему: «Исследование геомагнитных возмущений по данным Тбилиси за полный период цикла солнечной активности 1933-45гг.» В 1960-1963 гг. – ученый секретарь Отделения естественных наук Академии наук Грузии. Окончил физико-математический факультет Тбилисского государственного университета, затем аспирантуру по специальности «земной магнетизм». С 1950 года – сотрудник отдела земного магнетизма Института геофизики. В 1957 году защитил кандидатскую диссертацию на тему: «Исследование геомагнитных возмущений по данным Тбилиси за полный период цикла солнечной активности 1933-45гг.» В 1960-1963 гг. – ученый секретарь Отделения естественных наук Академии наук Грузии.

Г.П. Беришвили скончался в 1974 году. В 2025 году Георгию Павловичу Беришвили исполняется 105 лет со дня рождения.

## აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე

( 1930 – 2014 )



2025 წლის 20 სექტემბერს 95 წელი შეუსრულდებოდა შესანიშნავ მეცნიერ-ფიზიკოსს, ღირსეულ მამულიშვილს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ჯუმბერ ლომინაძეს. ჯუმბერ ლომინაძემ 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-6 ვაჟთა საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე. 1951 წლიდან გადავიდა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1955 წელს. ჯ. ლომინაძე 1956-1958 წლებში მუშაობდა ჩელიაბინსკ-70-ში (ამჟამად ქ.სნეჟინსკი) რუსეთის ფედერალური ბირთვული ცენტრის (ამჟამად, ბირთვული იარაღის დამუშავების ცენტრი) სრულიად რუსეთის ტექნიკური ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ის მონაწილეობდა აქტიური თერმობირთვული იარაღის სრულყოფის პროგრამაში. მისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა პლაზმის ფიზიკის პრობლემები, რადგან ძირითად მიზნად ისახავდა თერმობირთვული იარაღის „გამაკეთილშობილებელი“ ისეთი რეაქტორის აგებას, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა თერმობირთვული რეაქციების მართვა და, შედეგად, კაცობრიობისათვის ფაქტობრივად ულევო, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროს შექმნა.

1958 წელს ჯ. ლომინაძე დაბრუნდა საქართველოში და ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად შეუდგა პლაზმის ფიზიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მისი მეცნიერული კვლევების საგანს შეადგენდა უშუალოდ პლაზმის ფიზიკის თეორია. როდესაც პლაზმის ფიზიკაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აწარმოებდა კვლევას ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე პროცესების შესას-



წავლად, ჯ. ლომინაძე მჭიდროდ თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევების ინსტიტუტთან, პირადად აკად. რ. საგდევეთან და მის კოლეგებთან. ჯ. ლომინაძის ორივე დისერტაციაში, საკანდიდატოშიც და სადოქტოროშიც პლაზმის ფიზიკის საკითხებია გამოკვლეული. ჯ. ლომინაძემ და მისმა თანამშრომლებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას – ელექტრონულ-პოზიტრონული პლაზმის ელექტრომაგნიტურ თეორიას, რომლის საფუძველზეც აიგო კიბორჩხალის ნისლეულში მყოფი პულსარის გამოსხივების მოდელი, ფუნდამენტური კვლევებია ჩატარებული თვით კიბორჩხალის ნისლეულში მიმდინარე მოვლენების შესასწავლად.

ჯ. ლომინაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პლაზმური პროცესების მათემატიკური მოდელირების ჯგუფს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში; 1988 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკად. ჯ. ლომინაძემ, ჩვენს თანამემამულე მოსკოვის ი. კურჩატოვის სამეცნიერო ცენტრის პროფესორ ვ. ფეტვიაშვილთან ერთად, აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შექმნა ექსპერიმენტული დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდება დედამიწის ატმოსფეროსა და ოკეანეებში გრიგალების – ციკლონებისა და ანტიციკლონების ჩამოყალიბებისა და დინამიკის მოდელირება. აკად. ჯ. ლომინაძეს, ასევე, მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები აქვს მიღებული მზეზე, დედამიწის მაგნიტოსფეროსა და ატმოსფეროში მიმდინარე პლაზმური პროცესების კვლევაში.

აკად. ჯ. ლომინაძის ასტროფიზიკური კვლევების არეალმა მოიცვა სამყაროს ყველაზე ეგზოტიკური ობიექტის – შავი ხვრელების – ირგვლივ არსებულ ე.წ. აკრეციულ დისკოებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები. შემუშავდა თეორიული მოდელი, რომელიც ხსნის ამ მოვლენის თავისებურებებს და თვისებებს. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევისათვის მკვლევართა ჯგუფს აკად. ჯ. ლომინაძის ხელმძღვანელობით 2002 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერების დარგში.

აკად. ჯ. ლომინაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში. ახალგაზრდებზე ზრუნვა ვრცელდებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთაც. აკად. ჯ. ლომინაძეს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან. ჯ. ლომინაძეს ახასიათებდა ფიზიკური აზროვნების მაღალი კულტურა, რაც განაპირობებდა ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ მკვლევარებად სწრაფ ჩამოყალიბებას. მისი მოწაფეები ნაყოფიერად მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში.

აკად. ჯ. ლომინაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას, ეკავა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობა, მისი ინიციატივით დაარსდა საერთაშორისო სკოლა და სიმპოზიუმი პლაზმურ ასტროფიზიკაში ვარენა-აბასთუმანი და დაინიშნა ამ სკოლის დირექტორად, 2007 წელს მან გეოფიზიკის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა კოსმოსური კვლევის ცენტრი, რომლის ინტერესი მოიცავს უწყვეტი გარემოს არაერთგვაროვანი დინებების დინამიკას გეოფიზიკურ და საინჟინრო პროცესებში.

აკად. ჯუმბერ ლომინაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პლაზმის ფიზიკის ერთ-ერთი განხრის, ელექტრონული ციკლოტრონული ტურბულენტობის თეორიის შექმნაში. მოვლენები, რომლებიც იწინასწარმეტყველა ჯუმბერ ლომინაძემ თავის თეორიულ შრომებში, შემდგომში ექსპერიმენტულად დაადასტურეს უცხოელმა მეცნიერებმა. მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებამ დააინტერესა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე

ავტორიტეტული გამომცემლობა „პერგამონ პრესი“, რომელმაც 1981წელს გამოსცა ჯ. ლომინაძის მონოგრაფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“ ინგლისურ ენაზე. ეს შრომა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის სამაგიდო წიგნი გახდა.

აკად. ჯ. ლომინაძე 500-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მეცნიერების წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. ამასთან ერთად ის ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური წევრი იყო – 1997-2003 წლებში თავმჯდომარეობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ყოველთვის გვემახსოვრება ბატონი ჯუმბერი, ბუნებით ინტელიგენტი, უაღრესად გულისხმიერი, კეთილგანწყობილი და შესანიშნავი ადამიანი.

## ლიტერატურა

1. ჯუმბერ ლომინაძე. ბიობიბლიოგრაფია. მეცნიერება. 2005 -156 გვ.

### **Академик Джумбер Георгиевич Ломинадзе (1930 – 2014)**

95 лет назад, 20 сентября 1930 года в Тбилиси родился известный грузинский ученый-физик и общественный деятель, основатель научной школы теоретической астрофизики, доктор физико-математических наук, академик Национальной академии наук Грузии Джумбер Георгиевич Ломинадзе.

В 1955 году Дж. Ломинадзе с отличием окончил физический факультет Московского государственного университета им. М. В. Ломоносова по специальности «Строение вещества». Его особый интерес вызывала физика плазмы, так как она ставила целью «облагораживание» термоядерного оружия – создание такого реактора, с помощью которого возможно управлять термоядерными реакциями и, тем самым, создавать для человечества фактически неисчерпаемый, экологически чистый источник энергии. В 1956-1958 гг. Дж. Ломинадзе работал в Челябинске во Всероссийском научно-исследовательском институте технической физики, где непосредственно участвовал в программе совершенствования термоядерного оружия. В 1958 г. Дж. Ломинадзе возвращается в Тбилиси, работает в Институте физики. В 1964 г. защищает кандидатскую диссертацию на тему «Взаимодействие потоков заряженных частиц с низкочастотными колебаниями плазмы». В 1973-1976 годах Дж. Ломинадзе заведывал группой математического моделирования плазменных процессов в Институте прикладной математики им. И. Н. Векуа Тбилисского государственного университета. В 1974 году защитил докторскую диссертацию на тему «Теория неустойчивости и турбулентности плазмы в области циклотронных гармоник». В 1976 г. в Абастуманской астрофизической обсерватории создал группу, работающую в области плазменной астрофизики. На базе группы был создан отдел теоретической астрофизики.

Джумбер Георгиевич в 1979 г. был избран членом-корреспондентом НАН Грузии, в 1988г. – действительным членом, с 1982 года он – академик-секретарь Отделения математики и физики НАН Грузии. В 1984 е. по инициативе академика Дж. Е. Ломинадзе были созданы Международная школа и симпозиум в плазменной астрофизике Варейна-Абастумани. В 1992-2000 гг. акад. Л.Г. Ломинадзе директор Абастуманской астрофизической обсерватории. В 1997 г. он избран членом Астрономического союза, а с 1999г. членом Американского физического общества, в 2000 г. назначен руководителем филиала – Центра плазменной астрофизики Абастуманской астрофизической обсерватории им. Е.К. Харадзе НАН Грузии, с 2003 г. – Пре-

дседатель Космического агентства Грузии, с первого января 2007 года в Институте геофизики под руководством Джумбера Георгиевича основан Центр космических исследований.

Академик Джумбер Георгиевич Ломинадзе скончался 19 января 2014 года. Образ этого замечательного ученого, обаятельного, светлого, гуманного, высоко культурного и всеми любимого человека навеки останется в памяти его коллег и сотрудников нашего Института.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
პროფესორი გურამ შენგელაია  
(1925 – 2002)**



მიმდინარე წლის 27 მაისს 100 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ შენგელაიას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული გეოფიზიკური მეცნიერების, კერძოდ კი გრავიმეტრიის, განვითარების საქმეში. მან მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერების სამსახურს მიუძღვნა, რამაც უდიდესი ავტორიტეტი შეუქმნა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გურამ შენგელაია იყო ამერიკისა და ევრაზიის გეოფიზიკური საზოგადოებების წევრი, საქართველოს სახელმწიფო და აკად. მ. ალექსიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

გ. შენგელაია დაიბადა 1925 წლის 27 მაისს ქ. თბილისში, იურისტის ოჯახში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგ-გეოფიზიკოსის სპეციალობით. ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში სამუშაოდ გ. შენგელაია მიიწვია მისმა მასწავლებელმა იმ დროს ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ (1950 წლიდან – დირექტორმა), საქართველოში გრავიმეტრიული სკოლის დამფუძნებელმა ბატონმა ბენო ბალავაძემ, რომელთანაც შემდგომში სიცოცხლის ბოლომდე სანიმუშო მეგობრობა აკავშირებდა. ბატონ ბ. ბალავაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოსა და კავკასიონის ტერიტორიის ფართოთი გრავიმეტრიული აგეგმვის ჩატარება. სწორედ ამ სამუშაოში ჩაება გ. შენგელაია და 10 წლის განმავლობაში (1950-1959) სეზონის გამოუტოვებლად, უნარიანად ხელმძღვანელობდა აგეგმვას. 1951-1953 წლებში იგი, ასევე, მონაწილეობდა აკადემიკოს ბ. ბალავაძის მიერ საქართველოში პირველად ჩატარებულ სიმძიმის ძალის ვერტიკალური გრადიენტის სავლე ექსპერიმენტულ გამოკვლევაში. სპეციალისტებმა ეს გამოკვლევა იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალეს, რომ იგი მაშინვე შეიტანეს უმაღლესი სასწავლებლის, კერძოდ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკური სპეციალობის სტუდენტთა სასწავლო პროგრამაში. გ. შენგელაიას ეკუთვნოდა იდეა, რომ სავლე მუშაობის დროს შეეგროვებინა დედამიწის ქერქის ქანების ნიმუშები და განესაზღვრა მათი სიმკვრივე. ამ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით მან რამდენიმე შრომა გამოსცა, სადაც მოცემულია საქართველოს ტერიტორიის დედამიწის ქერქის საშუალო სიმკვრივეთა რუკა. ამ მასალის საფუძველზე გ. შენგელაიამ 1961 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დედამიწის ქერქის აგებულება მდ. მტკვრის აუზის დასავლურ ნაწილში“, რომელიც გამდიდრებული ახალი

მასალით გამომცემლობა „მეცნიერება“ 1968 წელს გამოსცა მონოგრაფიის სახით. გ. შენგელაიას შემდგომი კვლევები მთლიანად ეძღვნება კავკასიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დედამიწის ქერქის აგებულების შესწავლას. ამ ტერიტორიებისთვის არსებული გრავიმეტრიული მონაცემების ფართო ანალიზის საფუძველზე შედგენილი იქნა და პირველად გამოიცა ერთმილიონიანი მასშტაბის კავკასიის ტერიტორიის გრავიმეტრიული რუკა, ბუგეს არასრულ ტოპოგრაფიულ რედუქციაში. გ. შენგელაიას მეცნიერული მიღწევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი გრავიტაციული ეფექტის გამოთვლისა და, რაც მთავარია, დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი გრავიტაციული მოდელის აგების მეთოდის დამუშავება. შემდგომში მან აკადემიკოს მერაბ ალექსიძესთან ერთად შეიმუშავა ალგორითმი, რამაც გამომთვლელი მანქანით დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი მოდელის აგების მეთოდის უნივერსალური პროგრამის შედგენის საშუალება შექმნა.

გ. შენგელაია 1963-დან 1976 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად მუშაობდა; 1876-1978 წლებში იმყოფებოდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში კონტრაქტით, როგორც საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის უფროსი ქ. ალექოში. 1978 წელს დაბრუნდა სამშობლოში და 1978-1982 წლებში გეოფიზიკის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა რადიომეტრიის განყოფილებას. 1981 წელს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ს. სუბოტინის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „დედამიწის ქერქის გრავიტაციული მოდელი კავკასიაში“.

1982 წლიდან გ. შენგელაიასთვის მეცნიერებაში ახალი მიმართულება დაიწყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა იგი გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებული ჯერ საცდელ-მეთოდური ექსპედიციის, ხოლო 1996 წლიდან, ქვეყნის ერთიანი სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსად დანიშნა, სადაც მან სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა. მან ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით გაართვა თავი. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სეისმური ქსელის ხელმძღვანელობის გარდა, შექმნა გეოფიზიკური ველების დაკვირვებათა ქსელი და მოიპოვა დიდი მოცულობის დანაკვირვები მასალა. გრავიმეტრიაში დაწყებული მეცნიერული კვლევები გ. შენგელაიამ მშვენივრად შეუთავსა ახალ სამსახურს. ეს ეხება გრავიმეტრიული მეთოდების სრულყოფას და მიწისძვრების პროგნოზის პრობლემასთან დაკავშირებული თემატიკური სამუშაოების შესრულებას. სწორედ გეოფიზიკის ინსტიტუტში აკადემიკოს მერაბ ალექსიძესთან ერთად პირველად საბჭოთა კავშირში დაინერგა პროგრამა – ჰიპოცენტრია – გრავიტაციული მოდელი („ჰიპო-გმ“), რომელსაც საფუძველად უდევს გ. შენგელაიას მიერ კავკასიისათვის მიღებული დედამიწის ქერქის სტრუქტურა. 1997 წელს გ. შენგელაიას უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა ქვეყნის სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის 1998-2005 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. 1985 წელს გ. შენგელაიას მიენიჭა პროფესორის წოდება, 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1994 წელს კოლეგებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, 1996 წელს კი – აკადემიკოს მ. ალექსიძის სახელობის პრემია, 2000 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით. აღსანიშნავია, რომ მას

1984 წელს მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. გ. შენგელაია ავტორია მოდელის: „დედამიწის შინაგანი აგებულებისა და ძირითადი ფიზიკური პარამეტრების სიღრმული განაწილების სისტემაში მოყვანილი სადემონსტრაციო მაკეტის მოდელი“, სათანადო საავტორო მოწმობა მიღებული აქვს 1994 წელს.

გურამ შენგელაია გარდაიცვალა 2002 წლის 28 ივნისს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. გურამ შენგელაიამ ნაყოფიერი მოღვაწეობით, ყოველდღიური საქმიანობით, კოლეგებთან ურთიერთობით, მეგობრებთან დამოკიდებულებით ღრმა კვალი დატოვა საზოგადოების მეხსიერებაში.

## ლიტერატურა

1. ვ. აბაშიძე, ვ. ჭიჭინაძე, ლ. დარახველიძე, ჯ. ქირია, ლ. წიკლაური. გურამ შენგელაია (ბიობიბლიოგრაფია).2005; მეცნიერება; 59 გვ.

### **Член-корреспондент национальной академии наук Грузии, Профессор Гурам Шалвович Шенгелая (1925 – 2002)**

Посвящается 100-летию со дня рождения.


Член-корреспондент Национальной академии наук Грузии, доктор геолого-минералогических наук, профессор Г.Ш. Шенгелая сыграл большую роль в развитии геофизической науки в Грузии, в частности, гравиметрии, что и создало ему высокий авторитет среди коллег как в Грузии, так и за ее пределами. Г.Ш. Шенгелая был членом геофизических обществ Америки и Европы, лауреатом Государственной премии Грузии и премии имени академика М.А. Алексидзе. В 1984 г. был награжден Почетной грамотой Президиума Верховного Совета Грузии, а в 2000 году – орденом Чести Грузии.

В 1949 году, после окончания географо-геологического факультета Тбилисского государственного университета Г.Ш. Шенгелая, по рекомендации акад. Б.К. Балавадзе, начинает работать в отделе гравиметрии Института геофизики и назначается руководителем экспедиционных работ по проведению гравиметрической съемки всей территории Грузии. Все научные исследования Г.Ш. Шенгелая в отделе были полностью посвящены изучению строения земной коры Кавказа и сопредельных территорий. Он является соавтором гравиметрической карты территории Кавказа.

В 1963-1976 годах Г.Ш. Шенгелая – ученый секретарь Отделения наук о Земле АН Грузии, в 1976-1978 гг. находится в Сирийской Арабской республике по контракту, как начальник группы советских специалистов в г. Алеппо, в 1979-1982 гг. -руководитель отдела радиометрии Института геофизики. С 1982 года Г.Ш. Шенгелая назначается начальником Опытно-методической геофизической экспедиции при Институте геофизики, которая с 1996 года преобразована в Единую национальную службу сейсмической защиты Грузии. Должность начальника он занимал до конца жизни. Пол руководством Г.Ш. Шенгелая была разработана Государственная целевая программа Единой национальной службы на 1998-2005 годы, утвержденная затем Президентом Грузии.

Профессор Г.Ш. Шенгелая скончался в 2002 году. Неутомимый труженик, безмерно преданный своему делу, отличный семьянин – таким был Гурам Шалвович Шенгелая.

**პროფესორი მიხეილ იოსელიანი**  
( 1925 – 1992)



მიმდინარე წელს 100 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ ქართველ გეოფიზიკოსს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოძიების განყოფილების ხელმძღვანელს 1971-1994 წლებში პროფესორ მიხეილ იოსელიანს. ის ოთხი ათწლეულის მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სეისმური ძიების მეთოდების დანერგვის, განვითარების და პრაქტიკული გამოყენების საქმეში. პროფესორ მიხეილ იოსელიანის მიერ მიღებულმა სამეცნიერო შედეგებმა

მნიშვნელოვნად გაამდიდრეს საქართველოს ტერიტორიისა და მიმდებარე რეგიონების სიღრმული აგებულების გეოლოგიური შესწავლილობა.

1944 წელს მულახის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მ. იოსელიანი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მთაში გაზრდილ ახალგაზრდას გაუჭირდა ქალაქურ ცხოვრებასთან შეგუება, დაანება სწავლას თავი, დაბრუნდა თავის სოფელში და დაიწყო მუშაობა სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. შემდეგ, მამის სურვილის გათვალისწინებით, მომდევნო წელს ხელახლა ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ ამჯერად გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე. სწავლობდა წარჩინებით, დაიმსახურა სტალინის სახელობის სტიპენდია. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგ-გეოფიზიკოსის სპეციალობით. იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ძიების სეისმური მეთოდების განხრით. 1954 წელს ბატონმა მიხეილმა პროფესორების გ. თვალთვამისა და ი. კახაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „შიდა ქართლის ვაკეზე მიღებული გეოფიზიკური მონაცემების გეოფიზიკური ინტერპრეტაცია“, ხოლო 1983 წელს, ბაქოში, ძიების გეოფიზიკური მეთოდების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აზერბაიჯანის განყოფილებაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ტერიტორიის მთათაშუა დეპრესიისა და მიმდებარე რაიონების სიღრმული გეოლოგიური აგებულება გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით“.

1990 წელს მას საკავშირო საატესტაციო კომისიამ (BAK) პროფესორის წოდება მიანიჭა. 1971 წელს მ. იოსელიანი სეისმოძიების განყოფილების გამგედ დაინიშნა. განყოფილებამ კრისტალური ფუნდამენტის ზედაპირის მორფოლოგიისა და მისი სიღრმული-სტრუქტურულ-ტექტონიკური აგებულების შესწავლის მიზნით მ. იოსელიანის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათობით ექსპედიცია ჩაატარა. აღნიშნულ კვლევებში პროფ. მ. იოსელიანის შრომებმა დიდი აღიარება მოიპოვა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს შრომები დაედო საფუძვლად საქართველოს ტერიტორიისა და მისი მოსაზღვრე რაიონების ტექტონიკური და ნავთობ-გეოლოგიური რუკების შედგენას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სედიმენტაციური აუზების პალეო-გეოგრაფიული რეკონსტრუირებისას და წარმოადგენს განმსა-

ზღვრელი მნიშვნელობის მასალას დანალექ საფარში ნავთობისა და გაზის რესურსების პროგნოზული შეფასებისთვის. ამ კვლევების შედეგები წარმატებით იქნა დანერგილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებში.

პროფ. მ. იოსელიანმა პირადად შეადგინა მეზოზოურის, კრისტალური ფუნდამენტისა და მოხოროვიჩის ზედაპირების სტრუქტურულ-ტექტონიკური რუკები, სიღრმული რღვევების რუკები და ლითოსფეროს სეისმური მოდელი საქართველოს ტერიტორიისათვის. აღნიშნული გეოლოგიური მასალა წარმოადგენს ძირითად და საკმარისად დადასტურებულ დოკუმენტებს საქართველოს ტერიტორიის სიღრმული აგებულების დასახასიათებლად. სეისმოძიების განყოფილების მიერ შესწავლილია აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების განთავსების სიღრმული გეოლოგიური აგებულება, როგორცაა ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ლაჯანურჰესი, სიონის წყალსაცავი და სხვ. აგრეთვე გამოკვლეულია მეწყრული მოვლენები და კარსტული უბნები ენგურჰესის და ჟინვალჰესის მიდამოებში, ტყიბულის, ამბროლაურის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში. პროფ. მ. იოსელიანის უშუალო მონაწილეობით დასაბამი დაედო დეფორმაციულ პროცესებზე რეჟიმულ, სეისმურ დაკვირვებებს ენგურის წყალსაცავის სათავე ნაგებობასთან ჰიდროკვანძის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად. პროფ. მ. იოსელიანი 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია (მათ შორის მონოგრაფიების, სტატიების, საექსპედიციო ანგარიშების, პოპულარული ბროშურების და სხვ.). მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო დისერტაცია. აი როგორ იხსენებს პროფ. მ. იოსელიანს მისი მოწაფე ფიზ.-მათ. მეცნ. აკადემიური დოქტორი მალხაზ გიგბერია: მას

„ბატონი მიხეილი იყო უაღრესად კეთილშობილი ადამიანი. განყოფილებაში მისვლისთანავე ვიგრძენი მისი მზრუნველი დამოკიდებულება. ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ყურადღებით მისმენდა, ჩემთან ერთად აკეთებდა ანალიზს და, რაც მთავარია, მამლევდა შესაბამის რჩევებს. ამჟამად, რომ ვუკვირდები, ამ რჩევების საფუძველზე ჩამოვყალიბდი როგორც პროფესიონალი გეოფიზიკოსი და ყოველთვის მაღლიერების გრძნობით ვიხსენებ მას.“

ასევე იხსენებს ბატონ მიშას მისი ერთ-ერთი მოწაფე ფიზ.-მათ. მეცნ. აკადემიური დოქტორი დავით კიტოვანი: ბევრი რამის თქმა შეიძლება ბატონ მიშაზე, როგორც მეცნიერზე, მამულიშვილზე, სვანეთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანზე, მაგრამ ამჯერად მის პიროვნულ თვისებებებს შევხები. იგი იყო უაღრესად კეთილი, ზოგჯერ გულჩვილიც, გადაყოლილი თავის თანამშრომლებზე და სეისმომეტრიის განყოფილების ერთ დიდ ოჯახად ჩამოყალიბებაში მას ლომის წილი მიუძღვის: ბატონი მიშა არ იყო მკაცრი ხელმძღვანელი. იგი ყოველთვის ცდილობდა თვალი დაეხუჭა და არ შეემჩნია მისი თანამშრომლების მიერ მცირეოდენი დისციპლინარული დარღვევები, ხოლო გარკვეული ზღვარის შემდეგ იძულებული იყო მიემართა „სადამსჯელო“ ღონისძიებებისათვის. მაგრამ როგორც კი ლაპარაკს ჩამოუგდებდით მისი ქალიშვილის – ცნობილი მოჭადრაკის ნანას შესახებ, მაშინვე მოლბებოდა. ასეთი პიროვნული თვისებების გამო ყოველთვის მაღლიერების გრძნობით ვიხსენებ მას.

პროფ. მიხეილ იოსელიანი იყო სანიმუშო მეოჯახე. მისი მეუღლე ქალბატონი ნათელა ხვედელიძე – ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი – მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში გეომაგნეტიზმის განყოფილებაში. 1957 წელს იგი ხელმძღვანელობდა დუშეთის მაგნიტურ ობსერვატორიას, 1976 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეო-

ლოგიის ფაკულტეტის ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრის დოცენტი იყო. მათი შვილია სახელოვანი ქართველი მოჭადრაკე ნანა იოსელიანი.

ბატონი მიხეილის ცხოვრება ქართველი კაცის შრომისმოყვარეობის, ნიჭიერების და სამშობლოსა და ხალხის უანგარო სიყვარულის სანიმუშო მაგალითია. მან პირნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნის წინაშე და დატოვა ნათელი ხსოვნა მეგობრებსა და კოლეგებში. 2001 წლის 22 ნოემბერს გეოფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა პროფესორ მიხეილ იოსელიანის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

## ლიტერატურა

1. ვ. პაპალაშვილი. პროფესორი მიხეილ იოსელიანი. თბილისი. 2001 წ. 49გვ.

## ПРОФЕССОР МИХАИЛ СТЕПАНОВИЧ ИОСЕЛИАНИ

(1925 – 1992)

Исполнилось 100 лет со дня рождения известного грузинского геофизика, доктора геолого-минералогических наук, профессора Михаила Степановича Иоселиани, внесшего весомый вклад в дело развития наук о Земле в Грузии. М.С. Иоселиани родился 15 ноября 1925 г в селе Мулахи Местийского района (Сванети) в многодетной семье. Отец Михаила Степановича высоко ценивший силу знаний, дал своим детям достойное образование. М.С. Иоселиани успешно учился в Тбилиском государственном университете на геолого-географическом факультете, за отличную учебу заслужил Сталинскую стипендию. В 1950 году окончил университет со специальностью геолога-геофизика, поступил в аспирантуру Института геофизики и в 1954 году защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата геолого-минералогических наук на тему: «Геологическая интерпретация геофизических данных Внутренней Карталинской равнины», в 1983 году защитил докторскую диссертацию на тему «Глубинное геологическое строение межгорной впадины территории Грузии и смежных областей по геофизическим данным». С 1971 года до конца жизни занимал должность заведующего отделом сейсмометрии, которым раньше руководил основатель этого направления геофизики в Грузии, профессор Гурий Калистратович Твалтвадзе, сыгравший большую роль в определении научного пути М.С. Иоселиани. В 1980 году Михаил Степанович получил звание профессора.

В течение четырех десятилетий деятельности в Институте М.С. Иоселиани исследовал геофизическими методами разведки строение земной коры в различных частях Грузии, впервые составил для территории Грузии структурно-тектонические карты поверхностей мезозоя, кристаллического фундамента и Мохоровичича, а также карту глубинных разломов и сейсмическую модель литосферы, изучал глубинное геологическое строение территорий таких важных объектов, какими являются Ингури ГЭС, Жинвали ГЭС, Ладжанури ГЭС, Сионское водохранилище и др., проводил исследования оползневых явлений и изучал карстовые участки в окрестностях Ингури ГЭС, Жинвали ГЭС, в Ткибульском, Амбролаурском, Сухумском и Гудаутском районах. М.И. Иоселиани плодотворно сотрудничал с трестом «Грузнефтегеофизика» и управлением «Грузгеология». Он является автором около 200 научных и научно-популярных работ, в том числе нескольких монографий. Под научным руководством М.С. Иоселиани защищено несколько кандидатских диссертаций. С чувством гордости сообщаем, что известная шахматистка, гроссмейстер Нана Иоселиани – дочь Михаила Степановича Иоселиани.

Михаил Степанович Иоселиани был человеком честным, трудолюбивым, благородным, талантливым, преданным и любящим свою Родину.



**მეცნიერებათა დოქტორი კარლო ქართველიშვილი**  
**(1935 – 2019)**



ქართველ გეოფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრს, გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორის ხელმძღვანელს კარლო ქართველიშვილს 2025 წლი 1 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდებოდა. მან 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა 32-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ნივთიერებათა აღნაგობის სპეციალობით.

კ. ქართველიშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოში გეოფიზიკის ერთ-ერთი ურთულესი და, იმავდროულად, ფრიად საინტერესო დარგის – მყარ დედამიწაში მიმოქცევითი მოვლენების – კვლევებში. აკადემიკოს ბ. ბალავაძესთან ერთად, მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით 1962 წელს დაარსდა თბილისის უნიკალური, ასეთი სახის დაკვირვებებისათვის სპეციალურად აღჭურვილი, მიმოქცევითი ლაბორატორია, სადაც 2010 წლის ივლისამდე მიმდინარეობდა დედამიწის მყარ ტანში მიმოქცევითი მოვლენების უწყვეტი მონიტორინგი, რისთვისაც გამოიყენებოდა თანამედროვე სამი ძირითადი – გრავიმეტრიული, ექსტენზომეტრიული და დახრისმზომითი მეთოდი. აღნიშნული ლაბორატორია კარლო ქართველიშვილის ხელმძღვანელობით 1969 წლიდან ფუნქციონირებდა, როგორც სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების პლანეტარულ გეოფიზიკაში მრავალმხრივი ურთიერთობების კომისიის (KAIF)-ს საერთაშორისო ცენტრი. 2010 წლის ივნისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კატეგორიული ულტიმატუმის შემდეგ გეოფიზიკის ინსტიტუტი იძულებული გახდა მოეხდინა ობსერვატორიაში არსებული აპარატურის ნაწილობრივი დემონტაჟი და 2010 წლის 22 ივნისს ობსერვატორიამ არსებობა შეწყვიტა.

მიუხედავად ამ უმძიმესი დარტყმისა, კარლო ქართველიშვილმა გააგრძელა კვლევები გეოფიზიკაში შემდეგი მიმართულებებით: შორეული მიწისძვრებით ინიცირებული ლოკალური სეისმურობის ტრიგერირება; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი ძლიერი მაგნიტური ანომალიის კომპლექსური კვლევა ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის შექმნის მიზნით. კარლო ქართველიშვილი აგრძელებდა სამუშაოებს დედამიწის მიწისქვეშა მიმოქცევით ობსერვატორიაში 1962-2010 წლებში მიღებული დაკვირვებითი მასალების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად; ის იკვლევდა დედამიწის მყარ ტანში მიმდინარე პროცესებს გრავიმეტრებით, ექსტენზომეტრებით და დახრისმზომებით ჩატარებული უწყვეტი მონიტორინგის მონაცემებით; იკვლევდა შორეული მიწისძვრებით ინიცირებულ ლოკალური სეისმურობის ტრიგერირების მოვლენებს, კომპლექსურად იკვლევდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ ძლიერ მაგნიტურ ანომალიას ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის შექმნის მიზნით; 1994 წელს კარლო ქართველიშვილს მკვლევარების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და

ტექნიკის დარგში 1978-1992 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის „გეოფიზიკური, გეოლოგიური და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტის გრავიმეტრიული მეთოდების დამუშავება და რეალიზაცია“.

ფიზ.-მათ მეცნ. დოქტორი კარლო ქართველიშვილი 2016 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით. ბატონი კარლო იყო ფრიად ნიჭიერი, ფართო განათლების მქონე მეცნიერი. ის გარდაიცვალა 2019 წლის 19 სექტემბერს.

## ლიტერატურა

1. პროფ. ჯ. ქირია, ლ. დარახველიძე, აკად. დოქ. მ. ნიკოლაიშვილი, „კარლო ქართველიშვილის ბიობიბლიოგრაფია“. თბილისი. 2015 წ.

### **Карло Захарьевич Картвелишвили (1935 – 2019)**

С именем грузинского геофизика, доктора физико-математических наук, лауреата Государственной премии Грузии по науке и технике, действительного члена Академии экологических наук Грузии, руководителя сектора физики Земли и геомагнетизма Института геофизики Карло Захарьевича Картвелишвили связаны значительные этапы развития грузинской геофизической науки, среди которых заслуживают внимание исследования приливных явлений в твердой Земле – одной из сложнейших и одновременно очень интересных отраслей геофизики. Под руководством акад. Б. К. Балавадзе и при непосредственном участии К.З. Картвелишвили в 1962 году в Тбилиси была основана уникальная для таких наблюдений специально оборудованная подземная приливная лаборатория, в которой до июля 2010 года производился непрерывный мониторинг приливных явлений в твердом теле Земли основными современными методами – гравиметрическим, экстензометрическим и наклономерным. Под руководством К.З. Картвелишвили с 1969 года эта лаборатория функционировала как Международный Центр комиссии по многостороннему сотрудничеству академий наук социалистических стран (КАПГ) по планетарной геофизике.

Доктор физ.-мат. наук Карло Захарьевич Картвелишвили родился 1 октября 1935 года, в 1954 году с золотой медалью окончил Тбилисскую №32 мужскую среднюю школу, а в 1959 году физический факультет Тбилисского государственного университета. С 1959 года до конца жизни работал в Институте геофизики. Прекрасный специалист, разносторонний ученый Карло Захарьевич скончался 19 сентября 2019 года.

## ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

### OBITUARIES

#### ერეკლე გამყრელიძის ხსოვნას (08. 05.1933—05.12.2025)



ერეკლე გამყრელიძე – ქართველი გეოლოგი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1984), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1984).

ერეკლე გამყრელიძე ცნობილი ქართველი გეოლოგის პეტრე გამყრელიძის შვილია. 1958 წლიდან მუშაობს ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში, 1988 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიისა და სეისმოტექტონიკის განყოფილების ხელმძღვანელი. 1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა“.

1961-1966 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1966-1975 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1975 წლიდან დღემდე კი ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიისა და სეისმოტექტონიკის განყოფილებას.

ერეკლე გამყრელიძის ძირითადი შრომები ეხება რეგიონულ გეოლოგიასა და გეოტექტონიკას, დეტალურ და რეგიონულ სტრუქტურულ ანალიზს, პლანეტარული ნაპრალოვნების კვლევას, ტექტონიკური სტრუქტურების წარმოშობის მექანიზმს, შარიაყების მორფოლოგიურ-კინემატიკურ თავისებურებებსა და მათ გენეზისს, ხმელთაშუა ზღვის მოძრავი სარტყლის გეოდინამიკურ ევოლუციასა და სეისმოტექტონიკას, ლითოსფეროსა და დედამიწის ქერქის ჰორიზონტალურ – ტექტონიკურ განშრევებასა და ტექტოგენეზისის ზოგად პრობლემებს.

ე. გამყრელიძე არის საერთაშორისო ტექტონიკური რუკების კომისიის წევრი. საქართველოს ეროვნული პრემიის (2018), ალექსანდრე ჯანელიძისა (1986) და ალექსანდრე თვალჭრელიძის (2008) სახელობის პრემიების ლაურეატი, მინიჭებული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ე. გამყრელიძე მრავალი წლის განმავლობაში იყო მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ერეკლე გამყრელის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერებისადმი ერთგული დამოკიდებულების შესანიშნავი მაგალითია. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

*თსუ-ს მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი*

### **გიორგი (გია) კორძაბიას ხსოვნას (08. 09.1947—29.10.2025)**



გაუსაძლისად მძიმეა იმის აღქმა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ცნობილი ქართველი მეცნიერი, უმაღლესი პროფესიონალიზმით, თავმდაბლობითა და კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანი – გიორგი (გია) კორძაბია.

გია კორძაბია დაიბადა 1947 წლის 8 სექტემბერს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1970 წელს თეორიული ფიზიკოსის სპეციალობით დაამთავრა.

მეცნიერებისადმი სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ იგი ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში მიიყვანა. სფეროში, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა. 1975 წელს მსოფლიოში ერთერთ აღიარებულ საბჭოთა კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში, მოსკოვში, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მეტეოროლოგიური პროცესების ოთხგანზომილებიან მოდელირებაში და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

გია კორძაბიას მრავალწლიანი მოღვაწეობა დაკავშირებულია ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტთან, სადაც მან გაიარა გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან ლაბორატორიის გამგემდე. 1997 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ და ბოლოს სააგენტოს უფროსის მრჩეველად. იგი პარალელურად მუშაობდა ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში და განაგრძობდა სამეცნიერო საქმიანობას.

მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა ატმოსფერული პროცესების დინამიკას და მოდელირებას, კლიმატის ცვლილების ფიზიკურ და გლობალურ ასპექტებს, გარემოს დაბინძურების პრობლემებს, ჰიდროლოგიასა და გლაციოლოგიას. განსაკუთრებული ადგილი გია კორძაბიას ნაშრომებში მყინვარების შესწავლას უკავია. იგი ხელმძღვანელობდა არაერთ მნიშვნელოვან ეროვნულ და საერთაშორისო პროექტს, მათ შორის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს – „საქართველოს მყინვარების ელექტრონული ატლასის“ შექმნისა და მყინვარების დეგრადაციის კვლევის მიმართულებით. ამ გამოკვლევებში პირველად რაოდენობრივად შეფასდა საქართველოს მყინვარების დეგრადაცია გლობალური დათბობის გავლენით. მან თავისი დიდი გამოცდილებითა და

თავდადებული საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა ჰიდრომეტეოროლოგიის განვითარებაში.

გია კორძახია აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის, გაეროსა და ევროპის სამეცნიერო პროგრამების მრავალ პროექტში, არაერთ საერთაშორისო ფორუმზე წარადგინა საქართველოს სახელით მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და 3 მონოგრაფია.

მისი გამორჩეული ღვაწლი აღიარებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით – დაჯილდოებული იყო საქართველოს მთავრობის ორი ღირსების მედლით, იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი.

ჩვენ, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა დავკარგეთ მაღალი დონის პროფესიონალი, ნამდვილი ინტელიგენტი და კეთილშობილი ადამიანი, ხოლო ოჯახმა არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ძმა და ბაბუა. გია კორძახიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს შორის.

*სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი*

### **In Memory of Giorgi (Gia) Kordzakhia (08. 09.1947–29.10.2025)**

It is intolerably hard to comprehend that one of the exceptional Georgian scientists, a person distinguished by the highest professionalism, modesty and openhandedness – Giorgi (Gia) Kordzakhia is no longer with us.

Gia Kordzakhia was born on September 8, 1947. He graduated with honors from the 42nd Tbilisi School of Physics and Mathematics, after he continued his studies at the Faculty of Physics of Tbilisi State University, which he graduated in 1970 with a degree in theoretical physics.

The love of science and diligence led him to the field of hydrometeorology – the field to which he devoted his entire life. In 1975, he successfully defended his PhD thesis on four-dimensional modeling of meteorological processes at one of the world's most recognized hydrometeorological centers of the Soviet Union, in Moscow, and was awarded the degree of Candidate of Physical and Mathematical Sciences.

Gia Kordzakhia's long-standing career is connected with the Institute of Hydrometeorology of the South Caucasus, where he progressed from a junior scientific associate to the head of the laboratory. Since 1997, he worked as the deputy head of the Hydrometeorology Department at the National Environment Agency of Georgia and finally as an advisor to the head of the agency. In parallel, he worked at the Hydrometeorology Institute of the Technical University and continued his scientific activity.

His scientific interests included the dynamics and modeling of atmospheric processes, physical and global aspects of climate change, problems of environmental pollution, hydrology and glaciology. A distinguished place in Gia Kordzakhia's works is occupied by the study of glaciers. He led numerous important national and international projects, including the Shota Rustaveli National Science Foundation grants – “Electronic Atlas of Georgian Glaciers” and research on glacier degradation. In these studies, the degradation of Georgia's glaciers was quantified for the first time as influenced by global warming. With his extensive experience and dedicated work, he made a substantial contribution to the development of hydrometeorology.

Gia Kordzakhia actively participated in many projects of the World Meteorological Organization, the United Nations and European scientific programs, and presented important scientific results on

behalf of Georgia at a number of international forums. He has published more than 150 scientific articles and 3 monographs.

His notable contributions were recognized with state honors – he was awarded two Medal of Honor by the Government of Georgia. He was an academician and vice-president of the Georgian Academy of Ecological Sciences.

We, his friends and colleagues have lost a high-level professional, a true intellectual and a noble person, while his family has lost an exceptional spouse, father, brother, and grandfather. May God sanctify and bless Mr. Giorgi (Gia) Korzakhia's immortal soul, and may God grant him a place among the righteous. Amen.

*Institute of Hydrometeorology, GTU*

**სარჩევი – Содержание – Content**

გოგუა რ., მათიაშვილი თ. – დუშეთის (თბილისის) მაგნიტურ ობსერვატორიაში დაფიქსირებული დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციები Gogua R., Matiashevili T. – Secular Variations of the Earth’s Magnetic Field Recorded at the Dusheti (Tbilisi) Magnetic Observatory During 1880-2025 Гогоуа Р., Матиашвили Т. – Вековые вариации магнитного поля, зафиксированные в магнитной обсерватории Душети (Тбилиси)	5-9
კიტოვანი დ. – $t_0$ -ს მოდიფიცირებული მეთოდი Kitovani D. – The Modified Version of $t_0$ Method Китовани Д. – Модифицированный метод $t_0$	10-12
Sborshchikovi A., Mepharidze E., Chelidze T. – Estimating Quantile Functions in Temporal Earthquake Analysis სბორშიკოვი ა., მეფარიძე ე., ჭელიძე თ. – დროითი მიწისძვრის ანალიზით კვანტილის ფუნქციების შეფასება Сборщикова А., Мепаридзе Е., Челидзе Т. – Оценка функции квантиля с помощью анализа землетрясений во времени	13-19
ოდილავაძე დ., ჭელიძე თ., ღლონტი ნ., ქირია ჯ., იავოლოვსკაია ო. – ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის არქეოგეორადიოლოკაციური კვლევა Odilavadze D., Chelidze T., Glonti N., Kiria J., Yavolovskaya O. – Archaeogeoradiolocation Research of the Territory of the Ninotsminda Monastery Complex Одилавадзе Д., Челидзе Т., Глонти Н., Кирия Дж., Яволовская О. – Археогорадиолокационные исследования территории монастырского комплекса Ниноцминда	20-34
Бойнагрян В. – Последствия селя весной 2024 г. в бассейне реки Далар (правый приток р. Раздан, Армения) ბოინაგრიანი ვ. – ღვარცოფის შედეგები 2024 წლის გაზაფხულზე მდინარე დალარის აუზში (მდინარე ხრაზდანის მარჯვენა შენაკადი, სომხეთი) Boynagryan V. – Consequences of a Mudflow in the Spring of 2024 in the Dalar River Basin (Right Tributary of the Hrazdan River, Armenia)	35-41
Бойнагрян В., Айриянц А. – Роль человеческого фактора в авариях на водохранилищах Армении ბოინაგრიანი ვ., აირიანცი ა. – ადამიანის ფაქტორის როლი ავარიებში სომხეთის წყალსაცავებზე Boynagryan V., Airiyants A. – The Role of the Human Factor in Accidents on the Reservoirs of Armenia	42-48
Amiranashvili A., Brocca L., Chelidze T., Kiria T., Svanadze D., Tsamalashvili T., Varamashvili N. – Statistical Analysis of the Relationship Between Monthly and Cumulative Multi-Month Sums of Precipitation with the Number of Landslides in the Regions of Georgia ამირანაშვილი ა., ბროკა ლ., ჭელიძე თ., ქირია თ., სვანაძე დ., წამალაშვილი თ., ვარამაშვილი ნ. – საქართველოს რეგიონებში ყოველთვიური და დაგროვილი მრავალთვიანი ნალექების ჯამსა და მეწყერების რაოდენობას შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი Амиранашвили А., Брокка Л., Челидзе Т., Кирия Т., Сванадзе Д., Цамалашвили Т., Варамашвили Н. – Статистический анализ связи месячных и накопленных многомесячных сумм осадков с количеством оползней в регионах Грузии	49-66
Amiranashvili A., Brocca L., Chelidze T., Svanadze D., Tsamalashvili T., Varamashvili N. – Variability of the Annual Number of Registered Landslides and Mudflows in Georgia in 1995-2024 and their Expected Change up to 2030	67-74

ამირანაშვილი ა., ბროკა ლ., ჭელიძე თ., სვანაძე დ., წამალაშვილი თ., ვარამაშვილი ნ. – საქართველოში რეგისტრირებული მეწყერებისა და ღვარცოფების წლიური რაოდენობის ცვალებადობა 1995-2024 წლებში და მათი მოსალოდნელი ცვლილება 2030 წლამდე Amiranashvili A., Brokka L., Chelidze T., Swanadze D., Chamalashvili T., Varamashvili N. – Изменчивость ежегодного числа зарегистрированных оползней и селей в Грузии в 1995-2024 годах и их ожидаемое изменение до 2030 года	
კერესელიძე ზ. – მსხვილმასშტაბოვანი ატმოსფერული გრიგალების ფაზურ პორტრეტებთან დაკავშირებით Kereselidze Z. – About the Phase Portraits of Large-Scale Atmospheric Vortices Кереселидзе З. – К вопросу фазовых портретов крупномасштабных атмосферных вихрей	75-87
სურმავა ა., გიგაური ნ., კუხალაშვილი ვ., ინჭკირველი ლ.ნ., სესაძე ვ. – ქ. ქუთაისის ჰაერის PM2.5-ით დაბინძურების სიმულაცია მიწისპირა შტილისა და თავისუფალ ატმოსფეროში ბაროკლინური დასავლეთის ქარის შემთხვევაში Surmava A., Gigauri N., Kukhalashvili V., Intskirveli L., Sesadze V. – Modeling of Air Pollution in C. Kutaisi PM2.5 under Calm Conditions on Land and Baroclinic Westerly Winds in the Free Atmosphere Сурмава А., Гигаური Н., Кухалашвили В., Инцкирвели Л., Сесадзе В. – Моделирование загрязнения воздуха г. Кутаиси PM2.5 в условиях штиля на суше и бароклиных западных ветров в свободной атмосфере	88-97
ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., კერესელიძე ზ., ჩიხლაძე ვ. – თსუ-ს მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის მონაწილეობით 2024 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების მოკლე მიმოხილვა Amiranashvili A., Bliadze T., Kereselidze Z., Chikhladze V. – Some Results of Research Conducted in the Department of Atmospheric Physics of M. Nodia Institute of Geophysics, TSU in 2014-2023 Амиранашвили А., Блиадзе Т., Кереселидзе З., Чихладзе В. – Краткий обзор опубликованных научных работ, выполненных с участием сектора физики атмосферы института геофизики им. М. Нодиа, ТГУ в 2024 году	98-116
ქირია თ., ნიკოლაიშვილი მ., ჩხაიძე თ. – დროითი პარამეტრების სტატისტიკური ანალიზი და საათობრივი კატეგორიული რიგების სტაციონარულობის შეფასება Kiria T., Nikolaishvili M., Chkhaidze T. – Statistical Analysis of Time Parameters and Stationarity Assessment of Hourly Categorical Series Кириа Т., Николаишвили М., Чхаидзе Т. – Статистический анализ временных параметров и оценка стационарности часовых категориальных рядов	117-121
ქირია ჯ., დოვგალი ნ., დავითაშვილი ლ., ცაგურია თ., საყვარელიძე ე. – ორკოორდინატანი ფარდობითი მოძრაობის ლაზერული ხელსაწყოს შემუშავება და გამოცდა ლაბორატორულ პირობებში Kiria J., Dovgal N., Davitashvili L., Tsaguria T., Sakvarelidze E. – Development and Testing of a Two-Coordinate Relative Motion Laser Device under Laboratory Conditions Кириа Дж., Довгаль Н., Давиташвили Л., Цагурия Т., Сакварелидзе Е. – Разработка и испытания двухкоординатного лазерного устройства относительного перемещения в лабораторных условиях	122-126
ჯახუტაშვილი მ., თარხან-მოურავი ა. – მდინარე კაბალზე დაგეგმილი კაბალი ჰესის ნაგებობათა განსათავსებელ ადგილებზე ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები Jakhutashvili M., Tarkhan-Mouravi A. – Results of Geophysical Surveys Conducted at the Locations of the Planned Kabali HPP Structures on the Kabali River Джахуташвили М., Тархан-Моурави А. – Результаты геофизической съемки планируемых сооружений Кабальской ГЭС на реке Кабали	127-131
ინფორმაცია ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შესახებ	132-133
იუბილეები/Юбилеи	134-137
ვიხსენებთ კოლეგებს/Памяти коллег	138-153
ნეკროლოგები/Obituaries	154-157



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

им. И. ДЖАВАХИШВИЛИ

მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXVIII, 2025

Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, vol. LXXVIII, 2025

Труды Института геофизики им. Михаила Нодиа, т. LXXVIII, 2025

ტირაჟი 40 ც.

სამეცნიერო საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელი – ლ. დარახველიძე.

Circulation 40 copies.

Representative of scientifically-publishing group – L. Darakhvelidze.

Тираж 40 экз.

Руководитель научно-издательской группы – Л. К. Дарахвелидзе.

ISSN 1512-1135

E-mail: [avtandilamiranashvili@gmail.com](mailto:avtandilamiranashvili@gmail.com); [geophysics.transactions@tsu.ge](mailto:geophysics.transactions@tsu.ge)

<https://scholar.google.com/citations?user=EdMkYoYAAAAJ&hl=en>

<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/254>

თბილისი

Tbilisi 2025 Тбилиси